საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 3 | კვირა, 9 დეკემბერი, 1990. | ფასი 5 კაპიკი.

ვიზიტი

აზერბაიჯანი — საქართველო: გავაღრმავოთ თანამშრომლობა

6 დეკემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ. ი. სიგუა. ბაქოში იგი შეხვდა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰ. ა. ჰასანოვს. ბატონი თენგიზ სიგუა და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ შეჰიდლიარ ჰიიაბანს მთიან პარკში, სადაც დაკრძალული არიან იანვრის ტრაგიკული ამბების მსხვერპლნი. მწუხარე დუმილით, სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს საფლავები.

ნაშუადღევს გაიმართა მოლაპარაკება მხარეთა სამთავრობო დელეგაციებს შორის.

მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების დამკვიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მტკიცე კურსი, რომელსაც დაადგნენ აზერბაიჯანი და საქართველო, თვისებრივად ახალ საფუძველზე პირდაპირი ურთიერთკონტაქტების გაფართოებისა და საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაღრმავებისათვის. ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე დიდ გავლენას მოახდენს გადასვლა საბაზრო ურთიერთობაზე, პოლიტიკური ვითარების შეცვლა რეგიონისა და მთლიანად ქვეყანაში. სწორედ ამ ცვლილებათა კონტექსტით მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომლის დროსაც ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საჭიროა გაღრმავდეს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა და დაჩქარდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში საჭირბოროტო პრობლემათა გადაჭრა. რესპუბლიკებს შორის ურთიერთმიწოდებათა მოცულობის თანაფარდობა წარსულში არ ყალიბდებოდა აზერბაიჯანის სასარგებლოდ. განსხვავება შეადგენდა დაახლოებით 150 მილიონ მანეთს. მაგრამ ახლა პოზიციები გამოსწორდება. საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ გაისისათვის მზად არის დაფაროს დისბალანსის დაახლოებით მესამედი ძირითადად მაგისტრალური ელმავლების, აგროსამრეწველო პროდუქციის, ლითონის ნაგლინის დამატებითი მიწოდებების ხარჯზე. თავის მხრივ მომავალ წელს, ნავთობპროდუქტების წარმოების ერთგვარი შემცირების მიუხედავად, აზერბაიჯანმა გამონახა შესაძლებლობანი დააკმაყოფილოს პარტნიორთა თხოვნა და შეინარჩუნოს საქართველოში წლევანდელ წლის დონეზე საწვავ-საპოხი მასალების მიწოდებათა მოცულობა.

მოლაპარაკებაზე განიხილეს სატრანსპორტო კომუნიკაციების უმნიშვნელოვანესი საკითხები. კერძოდ, იმსჯელეს საავტომობილო მაგისტრალებითა და რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან, ფოთის ნავსადგურის შესაძლებლობათა გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. დღეს თვისებრივად უნდა შეიცვალოს დაშქესანის მამდიდრებელი კომბინატისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კავშირურთიერთობის მოძველებული ფორმებიც, რომლებიც ხელს უშლის საწარმოთა შემდგომ განვითარებას.

მხარეებმა მოილაპარაკეს ითანამშრომლონ არა მარტო სამეურნეო სფეროში, არამედ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, გარემოს დაცვისა და რეგიონში ეკოლოგიური და სანიტარიული ვითარების გაჯანსაღების დარგში.

დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში ჩაწერილია, რომ საშინაო ბაზრების, პირველი საჭიროების საქონლით უზრუნველყოფაში მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით მხარეები შეთანხმდნენ დროულად აცნობონ ერთმანეთს და შეათანხმონ თავიანთი მოქმედება საცალო და შესასყიდი ფასების შეცვლის, საშინაო ბაზრის რეგულირების სხვა ფორმების გამოყენებისას, გადაწყვეტილია აგრეთვე ერთად გაითვალისწინონ ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ სამეურნეო სუბიექტების ყოველგვარი ცდა, თუ ისინი მიზნად ისახავენ ორი რესპუბლიკის ინტერესების შელახვას. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება ერთმანეთთან შეუთანხმებლად არ გადასცენ მესამე მხარეს ენერგო და სხვა რესურსები, რომლებსაც აწვდიან მხარეთა სახელშეკრულებლო ვალდებულებებით.

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით დაიდო სამთავრობათაშორისი შეთანხმება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ა. ჰასანოვმა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. სიგუამ.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ აზერინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ორი რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა განმარტეს ეს მოვლენა.

— ჩვენ ძალზე კმაყოფილი ვართ ერთობლივი მუშაობის შედეგებით, — თქვა ბატონმა თენგიზ სიგუამ. — ესოდენ მასშტაბური შეთანხმების ხელმოწერა ახალ იმპულსს მიანიჭებს ჩვენს ტრადიციულად მეგობრულ ძმურ ურთიერთობას. ვიმედოვნებთ, რომ ჰორიზონტალური კავშირურთიერთობის გაფართოებას კარგი შედეგები მოჰყვება და მხარეთა ეკონომიკა უფრო ინტენსიურად იწყებს განვითარებას. აღვნიშნავ აგრეთვე, რომ ვაპირებთ მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ორმხრივი საქმიანობა ჰუმანიტარულ დარგში, მესამე ქვეყნებში გასვლის, ერთობლივი საწარმოების შექმნის სფეროში.

— ახლანდელი მორიგება სცილდება წმინდა ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებს, — აღნიშნა ბატონმა ჰასამ ჰასანოვმა. — შეთანხმების ხელმოწერა მოწმობს რესპუბლიკებში აღებული პოლიტიკური კურსის ურთიერთცნობას. კმაყოფილი ვართ, რომ საქართველოს ახალმა უზენაესმა საბჭომ და ახლახან ჩამოყალიბებულმა მთავრობამ გამოიჩინეს კეთილი ნება და ჩვენი მტკიცე, მრავალსაუკუნოვანი მეგობრული კავშირურთიერთობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გაგება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ თანხმობას და სიმშვიდეს ამიერკავკასიაში. ამ თვალსაზრისითაც ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ხელმოწერილი შეთანხმება.

აზერინფორმ-სს „საქართველო“.

სურათზე: შეხვედრის დროს.

კიკვაძისა და იაშარ ხალილოვის ფოტო.
სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებიც ცდილობენ ფალსიფიცირებული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნითა და გამოყენებით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, დაარღვიონ კონსტიტუციური ნორმებით აღიარებული მისი ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ 1990 წლის 21 სექტემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უკანონო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. მიუხედავად ამისა, ავტონომიური ოლქის საბჭოს სესიამ 1990 წლის 16 ოქტომბერს დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება და დანიშნა თვითმარქვია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები 1990 წლის 2 დეკემბრისათვის. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და მოუწოდა ავტონომიური ოლქის მოსახლეობასა და ხელისუფლების ორგანოებს აღეკვეთათ ოლქის სამართლებრივი სტატუსის თვითნებურად შეცვლის ცდები. სამწუხაროდ, ეს კანონიერი თხოვნა და გაფრთხილება ყურად არ იღო ოლქის ხელმძღვანელობამ და ცდილობს 9 დეკემბერს ჩაატაროს არარსებული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი ნების გარეშე არც ეს ტერიტორია და არც ოლქის სამართლებრივი სტატუსი არ შეიცვლება. ადგილობრივი საბჭოების, მათ შორის ავტონომიური ოლქის საბჭოს, დეპუტატთა არჩევნების ორგანიზაცია და ჩატარება ხდება და უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ძვირფასო მეგობრებო!

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოგიწოდებთ გამოიჩინოთ პოლიტიკური სიმწიფე და კეთილგონიერება, ნუ აჰყვებით სეპარატისტული ძალების პოლიტიკურ პროვოკაციას, წინ აღუდექით მათ დანაშაულებრივ საქმიანობას, ნუ მიიღებთ მონაწილეობას ანტიკონსტიტუციურ არჩევნებში, რომლის შედეგებს არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნება, პირიქით, გაართულებს საერთო ვითარებას, შექმნის ახალ სიძნელეებს ქართველი და ოსი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების გზაზე.

საქართველოს ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ კვლავაც ერთგულად გააგრძელებს ქართველი ხალხის ჰუმანურობისა და შემწყნარებლობის ტრადიციებს, მტკიცედ დაიცავს საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კანონიერ ინტერესებს, არ დაუშვებს ეროვნული ურთიერთობის საკითხთა მოგვარებისა და გადაწყვეტისას საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული პრინციპებიდან არავითარ გადახვევას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განცხადება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროკურატურას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობა, კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემის უხეში დარღვევა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, თანამდებობის პირთა მიერ კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ბოროტად გამოყენება წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით. ის პირნი, რომლებიც ორგანიზაციას გაუწევენ ან მონაწილეობას მიიღებენ ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

რესპუბლიკის პროკურატურა თხოვს ოლქის მოსახლეობას და თანამდებობის პირებს, ეს განცხადება მიიღონ როგორც ოფიციალური გაფრთხილება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა

მთავრობის მოამბე

აჭარის უზენაესი საბჭოს სესია

გაიმართა აჭარის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი; 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანა; 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის კანონის პროექტი; 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის კანონის პროექტი, სხვა საკითხები.

აჭარის პროკურორმა რ. ქლენტმა, რომელმაც პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა, და აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. ლომთაძემ, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს დამკვიდრებული უკონტროლობა გახდა ხელშემწყობი ნიადაგი ნეგატიურ მოვლენათა ზრდისათვის. სახელმწიფო დისციპლინის მოშლამ და უპასუხისმგებლობამ დისონანსი შეიტანა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სამართალდამცველი ორგანოების მუშაობაში.

შეიმჩნევა ორგანიზებული დანაშაულობის ზრდა, არის ძალმომრეობის, მოქალაქეთა ქონების დატაცების, პიროვნების უფლებათა შელახვის ფაქტები. აღრიცხულ დანაშაულთა 21,7 პროცენტი გახსნილი არ არის. შეიქმნა დაუსჯელობის ატმოსფერო. არ წარმოებს მუშაობა, რათა უკანონო მფლობელებს ჩამოართვან ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იარაღდება თითქოსდა წესრიგის დაცვისათვის. სამართალდამცველი ორგანოების ცალკეულ მუშაკებს, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, არ გამოაქვთ სათანადო დასკვნები, ამიტომ მიზანშეწონილად არის მიჩნეული კადრების განახლება. სესიამ ადმინისტრაციული ორგანოებისა და საბჭოების აღმასკომების მუშაობის მართლწესრიგის დაცვისათვის არადამაკმაყოფილებლად ცნო. მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სესიამ მიიღო კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის შესახებ“. აღნიშნული ცვლილებანი განაპირობა იმან, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დააწესა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პოსტი, რამაც აგრეთვე შეცვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონებისა და ქალაქების პროკურორთა დანიშვნის მექანიზმი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარდგენით. რაიონებისა და ქალაქების პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბისა და დროშის კანონები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და სახელმწიფო დროშა საქართველოს რესპუბლიკის გერბისა და დროშის იდენტურია.

დეპუტატებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აჭარის ავტონომიის საკითხს. გამოითქვა აზრი, რომ აჭარაში არიან როგორც ავტონომიის მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. ეწყობა მიტინგები, ადამიანები შეცდომაში შეჰყავთ და ა. შ. აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება მისი მოსახლეობის რეფერენდუმის გზით, ხაზგასმით აღინიშნა სესიაზე.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მისმა თავმჯდომარემ თენგიზ ხახვამ. დამტკიცებულია აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

სესიამ დაამტკიცა კანონი, რომლის შესაბამისად აჭარის ასს რესპუბლიკას ამიერიდან ეწოდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

თამაზ ზენძაძე

ელჩის ვიზიტი

ორი დღის მანძილზე თბილისში იმყოფებოდა მალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში აბდულაი ამადუ სი.

აბდულაი ამადუ სი ეწვია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს. საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ ელჩს გააცნო რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, ეკონომიკის მდგომარეობა, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის მიმდინარეობა.

სტუმარმა გააშუქა მალის ხალხის ისტორია და კულტურა, აფრიკის ამ ქვეყნის დღევანდელობა, გულთბილად ილაპარაკა საქართველოს წარმომადგენლებზე, რომლებიც ახლა მალის რესპუბლიკაში მუშაობენ და, როგორც ელჩმა თქვა, იქ კარგი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი, ელჩმა მაღალი შეფასება მისცა მათ საქმიან თვისებებს.

— ბევრი რამ გამიგია საქართველოს, მისი ძველი, თავისთავადი კულტურის შესახებ, დიდი ხანია ვოცნებობდი აქ ჩამოსვლას. მოხარული ვარ, რომ ეს სურვილი ამიხდა,— თქვა აბდულაი ამადუ სიმ.

რესპუბლიკის ცხოვრებას რომ ეცნობოდა, ბატონმა სიმ დაათვალიერა ძველი თბილისის რესტავრირებული უბნები, იყო ქალაქის ერთ-ერთ ბაზარში, ეწვია მცხეთას.

7 დეკემბერს მალის რესპუბლიკის ელჩი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

სს „საქართველო“.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციაში

მიმდინარე წლის 3 აგვისტოდან, ანუ საბოლოო ჩამოყალიბების დღიდან, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები მის წინაშე დასახული პირველი ეტაპის რთული, არაერთგვაროვანი ამოცანების გადასაჭრელად.

მიღწეულია საკავშირო პროფორგანოსაგან ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა, იგი განთავისუფლდა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების გავლენისაგან, ბლმავლობით მიმდინარეობს სრული დეპარტიზაციის კურსი.

საქართველოს საკუთრების განუყოფელ ნაწილად — საქართველოს პროფკავშირების კუთვნილებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო კუთვნილებად აღიარებული პროფკავშირული ობიექტები და დაწესებულებები.

საფუძველი ეყრება საქართველოს ხელისუფლებებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების საქმეში.

ზემოაღნიშნულის საბოლოო დამკვიდრებისა და გაღრმავების აუცილებელი პირობაა საქართველოს პროფმოძრაობაში ერთიანობის შენარჩუნება, სოლიდარობის პრინციპების გათავისება საქართველოს ყველა მშრომელის მიერ, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის მიუხედავად.

სწორედ ამ ეგიდით გაიმართება საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოს სხდომა დეკემბრის მესამე დეკადაში.

საბჭოს სხდომა შეაჯამებს გაწეულ მუშაობას და დასახავს სამომავლო ამოცანებს. განიხილავს კონფედერაციაში ახალი წევრების მიღების, პროფკავშირების საკუთრების მოვლა-პატრონობის, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის მართვის, რესპუბლიკის მთავრობასთან ხელშეკრულების საკითხებს, დასახავს საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების ღონისძიებებს.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ მიმართა საქართველოს პროფორგანიზაციებს, მშრომელებს თხოვნით, მიაწოდონ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა ირგვლივ თავიანთი წინადადებები შესაბამის პროფორგანოებს-კონფედერაციის წევრ ორგანიზაციებს, კონფედერაციას.

სს „საქართველო“

საკუთარ სახლში

იმედი მეორე ნაპირიდან

ჩვენი ქალაქის მთავარი ქუჩა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ახლა ბობოქარ მდინარეს მოგვაგონებს. დიდი პოლიტიკური ამბების დინებამ მის ნაპირებზე მიიყვანა ჩვენი და-ძმები. მათი დამაშორებელი მანძილი ხშირად ერთმანეთის მოსმენას უშლის ხელს. უნდობლობის ხშირი ღრუბელი კი ფარავს იმ სიკეთესაც, რაც თითოეულ მოკვდავშია.

რაც უფრო დიდხანს ვართ დაშორიშორების ამგვარ მდგომარეობაში, მით უფრო მეტად გვიმტკიცდება რწმენა, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეიძლება. არ შეიძლება არ დავძლიოთ ის წყალქვეშა დაბრკოლებები — ბუნებრივიც და ხელოვნურიც, რომლებიც ასე ბლომად არის ჩვენს მდინარეში. მხოლოდ იმ შემთხვევაში ავაშენებთ ახალ კიდობანს, რომელიც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის გაშლილ ზღვაში გაგვიყვანს, თუ შევხვდებით, გულში ჩავიკრავთ ერთმანეთს.

ჩვენი კიდობნის მთავარი ხიმართლეა ქრისტიანული სიყვარული და მოთმინება. მხოლოდ მაშინ აღარ იქნება საშიში არავითარი გრიგალი და ქარიშხალი.

იმედის პირველი სინათლე, თითქოსდა, აციმციმდა მეორე ნაპირიდან. ღმერთმა ქნას, რომ არ მოვტყუვდეთ.

პაატა არჩვაძე

სურათებზე: რესპუბლიკის მთავრობის სახლთან, ეროვნული საოპერო თეატრის სკვერში.

ავტორის ფოტო (სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

7 დეკემბერს თბილისში მუშაობა განაახლა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობამ. ყრილობის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ განვლილ შვიდ თვეში მისი 61 დელეგატი სხვადასხვა მიზეზით გავიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. სამანდატო კომისიის წინადადებით ყრილობამ გააუქმა მათი მანდატები. ამრიგად, ყრილობის დელეგატთა რიცხვმა შეადგინა 666 კაცი, რომელთაგან ყრილობას ესწრებოდა 431.

ყრილობის მეორე ეტაპის დაწყების წინ განცხადება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ, რომელმაც ითხოვა გაათავისუფლონ იგი დაკავებული თანამდებობიდან.

ყრილობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

დელეგატებმა და ყრილობაზე მოწვეულებმა პატივი მიაგეს ორი წლის წინათ სომხეთში მომხდარი კატასტროფული მიწისძვრის მსხვერპლთა ხსოვნას.

მუშაობის წესის დამტკიცების შემდეგ დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე კანდიდატურათა დასახელებები. დასახელებული იყვნენ: ჟიული შარტავა, ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, როინ მეტრეველი, ავთანდილ საყვარელიძე, გივი გუმბარიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი.

თვითაცილების შემდეგ და განხილვის შედეგად ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენში შეტანილი იყვნენ ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, ავთანდილ საყვარელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია 45 წლის ინჟინერ-ტექნოლოგი ავთანდილ მარგიანი — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

8 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა. ყრილობის დილის სხდომის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ავთანდილ მარგიანმა წინადადება წამოაყენა აირჩიონ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. მანვე დაასახელა გიორგი ჩეჩელაშვილის — ყოფილი პარტიული მუშაკის, ამჟამად კი საქართველოს სახელმწიფო აგრომრეწველობის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „საქწყალექსპლუატაციის“ უფროსის მოადგილის კანდიდატურა, რომელიც ყრილობამ ღია კენჭისყრით აირჩია ამ პოსტზე.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, მისი პროგრამისა და წესდების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულების პროექტების განხილვას.

ყრილობამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის წესდება, რომლის თანახმად იგი ამიერიდან არის საკუთარი პროგრამისა და წესდების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში განიხილონ წინადადებანი საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის სიმბოლიკის — მისი გერბის, დროშის, ჰიმნისა და დევიზის პროექტების შესახებ და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს შემდგომი დამტკიცებისათვის.

რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამას, გადაწყდა დახვეწონ ყრილობისადმი წარდგენილი მისი პროექტი, შეიტანონ მასში დამატებანი, რათა შემდეგ დაამტკიცონ რესპუბლიკურ პარტიულ კონფერენციაზე.

(დასასრული მე-4 გვ.)

ხელისუფლების დერეფნებში

დრო აღარ ითმენს, საკმარისი როდია მარტოოდენ უარი ვთქვათ სამეურნეო ხელმძღვანელობის ძველ მეთოდებზე, საჭიროა სწრაფად გადავიდეთ ახალ, თანამედროვე მუშაობის სტილზე, ისეთზე, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებსა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, მის დაჩქარებულ დანერგვას. ამჟამად ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ბაკურ გულუას.

ნიჭსა გზა ფართო

— გიგანტურმა, მოუქნელმა ეკონომიკურმა სტრუქტურამ, რომელსაც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს უწოდებენ, ჩვენს რესპუბლიკას დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი თითქმის დაუკარგა. უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა ეკონომიკის ყველა დარგში. ასეთ პირობებში, თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უპირველესად, კონკრეტულად რა ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს მეურნეობის სტრუქტურულ დეფორმაციათა აღმოსაფხვრელად.

— მინდა გითხრათ, რომ შეკითხვა სწორად არის დასმული, მაგრამ ერთი ხელის დაკვრით მდგომარეობის გამოსწორების საშუალება არ არსებობს. ამის გააზრება აუცილებელია, რადგან ფუჭ ილუზიებს შეუძლია დიდი ზიანი მოგვაყენოს. ძნელად მოიძებნება კაცი, რომელიც არ იზიარებდეს აზრს რადიკალური რეფორმის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. ეს უკვე თითქმის არ იწვევს ეჭვს, მაგრამ თვით ამ მოვლენის გაგებაშიც საჭიროა ზოგიერთი რამ აუცილებლად დაზუსტდეს.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ რადიკალური რეფორმა არ უნდა გულისხმობდეს არსებულის ნგრევას ბალავერამდე. ეს ჩვენთვის ისტორიიდან კარგად ცნობილი შეცდომების გამეორება იქნებოდა, რომელმაც ამდენი ტკივილი მოუტანა საზოგადოებას. არ უნდა უკუვაგდოთ ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში დღემდე შემორჩენილი დადებითი ტენდენციები, ინტერესი ახლის შექმნისადმი, მეწარმეობისადმი და ა. შ.

უფრო სწორად, საჭიროა ნაბან წყალს ქორფა ბავშვიც თან არ გავაყოლოთ, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი, რადგან, როგორც ბრძენი ლეიბნიცი გვასწავლის, აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა. ყოველივე ამას შემთხვევით არ მოგახსენებთ. არცთუ იშვიათად გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ დავხუროთ, ავკრძალოთ, გავაუქმოთ სხვადასხვა ასოციაციები, ფირმები, კოოპერატივები. ყოველივე ამის კეთება კანონისადმი პატივისცემის, თითოეული ასეთი ნაბიჯის სოციალურ-პოლიტიკური სარგებლიანობის გათვლის გარეშე დიდად საზიანო იქნება, ხოლო ის, რაც დანგრეულია, თავიდან, სრულიად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ავაშენოთ.

საქართველოს განვითარების გზა მე სრულიად განსხვავებულად მესახება. უნდა შევიმუშავოთ რესპუბლიკის პირობებს მორგებული ორიგინალური სარეფორმო პრინციპები, რომელიც არ შეიძლება ზუსტად იმეორებდეს ბალტიისპირეთის ან სხვა რომელიმე რესპუბლიკის მოდელებს. იგი უნდა დაეფუძნოს ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციებს, მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს. მეცნიერულად სწორად ჩამოყალიბებული, პრაქტიკულად კარგად აწონილ-დაწონილი და ყველა ნაწილში კარგად შეწონასწორებული რადიკალური რეფორმა ჩვენი განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს.

ცხადია, სხვადასხვა დარგში რეფორმა სპეციფიკური ფორმებით გამოვლინდება, მაგრამ მას უნდა ახასიათებდეს საერთო კანონზომიერებანი, რომელნიც ჯამში სარეფორმო მოდელის ამოსავალ მეთოდოლოგიას შექმნიან. იგი უნდა აღიქმებოდეს როგორც მთელისა და ნაწილის განუყოფლობა. ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემისადმი მიდგომები უნდა იყოს სისტემური, კარგად მოფიქრებული და მოზომილი.

არც ამას მოგახსენებთ შემთხვევით, დღემდე განხორციელებული ღონისძიებები იმიტომაც არ იძლევა სასურველ შედეგს, რომ ვერ იქნა და ვერ დაიძლია შინაგანი წინააღმდეგობანი. როგორც ხალხს ხატოვნად უთქვამს, ზოგჯერ მარჯვენამ არ იცის, რასა იქმს მარცხენა. რა დასამალია, რომ გუშინ არც იყო იმის საშუალება, ჩვენი ეკონომიკა გაგვეაზრებინა, როგორც მთლიანი, მასში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ერთიანობითა და ურთიერთკავშირით. ამიტომ ზოგჯერ ერთ სფეროში მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებული ზომები სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა სხვა დარგში და მთლიანად საზოგადოებაში. უფრო გლობალურად, ამოცანა ისაა, რომ შეიქმნას სასურველი წანამძღვრები სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად.

— ბუნებრივია, ისმის კითხვა: ასეთ რთულ ვითარებაში რისი იმედი უნდა გვქონდეს?

— უპირველესად, ქართველ ერში ისტორიულად არსებული ღვთისაგან მომადლებული ნიჭიერებისა და გულმოდგინებისა. დიახ, მე მხოლოდ იმედი მაქვს. უნდა შევქმნათ ისეთი სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გარემო, როცა მიეცემა ნიჭსა გზა ფართო. საქართველო ახლა უნარიანმა ხალხმა უნდა იხსნას. ერის ღირსების შემლახველად და ხელმყოფად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ადამიანი, ვინც ამ პროცესს შურითა და ავკაცობით ხელს შეუშლის. ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში ნიჭიერთა დევნის საოცარი მექანიზმია შექმნილი და მას განმტკიცებული ტრადიციები აქვს. ვეჭვობ, რომ მან ნებაყოფლობით დათმოს ასპარეზი, ხოლო რაც შეეხება შემოქმედებითი, დაინტერესებული, შედეგის მომტანი საქმიანობისათვის პირობების შექმნას, როგორც უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება მალე უნდა მოხერხდეს ეკონომიკური რეფორმის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დროზე მოგვაწოდოს კანონთა პირველი წყება, რომელთა ფართო განხილვა და განსჯა-მიღება პირველ გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია. კანონები საკუთრების, მიწის მეწარმეობის თავისუფლების, მოქალაქის სტატუსის, ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი მეურნეობის გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, სააქციო საზოგადოებებისა და იჯარის, მართვის დეცენტრალიზაციის, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებისა და პრივატიზაციის შესახებ უკვე „გუშინწინ“ უნდა ყოფილიყო მიღებული.

— ცენტრალიზებული საგეგმო სისტემის დაშლა ჯერჯერობით არათავისუფალ ქვეყანაში ერთბაშად შეუძლებელია. თქვენი აზრით, რამდენ ხანს გასტანს კომერციული ხვალინდელ დღეზე გადასვლის პერიოდი და რა უნდა გაკეთდეს ამის დასაჩქარებლად? ცნობილია, საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებისა და შერეული ტიპის ეკონომიკის პირობებში მწარმოებელი თავისუფალი უნდა იყოს. რა არის ამისათვის საჭირო?

— ამ კითხვებზე შესაძლოა მე განსხვავებული შეხედულება მქონდეს. ყველანაირი პოლიტიკისა და მეტადრე ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორ პროგნოზს. ცხადია, გასათვალისწინებელია შორსმჭვრეტელობის სიძნელეები, მაგრამ ძირითად ტენდენციებში მოსალოდნელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების პროგნოზი შეუმცდარი უნდა იყოს. ამ ფაქტორის უგულებელყოფამ ჩვენ ბევრჯერ მიგვიყვანა კატასტროფამდე და არც მომავალში უნდა გვქონდეს სიკეთის იმედი. ცხოვრება სულ სხვა ტემპით და დინამიზმით განვითარდება, ვიდრე ეს, ყოველ შემთხვევაში ჩემი აზრით, უმრავლესობას ჰგონია.

მხედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დღეს შემავალი რესპუბლიკების მომავალი სახელმწიფო მოწყობისა და დღევანდელ ცენტრთან მათი დამოკიდებულების საკითხი. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ბევრი რამ, რაც რამდენიმე თვის წინათ ცხარე დისკუსიებს იწვევდა და თეორიულადაც არარეალური ჩანდა, დღეს უკვე პრაქტიკულად წყდება. თუ მოვლენათა მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირს სულ ცოტა 8-10 თვით წინგახედვით წარმოვიდგენთ, არ იქნება ძნელი სამოქმედო გზის დასახვა.

შორს რომ არ წავიდეთ, განა ვინმეს შეეძლო ჩვენი დარწმუნება იმაში, რომ სსრ კავშირის 1991 წლის გეგმა თავისი ტრადიციული ფორმით არც ცენტრში და არც სხვა რესპუბლიკებში აღარ იარსებებდა? ვინ არ იცის, რომ ეს სწორედ იმ ეკონომიკური საფუძვლის გამოცლაა, რომელზეც ეს სახელმწიფო 70 წელიწადი იდგა. ეტყობა, ახლო მომავალში საქმე გვექნება მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი ურთიერთმიწოდების ვალდებულებათა პირგაუტეხლად შესრულებასთან.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ ხელსაყრელობის პოზიციებიდან აფასებს ამა თუ იმ ვალდებულებას. ამჟამად ცენტრმა რაც არ უნდა გვიბრძანოს, იგი თავს ვერაფრით ვერ მოგვახვევს ჩვენთვის არასასურველ და ეკონომიკურად არაეფექტიან კავშირურთიერთობას.

ეს მომენტი გარდა სიკეთისა, ჩვენს წინაშე ურთულეს ამოცანებსაც აყენებს. მოკლე დროში ხელახლა უნდა შეფასდეს არსებული სამეურნეო კავშირების ხელსაყრელობა და ეფექტიანობა. ადრე ამ სამუშაოებით საქართველოში პრაქტიკულად არავინ იყო დაკავებული. ამ ფუნქციას ყველა ჩვენს ნაცვლად ასრულებდა, შესაბამისი კადრებიც მხოლოდ იქ იზრდებოდა. უნდა გაცნობოთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამ მიმართულებით კოლოსალური მოცულობის სამუშაოები შესრულდა საგეგმო კომიტეტში, მომარაგების კომიტეტში, სამინისტროებსა და უწყებებში. ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, თუ რომელ რესპუბლიკასთან რა ურთიერთობა გვაქვს, ნატურალური და ფულადი გამოსახულებით.

სამწუხაროდ, წამოიჭრა მეტად არასასიამოვნო შეკითხვაც: რა ვუყოთ იმ საწარმოებს, იქ დამზადებულ იმ პროდუქციას, რომელიც ცენტრის გადანაწილების მექანიზმის გარეშე არ გასაღდება და ამიტომ უნდა გამოიძებნოს ამ საწარმოთა პროფილის ასორტიმენტის შეცვლის ან ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების საშუალება.

დღის წესრიგში მწვავედ დგება უმუშევრობის პრობლემა, აუცილებელია შევიმუშაოთ სამუშაოდან იძულებით დათხოვნილთა სოციალური დაცვის მექანიზმი. ეს არის ერთ-ერთი ახალი პრობლემა და ჩვენი ყურადღება ამჯერად წვრილმანი რაღაცეებით არ უნდა გადაიტვირთოს. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეები დავიცვათ ეკონომიკური გაჭირვებისაგან, არ დავუშვათ სოციალურად აუცილებელი მინიმუმის ქვემოთ ცხოვრების დონის დაცემა.

— ალბათ, ყოველი ქვეყანა უნდა ირჩევდეს ეკონომიკის ისეთ მოდელს, რომელიც საზოგადოებას კონკრეტულ პირობებში ყველაზე უკეთ გამოადგება, არცთუ ხელსაყრელ პირობებში რას გვიქადის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა?

— მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი სიმძიმე მაინც გარდამავალ პერიოდზე მოვა. ეკონომიკაში არაგეგმაზომიერად, სტიქიურად იგი უკვე დაიწყო და პირველი სავალალო შედეგებიც სახეზეა. სამწუხაროდ, დღესაც ხელთ არა გვაქვს შეთანხმებული მოქმედების პროგრამა. როგორც იტყვიან, ძველი აღარ მუშაობს, ახალი ჯერ არ შექმნილა. ვერაფერი ნუგეშია იმაზე ლაპარაკი, რომ მთლიანად სსრ კავშირში და პრაქტიკულად ყოფილი სოციალიზმის სისტემის ყველა ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა. ამოცანა დღესდღეობით სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევაა. სჯობს, რომ უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში შევთანხმდეთ ერთიანი სამოქმედო პროგრამის თაობაზე. მერე კი ყველამ თავისი აგური უნდა დადოს. ყველამ თავისი საკეთებელი მაქსიმალურად ხარისხიანად აკეთოს.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეიფორია მალე გაივლის და ყველაზე ნათელი იდეალებიც კი შეიძლება შეილახოს, თუკი ვერ მოვახერხეთ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ერთხელ უკვე ვთქვი ტრიბუნიდან, რომ დიდი მხარდაჭერა დასჭირდება ახალ მთავრობას, ახლა, არ არის ერთმანეთის კრიტიკაში ჩადგომის დრო. საწყისი პერიოდისათვის ეს ალბათ, გარდაუვალია, მაგრამ მე მწამს, რომ მალე დაიწყება აღმავლობის ხანა, რისთვისაც დიდი გარჯა გვმართებს და ღირს კვლავაც გავისარჯოთ, რათა წინსვლა შეუქცევადი გახდეს.

ესაუბრა
ლალი ქინქლაძე.

განმარტება

ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს?

დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი საქართველოში, თუ ვინმეს აწუხებს საქართველოს ბედი და რაიმე გაუკეთებია ოდესმე თავისი რესპუბლიკისათვის, უაღრესად შეშფოთებული და შეწუხებული უნდა იყოს.

ჩემი სამშობლოს, ჩემი ხალხის სიყვარულმა, მათი ბედით დაინტერესებამ მიკარნახა მიმდინარე წლის პირველ დეკემბერს მივსულიყავი ტელესტუდიაში და მიმემართა ხალხისათვის, ამეხსნა მათთვის შექმნილი მდგომარეობა და მეთხოვა დახმარება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ ჩემი გამოსვლა მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა სწორად ვერ გაიგო, არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მოყვანილ ფაქტებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი შურისძიებისათვის განაწყო.

მე იმდენად ღრმად ვარ დარწმუნებული ტელევიზიით ჩემი გამოსვლის აუცილებლობასა და სისწორეში, რომ დღეს ამ წერილში კვლავ მინდა გავიმეორო იგივე მოსაზრებანი, რათა ჩემს ოპონენტებს საშუალება მიეცეთ, წერილის რამდენჯერმე წაკითხვით მაინც სწორად გაიგონ, რისი თქმა მსურდა.

უაღრესად მძიმე ოპერატიული მდგომარეობაა შექმნილი ჩვენს რესპუბლიკაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი აშკარა უპატივცემლობას იჩენს კანონის მიმართ, ეს პროცესი კარგახანია დაიწყო და სამწუხაროდ გრძელდება დღესაც, სამწუხაროდ, ვამბობ იმიტომ, რომ მისი დაწყებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამ ცვლილებებმა ადამიანთა განწყობაზე, კანონთან მათ დამოკიდებულებაზე ძირეული გავლენა ვერ მოახდინა.

საკმარისია უკანასკნელი ორი თვის სტატისტიკას გადავხედოთ და დავრწმუნდებით, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. კატასტროფულად იზრდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, შეიარაღებული თავდასხმა სახელმწიფო დაწესებულებებზე, მოქალაქეებსა და მილიციის განყოფილებებზე, იქედან იარაღის გატაცება, მოქალაქეთათვის თავისუფლების აღკვეთა ფულის გამოძალვის მიზნით. ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, წესრიგს, თავისი შრომით შექმნილი ქონების დაცვას მოითხოვენ დამნაშავეთა ხელყოფისაგან, მოსახლეობაში დიდძალი უნებართვო იარაღია, რის გამო მოქალაქეებს მოსვენება აქვთ დაკარგული. განა ეს მდგომარეობა არ უნდა იცოდეს რესპუბლიკის მოსახლეობამ, მე ხომ ვალდებული ვარ, ვუთხრა მათ სიმართლე, თუ ვინ არიან ისინი, ვისაც არ სურს მოვითხოვოთ წესრიგის დამყარება.

ჩემი გამოსვლა არავითარ პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდა, მისი მიზანი იყო მოწოდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ, ხოლო საზოგადოებრივ წესრიგს უნდა იცავდეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქე. როგორ, ვინმე ფიქრობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ იცის, ვინ რა დანაშაულს ჩადის? მე მთელი სია წარმომიდგინა სამინისტრომ იმ დანაშაულებისა და მათი ჩამდენი პირებისა, რომლებიც სხვადასხვა დაჯგუფებებს ეკუთვნიან, მაგრამ არც ერთი დამნაშავის გვარი არ დამისახელებია, რადგან არ მინდოდა დამერღვია ელემენტარული მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმპციის შესახებ, ახლაც თავს შევიკავებ ამ მოქმედებიდან. მე ბატონი ჯაბა იოსელიანის გვარი და „მხედრიონი“ ვახსენე იმიტომ, რომ შეხვედრა მქონდა მასთან და საუბარი-მეთქი, გარკვეულ შეთანხმებას მივაღწიეთ და მაინც განმეორდა დანაშაულის ჩადენა. რატომ გაღიზიანდა ამის გამო მოქალაქეთა ერთი ნაწილი, ჩემთვის, უბრალოდ, გაურკვეველია.

მე არავის ჩემი ტელევიზიით გამოსვლის გამო ბოდიშს არ ვუხდი, მოვითხოვე, რომ ყველამ დაიცვას კანონის მოთხოვნა. მე ვთხოვე ყველას, დამიჯერეთ, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უაღრესად დაძაბული ვითარება, ოდნავ წინდაუხედავ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი შედეგი, დღეს ის მდგომარეობაა, როცა ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ჯგუფებმა, პარტიებმა და პირებმა პირადი ინტერესები უნდა გადადონ გვერდზე და იზრუნონ ერის ბედზე. თითოეული ჩვენთაგანი ვალდებული ვართ, ღრმად ჩავუფიქრდეთ ჩვენს მოქმედებას და ობიექტური შეფასება მივცეთ მას. მოქალაქენო, იფიქრეთ, ვის აწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობის დესტაბილიზაცია, ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს.

აი, ბატონებო, ციფრები და თქვენ თავად განსაჯეთ, გვაქვს თუ არა უფლება, ვიყოთ გაჩუმებული. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჩადენილია 48 მკვლელობა და 6 მკვლელობის მცდელობა, 76 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, 23 თავდასხმა მილიციის მუშაკებზე, 47 ყაჩაღობა, 46 ძარცვა, 461 ქურდობა, მოქალაქეთა გატაცების 5 შემთხვევა, ესაა დაახლოებით ის, რაც სხვა დროს 5-6 თვის განმავლობაში ხდებოდა. მე აღვნიშნე ის, რაც ოფიციალურად აღრიცხულია და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რამდენი მძიმე დანაშაული იჩქმალება სახელმწიფო აღრიცხვიდან, ან იმიტომ, რომ დაზარალებულები თავს იკავებენ შიშის გამო მომხდარი ფაქტის გაცხადებისაგან, ანდა მილიციის მუშაკები მალავენ მათ. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, მისმა ხელმძღვანელობამ არაერთგზის გააკეთა განცხადება და არაორაზროვნად გამოხატა თავისი პოზიცია იმის შესახებ, რომ არავინ არ აპირებს წარსული შეცდომებისთვის ანგარიშსწორებას, გადაწყვეტილია ყველას შეუნდონ დაშვებული შეცდომები და მოუწოდა ყველას, ჩადგნენ ახალი ცხოვრების ფერხულში, კანონიც კი იქნა მიღებული ამნისტიის შესახებ, რომლის შედეგად დიდი რაოდენობა მსჯავრდადებულებისა განთავისუფლდება პატიმრობიდან და წარმოებით შეწყდება საქმეების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომლებზედაც მიმდინარეობს გამოძიება ან სასამართლო განხილვის სტადიაშია.

ვისა აქვს უფლება, აუკრძალოს პროკურორს, რომ ეს მომენტები გააცნოს ხალხს და არ გამოიყენოს დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. უბრალოდ, გაუგებარია, რატომ არ იწვევს კმაყოფილების გრძნობას ჩემს ოპონენტებში ეს გარემოება.

ჩემი ოპონენტები განსაკუთრებით შეწუხებული არიან იმის გამო, რომ გავაკეთე განცხადება საკომენდანტო საათის დაწესების საშიშროების შესახებ. ჩემი თხოვნაა, ნუ ავყვებით ემოციებს, ღრმად ჩავუფიქრდეთ შექმნილ მდგომარეობას და გავაკეთოთ სწორი დასკვნები.

რატომ მივედი იმ დასკვნამდე, რომ არსებობს საშიშროება, თუ არ მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია და არ აღიკვეთება დამნაშავეთა თარეში, მოსალოდნელია საკომენდანტო საათის დაწესება?

გავყვეთ მოვლენათა მსვლელობას და ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი. ხომ მეთანხმებით, რომ საქართველოში ხელისუფლების სათავეში ეროვნული ლიდერების მოსვლას და იმის განცხადებას, რომ ხელს არ მოაწერენ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, აღფრთოვანება არ გამოუწვევია საკავშირო ორგანოებში. ხომ იყო გაცხადებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე, რომ გააჩნიათ მასალები, თითქოს საქართველოშიც არიან უკმაყოფილონი იმ პოზიციით, რაც უკავიათ ხელისუფლების სათავეში ახლადმოსულ პირებს (გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამ გარემოებას), ხომ გაკეთდა განცხადება პარიზში პრესკონფერენციაზე, რომ კავშირიდან ვერც ერთი რესპუბლიკა ვერ გავა, ხომ გამოვიდნენ ტელევიზიით თავდაცვის მინისტრი და ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, რომელთაც არაორაზროვნად და მუქარაშეფარულად განაცხადეს, რომ თუ არ შეწყდება თავდასხმები სამხედრო პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე, თავად დაიცავენ თავის თავს.

არის თუ არა ყველა პირობა შექმნილი საქართველოში იმისათვის, რომ ეს გამონათქვამები და მუქარა მივიღოთ ჩვენს თავზე. მე ვამტკიცებ, რომ არის და ამ ყველაფერს ემატება უწესრიგობა და რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფის არსებობა, რომელთაც არა აქვთ სურვილი, დაემორჩილონ ოფიციალურ ხელისუფლებას და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დაზღვეული არა ვართ ამ ჯგუფების ერთმანეთთან შეტაკებისაგან, მე მქონდა სრული საფუძველი, გამეფრთხილებინა ჩემი ხალხი. ეს იყო გაფრთხილება და არა მუქარა.

განა ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, შეიარაღებული შეტაკებების შემდეგ არ იყო, რომ დაიწესეს საკომენდანტო საათი? განა ეს უნდოდა ამ რესპუბლიკების მცხოვრებთ, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ არავის უკითხავს მათთვის, ასევე არ გვკითხავენ ჩვენც და უაღრესად კეთილშობილური მიზნით, რომ ქართველებმა არ დაწყვიტონ ერთმანეთი, შეუძლიათ შემოიღონ საკომენდანტო საათი.

თუ ამ ყოველივეს ვგრძნობ და არ ვიტყვი, ეს ხომ ღალატი იქნება ერის მიმართ.

დიდი ყურადღებით მოვისმინე და ვნახე საქართველოს ტელევიზიით გამოსული პირების შეფასებანი ჩემი გამოსვლის თაობაზე, არაობიექტურობით ახლა ვერავის გააკვირვებ, რადგან, სამწუხაროდ, ის ჩვენი ცხოვრების ნორმად იქცა. ადამიანებს, რომელთაც სამართლიანობაზე პრეტენზია გააჩნიათ და აშკარად ცილისწამებას მიმართავენ, წარმოდგენა არა აქვთ, როგორ რთულ პირობებში გვიხდება ცხოვრება. მხედველობაში მაქვს ქალბატონ ნანა მეედლიძის გამოსვლა, რომელიც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ პროკურორი ხალხს თხოვს დახმარებას დამნაშავეებთან ბრძოლაში. რა გნებავთ, ქალბატონო ნანა, არ უნდა გთხოვოთ თუ არ უნდა დაგვეხმაროთ? გთხოვთ, ერთხელ კიდევ გადაიკითხოთ საქართველოს კონსტიტუცია, სადაც აღნიშნულია მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ და დარწმუნდებით, რომ ჩემი მოთხოვნა საფუძვლიანია.

ქ-ნო ნანა, აშკარად ცილი დამწამეთ, როცა განაცხადეთ, თითქოს მოსახლეობას მე მოვუწოდე სამოქალაქო ომისაკენ. თქვენ ხელოვანი ბრძანდებით და ღრმადა ვარ დარწმუნებული, ამ ცოდვას მოინანიებთ.

საერთოდ, საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ დიდი დრო დაუთმო იმ პრობლემების განხილვას, რასაც მე შევეხე ტელევიზიით გამოსვლაში და იმ აქციებს, რაც მას მოჰყვა. ალბათ, სწორად მოიქცნენ, ეს მათ თავად განსაჯონ, მე მინდა გამოვთქვა ჩემი გაოცება იმის გამო, რომ ზოგიერთი ცდილობს რა საკუთარი მოსაზრების დაცვას, არ ერიდება სხვის შეურაცხყოფას. ეს არასწორია და როცა 5 მილიონიანი აუდიტორიის წინაშე ვდგავართ, უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანურ ღირსებას. ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით უზნეობის გამართლება არ შეიძლება.

ერთხელ კიდევ მინდა მივმართო ჩემს თანამემამულეებს და მოვუწოდო სიმშვიდისაკენ — გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ადამიანებს მიეცეს ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობები. დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს ის, უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც ისედაც ბრძოლის უნარდაქვეითებული არიან, თქვენი მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გააკეთებენ.

ჩვენ არც ერთი ორგანიზაციის პოლიტიკურ საქმიანობაში არ ვერევით, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არა ვართ. ჩვენი მიზანია წესრიგის დამყარება და თანადგომა ყველას მიმართ, ვინც იბრძვის საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. აი, ამას ისახავდა მიზნად ჩემი მიმართვა ხალხისადმი.

ვახტანგ რაზმაძე,
საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი.

იმპერიის ფესვები

გაუმართლებელი გასაიდუმლოების წინააღმდეგ

მოქალაქეთა უფლებები და სამართლებრივი დაუცველობის საფრთხე

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მორიგ სესიაზე, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართა, მეტად საყურადღებო საკითხი იქნა განხილული პიროვნების უფლებათა რეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სახელდობრ, იგი შეეხება ამჟამად მოქმედი იმ წესების კონსტიტუციურობას, რომლებითაც დაშვებულია მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების შესახებ გამოუქვეყნებელი ნორმატიული აქტების გამოყენება და შეფარდება სხვადასხვა ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიერ.

ეჭვს გარეშეა, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში, მით უმეტეს, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა ან მისი შექმნის პროცესში მოქალაქეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ყველა იმ ნორმატიული აქტების გაცნობისა, რომლებითაც განისაზღვრება დადგენილი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები და მათი განხორციელების წესები, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი უნდა იყვნენ დროულად დაიყვანონ საზოგადოების წევრებამდე აღნიშნულ საკითხებზე გამოცემული აქტების შინაარსი. ეს ლოგიკური ჭეშმარიტება კვლავ იქნა დადასტურებული უკანასკნელ პერიოდის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტებში. მაგალითად, 1989 წლის ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ეფექტურად უნდა უზრუნველყოფდნენ პირთა შესაძლებლობას, იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, რათა მათ შესაბამისად იმოქმედონ. ამისათვის კი საჭიროა ქვეყნდებოდეს და მისაწვდომი გახდეს ყველა კანონები, ადმინისტრაციული წესები და პროცედურები, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს. იგივე დებულება იქნა ჩაწერილი ადამიანის განზომილების შესახებ კონფერენციის კოპენჰაგენის 1990 წლის თათბირის დოკუმენტში. სულ ახლახან კი, 1990 წლის 21 ნოემბერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტშიც „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ ხაზგასმულია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, „იცოდეს თავისი უფლებები და იქცეოდეს ამ უფლებების შესაბამისად“.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა სახელმწიფოში არსებული ვითარების შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ საერთაშორისო სამართლის ზემოაღნიშნული ნორმები და თუნდაც თვით საბჭოთა კონსტიტუციის ზოგიერთი დებულებანი უხეშად ირღვევა. ქვეყანაში მოქმედებს უამრავი აქტები, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა უფლებებს და მოვალეობებს, მაგრამ გამოქვეყნებული არ არის და აქვთ გრიფები: „საიდუმლოა“, „არ ქვეყნდება“, „სამსახურებრივი გამოყენებისათვის“, „განსაკუთრებული საქაღალდე“ და სხვ.

გამოვლენილი იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 40-იან-80-იან წლებში მიღებული 64 ბრძანებულება და დადგენილება, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს და ატარებს დახურულ ხასიათს, ე. ი. მოქმედებს, მაგრამ საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, მათ შორის მოქალაქეობის, სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის, ამნისტიის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, შრომითი ურთიერთობების და სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ადგილებიდან მოქალაქეთა გასახლების საკითხებზე. მარტო 1985-1989 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დაახლოებით 90 „საიდუმლო“ დადგენილება და განკარგულება საპენსიო უზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურების, საავტორო უფლებების, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის, მსჯავრდებულთა შრომის გამოყენების, საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა მოქალაქეთა შრომის პირობებისა და ანაზღაურების საკითხებზე. სამინისტროები და ცალკეული უწყებებიც ხშირად იღებენ „დახურულ“ ნორმატიულ აქტებს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებისა ან მათი განხორციელების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი მანკიერი და ანტიდემოკრატიული პრაქტიკა თვით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერაა რეგლამენტირებული, მაგალითად, 1989 წლის სპეციალური კანონი „სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრკ უზენაესი საბჭოს და მათი ორგანოების მიერ მიღებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ“ ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომლებსაც არა აქვს საერთო ხასიათი, შეიძლება არ გამოქვეყნდეს და გადაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 მარტის დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნებას საჭიროებს მთავრობის მხოლოდ ის აქტები, რომლებიც ნორმატიული ხასიათისაა, ხოლო ის აქტები, რომლებიც არ დაიბეჭდება სსრკ მთავრობის დადგენილებათა კრებულში, შეიძლება გამოქვეყნდეს პრესაში „შესაბამისი ორგანიზაციების წარდგინებით მხოლოდ სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ნებართვით“. იქვე მითითებულია, რომ სსრკ მთავრობის დადგენილებანი ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან მიუხედავად იმისა, გამოქვეყნდა ისინი თუ არა.

მდგომარეობას ამძიმებდა და თვითნებობის პირობებს ქმნიდა ის გარემოება, რომ სამინისტროთა და უწყებათა დებულებებით და სხვადასხვა სადირექტივო აქტებით ამა თუ იმ ცნობების საიდუმლო ხასიათის განსაზღვრის უფლება ენიჭებოდა თვით ამ უწყებათა ხელმძღვანელებს, რაც მათ ფართო შესაძლებლობებს უხსნიდა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების არამართლზომიერი შეზღუდვისათვის, უკანონო მოვალეობების დაკისრებისათვის, აგრეთვე მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორიების გაუმართლებელი შეღავათების დაწესებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად მოქალაქეებს ეკარგებათ შესაძლებლობა, სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებები და, ამავე დროს, სწორად განსაზღვრონ რამდენად მართლზომიერად მოქმედებენ მათ მიმართ თანამდებობის პირები, რამდენად საფუძვლიანია ამ უკანასკნელთა მოქმედების გასაჩივრება. ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეებს ეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა ისეთი წესების დარღვევისათვის, რომელთა გაცნობის შესაძლებლობა არ გააჩნდათ. უფრო მეტიც, ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის ან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის, დაკავშირებული იყო ამ დოკუმენტებზე საიდუმლოების გრიფზე, რომელსაც თავისი შეხედულებით დასვამდა ან ხსნიდა სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელი.

აღნიშნული საკითხის განხილვის შედეგად სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების საკითხებზე მიღებული ყველა ნორმატიული აქტი იმ ნაწილში, რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაშვებულია მათი ძალაში შესვლა გამოქვეყნების გარეშე — არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საერთაშორისო აქტებს ადამიანის უფლებების შესახებ და ამ ნაწილში ძალადაკარგულად ითვლება. ამიერიდან იმ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნება, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებს და მოვალეობებს შეეხება, მათი ძალაში შესვლის და გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ისინი ამა თუ იმ ხერხით უნდა იქნან დაყვანილი საყოველთაო გაცნობისთვის.

ამავე დროს კომიტეტმა თავის დასკვნაში ჩაწერა, რომ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ადრე მიღებული, მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელი აქტები სამი თვის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ძალადაკარგულად ჩაითვლება.

ამრიგად, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დასახელებული საკითხის განხილვა და მის შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის თვალსაზრისით უდაოდ მისასალმებელია; მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, „რომ არ შეიძლება ზედმეტ ილუზიებს მივეცეთ და საბჭოთა კავშირში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პრობლემები გადაწყვეტილად ჩავთვალოთ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს სრული გარანტია იმისა, რომ არა მარტო გამოუქვეყნებელი, არამედ გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტებიც უზრუნველყოფდნენ საზოგადოების წევრებს თანამდებობის პირთა თვითნებობისაგან, კანონიერი ინტერესების შეზღუდვისაგან, პიროვნების თავისუფლების პრინციპების დარღვევისაგან. უკვე ის ფაქტი, რომ მთელ სახელმწიფოში ან მის ცალკეულ რეგიონში საპრეზიდენტო მმართველობისა თუ საკომენდანტო საათის შემოღების შესაძლებლობა ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნია — ყოველთვის საფრთხის წინაშე აყენებს მოქალაქის სამართლებრივი დაცვის გარანტიას.

გივი ინწკირველი,
პროფესორი, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრი.

ბერალურ- დემოკრა- ტიული ეროვნული პა- ტიისა და ორგანიზა- ცია „დას"-ის განცხადება

აქართველოს რესპუბლიკის
ტურის სატელევიზიო გა-
ლისა და მის საპასუხოდ
დრიონის" მიერ საპროტეს-
შიმშილობის გამოცხადების
ებად შეიქმნა საგანგაშო
მარეობა, რომელიც გადაუ-
ლად უნდა მოგვარდეს, რად-
წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ
აციით უთუოდ ისარგებლე-
ჩვენი თავისუფლების მტრე-
თუ როგორ ისარგებლებენ და
მოჰყვება ყოველივე ამას, ყვე-
ათვის ცხადი უნდა იყოს და
ინ, თუკი ასეთი რამ მოხდა,
უხისმგებლობა ერის წინაშე
კისრება როგორც საქართვე-
ს ხელისუფლებასა და მის
იზიციას, ასევე საქართველოში
მედ ყველა პოლიტიკურ ორ-
იზაციასაც. ამიტომ საჭიროა,
რეებმა ახლავე გამართონ მო-
ლაპარაკება ერთმანეთთან და რაც
ძლება მალე ბოლო მოუღონ
ებულ კონფლიქტს.

ამწუხაროდ, გამართლდა ჩვე-
შიში, რომ კონგრესის იდეა,
ოუკიდებლად მის მომხრეთა
ნებისა, პოტენციურად შეი-
ს ორხელისუფლებიანობის სა-
თხეს, რომელიც დღეს, რო-
ც ვხედავთ, რეალურ კონ-
რებს იძენს.

დრეც გაგვიცხადებია და ახ-
ც ვაცხადებთ, რომ იმ კონფ-
ქტში, რომელიც არსებობდა და
ებობს მრგვალ მაგიდისა და
ფილ საკოორდინაციო ცენტრ-
შემავალ ორგანიზაციებს შო-
, ჩვენ გვიკავია აქტიური ნე-
ალიტეტის პოზიცია. მაგრამ
სრულიადაც არ ნიშნავს, რომ
ნ ასევე ნეიტრალურნი ვი-
თ იმ დაპირისპირებაში, რომე-
ც არსებობს უზენაეს საბჭოსა
ეროვნულ კონგრესს, როგორც
ლიტიკურ ინსტიტუტებს შო-
. ჩვენ პრინციპულად ლოია-
რნი ვართ ახლადარჩეული
ენაესი საბჭოს, როგორც ქვე-
ს ერთადერთი კანონიერი სა-
ონმდებლო ორგანოს, მიმართ.
ნ ღრმად ვართ დარწმუნებუ-
, რომ გზა საქართველოს ხსნი-
ხალხის მიერ არჩეულ უზენა-
საბჭოზე გადის, რომელიც
დამ მიგვაჩნდა ერთადერთ იუ-
დიულ-პოლიტიკურად ეფექტი-
ინსტრუმენტად დასახული მიზ-
მიღწევის საქმეში.

სავალალო ისაა, რომ ზემოაღ-
ნიშნულ პოლიტიკურ დაჯგუფე-
ბა შორის არსებულმა მწვავე
ნფლიქტმა მოსპო ის „ნდობის
ედიტი", რომელზეც უნდა შენ-
ბოდეს ყოველგვარი თანამშრო-
ობა, განსაკუთრებით ისეთ
ეროში, როგორიცაა პოლიტი-
რი ცხოვრება. მაგრამ საქმის
მოსწორება კიდევ შეიძლება და
გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის
ორედ მრგვალ მაგიდას, რო-
რც სახელმწიფო მმართველო-
ს სათავეში მყოფ პოლიტიკურ
ძალას. და ჩვენც მივმართავთ მის
მომადგენელთ, როგორც ხე-
ლისუფლებას, გადადგან ნაბიჯი
ნფლიქტის მშვიდობიანად მო-
გვარებლად. ბუნებრივია, ანა-
ოგიურად მოწოდებით მივმარ-
თავთ „მხედრიონსაც" იმის იმე-
ით, რომ ბოლოს და ბოლოს
იმარჯვებს საღი აზრი და კონ-
ლიქტი მოგვარდება.

ვფიქრობთ, საჭიროა, რომ
ხედრიონი" და მისი ტიპის სხვა
ორმირებები — **ყველა უკლებ-**
ივ შევიდნენ ეროვნული შინაგა-
ჯარების შემადგენლობაში, რო-
ლიც დაექვემდებარება საქართ-
ლოს მინისტრთა საბჭოს ან
უალოდ მინისტრთა საბჭოს
ავმჯდომარეს. მთავარი, ჩვენი
რით, ესაა და, თუკი ეს აზრი
არეთათვის მისაღები იქნება,
ნარჩენი საკითხები ადვილად
დაწყდება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პო-
ტიკური კონსულტაციების გა-
ვა ყველა დაინტერესებულ
ს შორის, რაშიც ჩვენ, გა-
[illegible]
[illegible] ებიდან, ვაკი-
[illegible] ს როლს, მხა-
[illegible] სათანადო [illegible] შემ-
თხვევაში.

აცადეთ, აცადეთ!

ამ დღეს ველოდი და სხვათა მსგავსად კონგრესის დაპირისპირებას პარლამენტისადმი ჩემში ემოციები არ გამოუწვევია. დღესაც ვცდილობ, რეალურად შევხედო და შევაფასო მდგომარეობა. პარლამენტის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად ბლოკ „დემოკრატიული საქართველოდან" გამოვდიოდი, რომელიც ორგანიზაციულად კონგრესის არჩევნებშიც მონაწილეობდა. ამ ბლოკმა საპარლამენტო არჩევნებში წააგო, წააგო ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებში. ხალხის ნება აშკარად იხრებოდა მრგვალი მაგიდის მხარეს. როგორც დეპუტატობის კანდიდატი, ამას ყველგან ვგრძნობდი. ხალხი მოტყუვდა თუ არ მოტყუვდა, არჩია ის, ვინც უნდოდა. რა დემოკრატიულობის გამოვლენაა, როცა ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას უპირისპირდები და მისი არჩევის ერთი თვის თავზე და მონაწილე ხდები იმ დესტაბილიზაციის, რომელიც კონგრესმა წამოიწყო? დემოკრატია ხალხის ძალას ნიშნავს. ხალხის ძალაც და ხალხის ნებაც არჩევნებში გამოიხატა. დღეს ხალხი პარლამენტის მხარეზეა. თუ კონგრესისათვის დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ თავისი ნება მოახვიოს პარლამენტს, ვფიქრობ, ცდება. მათ მაშინ მართონ ქვეყანა, როცა ამის უფლებას ხალხი მისცემს. ხალხი არც მთავრობას მისცემს იმის უფლებას, პოლიტიკურ ორგანიზაციებს დევნა და გაუქმება დაუწყოს ან თავისი პოზიციური შენიშვნების გამოთქმა აუკრძალოს. ამას კონგრესი აკეთებს კიდეც თავის სატელევიზიო გამოსვლებში და აქ დემოკრატიულობა მთავრობის მხრიდან არ ირღვევა.

ბატონი ვახტანგ გოგუაძე, ქალბატონი ნანა მჭედლიძე და ბატონი ჯუმბერ კოპალიანი ტელევიზიით გამოსვლისას იმდენად თემიდან გადახვეულად საუბრობდნენ, რომ ცოტა არ იყოს, არ მოველოდი. „მხედრიონში" რომ ბევრი პატრიოტია და ბატონი ჯაბა იოსელიანი დიდი პატრიოტია, განა ეს არის იმის დასაბუთება, რომ დღეს „მხედრიონის" მსგავსი შეიარაღებული ფორმირებანი საჭიროა? დავუშვათ, რომ „მხედრიონზე" დაყრილი ხმები ცილისწამებაა, ან, როგორც თქვენ, მათში გარეული თითო-ოროლა უვარგისი უტეხს სახელს, ეს კი ასაბუთებს, რომ „მხედრიონი" საჭიროა? შვიდიათასი ქართველიო, ბრძანა ვახტანგ გოგუაძემ. შვიდიათასი ქართველი ხუმრობა საქმე არ არის, მაგრამ ვის ეომონ, თუ ღმერთი გწამთ? რუსის ჯარს? იქნებ ეომონ და შეეწირონ კიდეც სამშობლოს, მაგრამ შვიდიათასი კაცის დაკარგვა ჩვენთვის ბედნიერება როდია. თუ ომია, ყველამ ვიომოთ. მთავრობა ეროვნულ მილიციას ჰქმნის და სამხედრო ფორმირებებსაც ეყრება საფუძველი. ყველა ეს ფორმირებანი თუ შინაგანი ჯარები ერთი ხელმძღვანელის ხელში უნდა იყოს. ხალხი ენდობა პარლამენტს. ენდობა ბატონ ზვიად გამსახურდიას. თუ მათ ერი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით ისევ იმპერიას მიაჯაჭვეს, ხალხი ბრმა ნუ ეგონება ვინმეს, პასუხს ყველას მოსთხოვს. ერს თავისუფლება სწყურია. პარლამენტის საქმიანობა საწყის ეტაპზე იმედის მომცემია. კონგრესის დაპირისპირება კი თავისუფლების სურვილს უქარწყლებს ზოგიერთს. ხალხი ყველას მიუზღავს სამაგიეროს და ნუ დაიმსახურებს ნურც ერთი და ნურც მეორე მხარე ხალხის რისხვას. ოთხი მილიონი ქალ-კაციანად შეკრული საქართველო არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ამდენ ამბიციებს არ აპატიებს. ჯერ ომი არ დაგვიწყია და დაიღალა ხალხი კინკლაობით.

არავიზე ნაკლები „პატრიოტი არ არის ახლად არჩეული შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი დილარი ხაბულიანი. ერთ-ერთი ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფში ერთად ვიყავით და კარგად ვიცნობ. ესე იგი გვაქვს საშუალება მის გარშემო დავრაზმოთ ძალები, რომლებსაც ოფიციალური სახე მიეცემათ, იარაღსაც ავასხამთ და სამშობლოს სადარაჯოზეც დავაყენებთ. შეგვიძლია პატრიოტი ოფიცრების გარშემო შემოვკრიბოთ პირველი ქართველი არმიის შენაერთები და ისინიც კანონიერების დაცვით [illegible] იარაღით და ჩავაყენოთ სამშობლოს სამსახურში, მაშ რაღა საჭიროა არაოფიციალური ფორმირებანი? ასეთი ფორმირებანი ხომ მუდმივ საშიშროებას წარმოადგენენ რა გინდ პატრიოტებიც უნდა შედიოდნენ შიგ?

აქ, ალბათ, მეორე ფაქტორი თამაშობს თავის უდიდეს როლს. კონგრესი არ იზიარებს თავისუფლების მიღწევის იმ გზებს, რომელსაც ახალი ეროვნული პარლამენტი დაადგა. მისთვის ეროვნული დაუმორჩილებლობაა თავისუფლებასთან მაზიარებელი. თუმცა, არც ბატონი ზვიად გამსახურდია გამორიცხავს ამ შესაძლებლობას, ეს თქვა კიდეც მრგვალ მაგიდაში შემავალ ორგანიზაციათა შეკრებაზე, მაგრამ თუ დაუმორჩილებლობამდე მივედით, უსათუოდ ორგანიზებული დაუმორჩილებლობა ჯობია არაორგანიზებულს, როდესაც ქურდობა, შიმშილი, კაცი კვლა და ათასი უბედურება იბოგინებს, შედეგად ხალხის რისხვას მივიღებთ. ორგანიზებული დაუმორჩილებლობა კი ისევ და ისევ პარლამენტის, მილიციის, ქართული ჯარისა და ხალხის ერთობლივი, გონიერი მოქმედებით უნდა წარიმართოს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგს თავისუფლებისათვის ბრძოლა უფრო მოსწონს, ვიდრე თავად თავისუფლება. უბედურია, ჩემი აზრით, ის ერი და ის ადამიანი, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის. თავისუფლება ერსაც უნდა ჰქონდეს და თითოეულ ადამიანსაც, ერიცა და ადამიანიც მხოლოდ ამის შემდეგ აგნებს თავის რაობას, თავის დანიშნულებას და თავის თავს. ჩვენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გვსურს ვიპოვოთ ჩვენი თავი და რაოდენ გაუგებარიც არ უნდა იყოს, ჩვენ, უბრალოდ, ვიკარგებით. ეს დაკარგვა საპატიოა, რამდენადაც თავისუფლება ღვთით ბოძებულია და სხვათაგან წართმეული. შენ ეძებ იმას, რაც შენია, და გმირობაა, როცა იკარგები, რათა შენმა შვილმა ითავისუფლოს ეს გმირობაა და არა თავისი თავის მიგნება. გმირობა — თევდორე მღვდლის გზაა, თავის თავის მიგნება კი — შოთასი. პირველი ერის ფარია და მეორე ერია თავად, ერის სახეა. თავისუფლებისათვის ბრძოლით ტკბობა, მასში რომანტიკულობის შეტანა სიბეცეა და უფრო მეტად საშინელება, როცა ყველას გმირობა სურს. ალბათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ გმირობა თავის თავის უარყოფას ნიშნავს, ხოლო თავისი თავის უარყოფის სურვილის ესოდენ ვრცლად მოძალება და მითუმეტეს ამით ტკბობა უბედურებაა. იქნებ ვინმემ იფიქროს, ჩემი მსჯელობით თავისუფლებისათვის ბრძოლის შეწყვეტას მოვითხოვდე. არა. წავიდა დრო რომანტიკული აღტკინებულობისა, გმირობისა და ბელადობისა. ვერავითარი გმირობა ვერ იხსნის საქართველოს. დაუყოვნებლივ გავიდეს საქართველოდან საოკუპაციო ჯარიო, გაიძახის კონგრესი და ნუთუ, ვერ გრძნობენ, რომ ამ მოთხოვნაში უფრო მეტი რომანტიკულობაა, უფრო მეტი გმირული პოზიციიდან ნამზერალია, ვიდრე გონიერი და გათვლილი ნაბიჯი. ან როგორც აპირებენ დაუყოვნებლივ ჯარების გაყვანას, გაგვიმხილონ მაინც, ან „საცოდავ" გერმანელებსაც შეატყობინონ, რომლებიც მილიარდებს უხდიან რუსეთს და თან ოთხ წელიწადშიც ვერ ახერხებენ დამპყრობელი ჯარების გამოყვანას. როცა დამოუკიდებელ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში ისევ დგანან ოკუპანტი ჯარისკაცები, დამოუკიდებელ საქართველოდან რა ხერხებით ერეკებიან? იქნება რამე ჯადოქრობა იციან, დაგვამშვიდონ, შეფარვით მაინც გვითხრან.

ამ მძიმე პერიოდში, როცა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე უარი განცხადებულია, როცა რუსეთი მიზეზებს ეძებს, მოღალატეობაა ერის მიერ არჩეული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი მთავრობის წინააღმდეგ რაიმე აქციის ჩატარება, რაგინდ მართალნიც არ უნდა იყვნენ აქციის წამომწყებნი.

ჩვენი უპირველესი ამოცანა დამოუკიდებლობის მიღწევაა. დემოკრატიის არ არსებობის მოიზეზება, როცა მთავრობის მიერ დემოკრატია უხეშად არსად ირღვევა, წმინდა წყლის დემაგოგიაა და ერის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლთა მხრიდან არ მომდინარეობს. რა დემოკრატიულობა აგვიტყდა თუ ძმები ხართ? თუ დემოკრატია გინდათ, რუსეთის შემადგენლობაშიც შეიძლება იმის მოპოვება, რაღა ეროვნულობას ამოეფარებიხართ? ორი კურდღლის მდევარი, ხომ გაგიგიათ. სად გინდათ წახვიდეთ, თუ ვერც დემოკრატია მიიღეთ და ვერც თავისუფლება? ერი გაპატიებთ მტრისთვის სასარგებლო საქციელს? ერთ რამეში მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოში ვერავითარი დიქტატურა ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ გარეშე ძალები არ უმაგრებენ ზურგს. დამოუკიდებელ საქართველოში დიქტატორი დიდად საცოდავი იქნება, რამეთუ სიცოცხლე მოკლე ხნის ექნება. ამიტომ დემოკრატიისათვის თქვენი ასეთი ზრუნვა თქვენივე საქციელის მოჩვენებითობაა და მეტი არაფერი.

პარლამენტის მიღებული რომელი კანონი არ მოგწონთ? თქვით, თუ არ მოგწონთ, თქვით, ხალხსაც გააგებინეთ. იქნებ არ მოგწონთ, სუკ-ი ეროვნული რომ გახდა? თქვით, ხალხსაც გააგებინეთ. იქნებ არც ის მოგწონთ, სამოკავშირეო ხელშეკრულებას უარი რომ ეთქვა? ეგეც თქვით, ხალხს ეგეც გააგებინეთ. მარიონეტული მთავრობაო — ვიღაცამ უკვე ესეც თქვა. კმარა! კმარა, მეგობრებო. თქვენდა სამწუხაროდ იმას აკეთებთ, რომ მთელს ერს მთავრობის გარშემო რაზმავთ, იმათაც კი, ვისაც რაღაც პოზიციური წინააღმდეგობა ჰქონდა მასთან, პოზიციური და არა ამბიციური.

პარლამენტმა აირჩია არა დამოუკიდებელი, არამედ გარდამავალი პერიოდის მთავრობა და ამას არც მალავს. გარდამავალი პერიოდის მთავრობა შედარებით შეზღუდულია. როგორც კი დასრულდება გარდამავალი პერიოდი, აირჩევა მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. კონგრესში შემავალი პარტიები ისე იფუჭებენ სახელს ხალხში, რომ ეროვნულ პარლამენტში ერთი კაციც არ ეყოლებათ. ბოლოს და ბოლოს, ასე რომ გსურთ დემოკრატია, ხალხმა ხომ უნდა აგირჩიოთ?

სიმართლე არსად დაიმალება. ვაცადოთ მთავრობას მუშაობა. ძალიან ძნელია ახლა ხალხის მოტყუება და ხალხზე ბრძნად ნურავინ მოიტანს თავს. ერის წინაშე უპასუხისმგებლო საქციელს ხალხი არც პარლამენტს აპატიებს და არც კონგრესს.

ჯუმბერ სარდლიშვილი,
გარემოს დამცველთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

ეროვნული კონგრესის აქცია

მამულიშვილნო!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც თავისი განვითარების უაღრესად რთულ და მნიშვნელოვან ეტაპში შევიდა თავისი დიდი ეროვნულ-[illegible] მისიის აღსასრულებლად ითხოვს აქტიურ მხარდაჭერასა და თანადგომას თითოეული ჩვენთაგანისგან, მთელი ქართველი ერისგან. ჩვენ ყველას საერთო მიზანი გვაერთიანებს — თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი და ძლიერი საქართველო!

ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, დროის ამ არც თუ ისე დიდი მონაკვეთის მანძილზე სრულიად საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ იქნა მრავალი მასობრივი პოლიტიკური აქცია — მიტინგი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია და გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. შეიქმნა და ჩამოყალიბდა არაერთი ეროვნულ-პოლიტიკური პარტია, საყოველთაო ხასიათი მიიღო და მთელ საქართველოში გაიშალა ეროვნული მოძრაობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გრძელდება, რადგან საქართველო ჯერ კიდევ დაპყრობილია. ოკუპანტებს, სისხლიან აგრესორებს ჩვენი მიწიდან ფეხი არ მოუცვლიათ, საქართველოს ოკუპაცია და ანექსია გრძელდება. ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის, აგრესიის სრული ლიკვიდაციის გარეშე საქართველო ვერ განთავისუფლდება და ვერ აღიდგენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას!

საქართველო უნდა გამოვიდეს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებიდან, საქართველოს ტერიტორია აბსოლუტური შემადგენლობით უნდა დატოვოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის — სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარებმა, ამისათვის აუცილებელია ყოველდღიური ბრძოლა. ზემოჩამოთვლილი მოთხოვნებით მრავალრიცხოვანი მასობრივ-პოლიტიკური გამოსვლების ტალღები კვლავ უნდა მოედოს საქართველოს ყველა ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს. ბრძოლის გარეშე საქართველოს თავისუფლება არ უწერია!

1990 წლის 10 დეკემბერს, ორშაბათს, საქართველოს ეროვნული კონგრესი გაერთს მიერ მიღებული ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 42 წლისთავთან დაკავშირებით ნიშნავს მშვიდობიან მანიფესტაციას, სადაც დაისმება უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები. თავშეყრა დაიწყება 16 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში.

ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოქალაქეს მოგიწოდებთ, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ გამოსვლაში!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს ეროვნული კონგრესი.

სანანებელი გამიხდა...

მე იმათ რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც კომპარტიიდან გავიდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, არც ერთ პარტიაში არ შესულან, რადგან მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ საქართველოა ჩვენი ყველაზე დიდი, სათაყვანო პარტია.

არჩევნებში ხმა მივეცი როგორც კონგრესს, ასევე უზენაეს საბჭოს, რამეთუ მიმაჩნდა, რომ ყოველი პარტია თუ ბლოკი, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, მხარდაჭერისა და თანადგომის ღირსია.

კონგრესისათვის ხმის მიცემა იმანაც განაპირობა, რომ ვშიშობდი, ეროვნული მოძრაობის დაქსაქსულობას ხალხი არ დაებნია და კომუნისტებისათვის არ გაეხსნა გზა პარლამენტში. ასეთ ვითარებაში კი კონგრესს უთუოდ დაეკისრებოდა მეტად საპასუხისმგებლო და დიდი მისია.

მადლობა ღმერთს, ჩემი შიში არ გამართლდა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა ჩვეული სიბრძნე და უზენაეს საბჭოში გაიყვანა ეროვნული ძალები, ხოლო მათ შორის უპირატესობა სრულიად სამართლიანად მიანიჭა ბლოკს — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო".

ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას არ ჰყავს ბელადები, მაგრამ ჰყავს და უნდა ჰყავდეს კიდეც ეროვნული გმირები. სწორედ ასეთ გმირებად აღიარა ხალხმა ზვიად გამსახურდია და წამებული მერაბ კოსტავა და გაჰყვა კიდეც მათ.

[illegible] სამოცდაათი [illegible] როგორც იქნა, [illegible] და დავდექით მთავრობის [illegible]. გვემაყება და ვენდობით ახალ პარლამენტს. გულისფანცქალით ვადევნებთ თვალს მის პირველ ნაბიჯებს და გვჯერა, რომ იგი მშვიდობიანი გზით მიგვიყვანს სანუკვარ მიზნამდე.

ასეთ ვითარებაში ყოვლად გაუმართლებლად გვეჩვენება კონგრესისა და მისი შეიარაღებული ფორმირების „საქართველოს მხედრიონის" საეჭვო აქციები, მიმართული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც უთუოდ იმპერიული ძალების წისქვილზე ასხამს წყალს.

კონგრესმა ვერ შეასრულა დაპირება, ყოფილიყო ზომიერი, ჯანსაღი ოპოზიცია და არ დაპირისპირებოდა უზენაეს საბჭოს, თუ კი იქ ეროვნული ძალები მოიყრიდა თავს. დღეს კონგრესი აშკარად იქცა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის „მეხუთე ბორბლად", რომელიც უფსკრულში გადაჩეხვით ემუქრება მას.

არ ვიცი, ამგვარი პრეცედენტი საერთოდ არსებობს თუ არა, მაგრამ მორალურად თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო: უკან ვიბრუნებ ხმას, რომელიც არჩევნებში ეროვნულ კონგრესს მივეცი და მანდატს, რომლითაც იგი, ჩემდა წილად, ერის ნების გამომხატველის უფლებამოსილებით აღვჭურვე. ამას მოითხოვს საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია და ერის უზენაესი ინტერესები.

იუზა ყამბიშვილი,
მწერალი.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის განცხადება

უერთდება რა საქართველოს „მხედრიონის" საპროტესტო აქციას, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას აუცილებლად მიაჩნია გააკეთოს შემდეგი განცხადება.

1. საქართველოს „მხედრიონის" მიმართ გაჩაღებული ცილისწამებლური კამპანია არის ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული აქტი.

2. რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის განცხადება საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულმა პარტიამ აღიქვა ანტიეროვნული, ტოტალიტარული და ბიუროკრატიული ძალების მხრიდან საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ შეტევის ნიშნად.

3. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა უკვე ნახევარი წელია განიცდის რესპუბლიკის პროკურორისაგან დევნა-შევიწროებას. ათასგვარი პროვოკაციებისა და დაუსჯელი თვითნებობის ვითარებაში გახდა შესაძლებელი ვ. რაზმაძის გამოსვლა ეროვნული მოძრაობის „ლიდერის" პოზიციიდან.

4. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია უერთდება შიმშილობის აქციის მონაწილეებს და მოითხოვს რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის გადადგომას. რესპუბლიკაში დემოკრატიული სიტუაციის შექმნისა და მისი შეუქცევადობის გარანტიებს.

სდს ეროვნული პარტიის პოლიტიკური კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

აღშფოთებული ვართ იმ ცილისწამებლური განცხადებით, რომელსაც საქართველოს ახლად არჩეულ პარლამენტს, უზენაეს საბჭოს უყენებენ ორგანიზაცია „მხედრიონი" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული კონგრესის ზოგიერთი წარმომადგენელი.

1990 წლის 28 ოქტომბერს ნამდვილი დემოკრატიული, ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი არჩევნები ჩატარდა და არა ნაძალადევი, როგორც ეს ხდებოდა ეროვნული კონგრესის არჩევნების დროს. არავინ გვინდა შეურაცხვყოთ, მაგრამ 28 ოქტომბერს ქუჩაში არავინ გამოსულა, არ მოუწოდებია ხალხისათვის — „ხმა მიეცით „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს"-ო.

მშრომელმა ხალხმა თვითონ გამოხატა თავისი ნება და არჩია სამშობლოს (საქართველოს) მხსნელად „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" და, რა თქმა უნდა, „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ" და მასში შემავალმა პარტიებმა უნდა მიიყვანონ საქართველო სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე. ჩვენ მხოლოდ ახლად არჩეული პარლამენტის, უზენაესი საბჭოს წინამძღოლობის იმედი გვაქვს და ამ იმედს, ჩვენს პოზიციებს ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის, თუნდ იგი სისხლიანიც იყოს.

ჩვენი შესაძლებლობითა და საქმიანობით „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" გვერდით ვიყავით დღემდე, ვართ დღეს და ვიქნებით მომავალშიც. უზენაესი საბჭოს მოწინააღმდეგეებს ვურჩევთ, თუ საქართველოს განთავისუფლება უსისხლოდ უნდათ რუსეთის იმპერიისაგან, თუ ისინი ეროვნულ ინტერესებს იცავენ, დადგნენ ხალხის რჩეული პარლამენტის გვერდით და იზრუნონ ქართველი ერის საკეთილდღეოდ, მოგვცენ დამშვიდებული შრომის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მშვიდობის მაუწყებელი ხალხი უზენაეს საბჭოს, ახლად არჩეულ პარლამენტს არ დაელოდება და თვითონ გამოუტანს მათ საკადრის განაჩენს.

28 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებული „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" ხალხის რჩეულია, არავის აქვს მასთან ხელი. შორს ყოველგვარი ცილისწამება და პირადული ხალხის რჩეულის მიმართ!

ქვედა საზანოს № 1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი, სულ 28 ხელმოწერა.

რას ვიყოფთ დღეს საქართველოში?

1990 წლის 28 ოქტომბერს ქართველმა ერმა თავისი ნდობა გამოუცხადა ეროვნული მოძრაობის ყველაზე გონიერ ნაწილს და თავისი ბედიც ჩააბარა. აბა რაღას ვიყოფთ? რაღას ვებრძვით? საბოლოო მიზნის მისაღწევად ბევრი და თავგანწირული ბრძოლა გველის, ამიტომ სიმშვიდე, სტაბილურობა, ერთმანეთის სიყვარული, ერთგულება, გაერთიანება და მხარში ამოდგომა გვმართებს.

მაგრამ ეტყობა არ სძინავს ქართველისათვის კაენს. ეროვნულ მოძრაობას ეროვნული მოძრაობა დაუდგა მტრად და მოშუღრად, მესამე ძალის სანუკვარი ოცნების აღმსრულებლად.

ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ — ეროვნული კონგრესი. ქართველი ერის დამნაშავედ გამოცხადება, ქართველი ერის ავადმყოფ ერად გამოცხადება. ქართული ლეკიანობის დაწყება, ლეკიანობა დაიწყო საქართველოში, სიმწრის გზას გაგვიყენეს ქართველი დედები, შვილებმა დაივიწყეს დიდი შოთა, დიდი ილია და მეორედ უნდათ საქართველოში დაგვიყენონ დღე, რომელ დღეზედაც დიდმა აკაკიმ სთქვა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!".

სულ ცოტა ხნის წინ, აპრილის თვეში, ქართველი დედები გულში იხუტებდნენ შუბლზე და გულზე შავარშიამოვლებულ წვერმოშვებულ ბიჭებს და ღმერთს მადლს სწირავდნენ გადარჩენისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, იმედმოცემულნი არ გადაშენდებაო საქართველო, ასეთი გლოვა რომ სცოდნიათ ქართველ მამაკაცს.

დღეს შავარშიაშემოგლეჯილი წვერმოშვებული და გაპარსული ეს ბიჭები შიშის ზარს სცემენ მშობელ ერს, გზაარეულნი ეშმაკისაგან კლავენ, ძარცვავენ: ქართველ ქალს, ქართული ოჯახის სიწმინდის სიმბოლოს, საქორწილო ბეჭედს ხელიდან გლეჯენ, ფეხმძიმე ქალს სცემენ და ტანსაცმელს ხდიან, ბავშვებს იტაცებენ.

დაფიქრებულხართ, შვილებო, იმ მოტაცებულ ბავშის ბედზე? მას ხომ წაართვით ბავშვობა, უცბად დააბერეთ და სამუდამოდ სხივი ამოართვით თვალიდან? ამაზე დუმილი აღარ შეიძლება. ზარი დავარისხოთ, დედებო. სათავე მოვუნახოთ ამ სიბოროტეს. ქართველ დედას არავის დასჯა არ უნდა, მხოლოდ ვამხილოთ ჩვენი უბედურების მომტანნი. ვამხილოთ ისინი, ვინც სიამაყის ქედი მოგვტეხეს. თავდახრილებს რომ გვატარებენ, მეზობელთა დამცინავი ღიმილი რომ არ დავიმსახუროთ — აი, ესა ხართ, ერთმანეთს სჭამთ და თავი კი მოგაქვთ ქართველობით.

პასუხი ვაგებინოთ ბოროტებს. დროა მივხვდეთ, რომ დაუსჯელი ბოროტება ყველაზე დიდი ბოროტებაა.

ვინ შეაიარაღა ჩვენი შვილები? ვინ დააკანონა მათი კბილებამდე შეიარაღება?

დავარისხოთ ზარები, დედებო, ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს ნუ ვაჭმევინებთ ჩვენს უცოდველ შვილებს.

ვთხოვთ ყველა ქართველ მამაკაცს, ისმინოს მუხლმოდრეკილი ქართველ დედათა ლოცვა მათ მიმართ, ლოცვად დამდგრებს საწყევრად ნუ დაგვაყენებენ.

გულიკო გოგაძე,
ჟურნალისტი.

არ ვეთანხმებით

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი არ ეთანხმება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (7. XII. 90 წ. № 2) გამოქვეყნებულ წერილს „შეწყდეს შიმშილობა!". კრების გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც ლაპარაკია წერილში, არ გამოხატავს მთელი უნივერსიტეტის სტუდენტთა აზრს. ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, სრულიად ვეთანხმებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ აქციას და მხარს ვუჭერთ მოშიმშილეებს.

რ. ბუჯეჯიანი, კ. სამურკასოვი, თ. შამათავა, თ. დგებუაძე და სხვები, სულ 45 ხელმოწერა.

საქართველოს თავისუფლება ერთიანობაშია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პრობლემა დღეს ძალზე აქტუალური და საჭირბოროტო საკითხია, რაც მრავალ ასპექტს შეიცავს. ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ კონსტიტუციურად უნდა აღსდგეს თავის უფლებებში ერთ-ერთი ყველაზე ადამიანური კატეგორია — თავისუფლება. თავისუფლებაში იგულისხმება ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მოქმედების თავისუფლება. აქედან დამოუკიდებლობის მისაღწევად სადღეისოდ და სამომავლოდაც პრიორიტეტი პირველ ორს უნდა ენიჭებოდეს. დამოუკიდებლობას ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს, თუ მას მხარში არ ამოვუდექით. ამ საქმეში აუცილებლად მიმაჩნია ისეთი დემოკრატიული პარლამენტული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც არსებითად დაეყრდნობა არა ტოტალიტარიზმს, არამედ თავისუფლებას. მაგრამ არც თავისუფლება და არც ტოტალიტარიზმი არ არის აბსოლუტური კატეგორია, ისინი ორივენი ერთმანეთს მოითხოვენ და ავსებენ. თუ ღრმად ჩავფიქრდებით, დავინახავთ, რომ დემოკრატია და ტოტალიტარიზმი, ანუ თავისუფლება და დისციპლინა, ეს არის ყველაზე ჰუმანური სახელმწიფო მანქანის რაციონალური მოქმედების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და ამავე დროს ერთიმეორის განმსაზღვრელი მოქმედი პრინციპი. თუ რომელიმე მათგანი დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს ან ფაშიზმთან, ან ანარქიასთან. არც ერთი მათგანი საქართველოს არ გამოადგება. ჩვენ დღეს გვჭირდება სახელმწიფო მანქანის რაციონალური მოდელი. არც აბსოლუტური დემოკრატია, ანუ ანარქია და არც აბსოლუტური დისციპლინა, არამედ ორივეს გონივრული ერთიანობა. ეს ერთიანობა აუცილებლად შემდეგი სახით უნდა განხორციელდეს: არჩევნების პროცესში თავისუფლება, ხოლო სახელმწიფო აპარატის ფორმირების შემდეგ კი საკანონმდებლო და საშემსრულებლო დისციპლინის გატარება. არჩევნების დასრულების შემდეგ ყოველგვარ ოპოზიციას უნდა მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ შიდა პარლამენტური ფორმა. არჩევნების შემდეგ პარლამენტის გარეშე ყოველგვარი ოპოზიცია კანონგარეშე ფორმას ატარებს. ვითვალისწინებ რა ჩემი ხალხის პოლიტიკურ აქტივობას, მინდა კიდევ და კიდევ აღვნიშნო ტრივიალური ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერი პოლიტიკური აქტივობა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებით უნდა იყოს განმსჭვალული. ახლახან ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების შემდეგ ყველამ უნდა ვინებოთ და მხარში ამოვუდგეთ ახალ პარლამენტს და მის ხელმძღვანელს ბატონ ზვიად გამსახურდიას, მიუხედავად იმისა მოგვწონს ჩვენ იგი თუ არა, და თუ არ მოგვწონს, კამათი გავმართოთ ან პარლამენტში ან პრესაში, მაგრამ არა ქუჩაში, რაც უთუოდ წაადგება საქართველოს განთავისუფლების საქმეს და არ მიიღებს „ქართული კინკლაობის" ისტორიულ სახეს, რამაც მრავალჯერ განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, დღეს ყოველი ოპოზიცია უნდა დაუფიქრდეს თავის მოქმედებას, თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს, თორემ თუ „კომენდანტის საათმა" ჩამოჰკრა, პირველ რიგში ქართველი ხალხი მათ გამოაცხადებს ერის გამყიდველად, ხოლო საოკუპაციო ჯარი დაქსაქსულ შეიარაღებულ ფორმირებებს მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად სისხლით შეღებავს. მაგალითების მოყვანა ვფიქრობ, საჭირო არ უნდა იყოს, აქ გულგრილი ვერავინ დარჩება, რადგანაც ახლა ჩვენი შვილების მომავალი წყდება. ჩვენ ჯერაც არ მოგვიშუშებია 9 აპრილი და მსგავსი მრავალი ჭრილობა. დღეს საქართველოს ერთიანობა სჭირდება და არა პირადი ამბიციების აყოლა. ახლა იჯობებს, რომ პოლიტიკური მოქმედების ენერგია მომავალი არჩევნებისათვის შევინახოთ. გავერთიანდეთ ერთი გულისთქმით და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშას წავაწეროთ: „საქართველო უპირველეს ყოვლისა"!

არსენ ბურჯალიანი.

ხმა ღვთისა — ხმა ერისა!

„ძმობა ლაზარეს აღდგინება" საქველმოქმედო სტატუსის მქონე საზოგადოებაა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იგი იყო და არის რელიგიური — მართლმადიდებელი მრწამსისა და სიმართლისათვის მებრძოლი საზოგადოება, სადაც გაერთიანებულია აგრეთვე თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის სტუდენტთა უმრავლესობა.

ჩვენს გაოცებას იწვევს თვითმოქმედი გასამხედროებული საზოგადოება „მხედრიონის" მეთაურის ჯაბა იოსელიანის ცილისწამებლური და ყოვლად უპასუხისმგებლო განაცხადი, სადაც იგი ერის ნდობის მანდატით აღჭურვილი პარლამენტის მიერ დემოკრატიული წესით მიღებულ გადაწყვეტილებებს „დიქტატად" მიიჩნევს, „თავისუფალ საქართველოს" კი ძმათა წინააღმდეგ მიმართული იარაღით ელტვის...

გადაჭრით მოვუწოდებთ პროფესორ ჯაბა იოსელიანს, ჯერ ეკლესიაში შეისწავლოს, თუ რას ნიშნავს ცნება „თავისუფლება" და მხოლოდ შემდგომ ამისა იმსჯელოს ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე სახალხოდ... ვისარგებლებთ შემთხვევით და შევახსენებთ ჭეშმარიტი მხსნელის — მაცხოვრის — სიტყვებს, რომელიც განსაკუთრებულ ჟღერადობას უნდა იძენდეს დღეს ყოველი ადამიანის გულში: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგანთავისუფლნეს თქუენ".

საჭიროა კონკრეტული ნაბიჯი

მეოთხე თვეა, ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ცენტრის შენობისა და ეზოს ტერიტორიის რადიაქტიური ნივთიერებით ცეზიუმ-137-ით დაბინძურების გამო, თანამშრომელთა აღშფოთება და გულისტკივილი 1990 წლის სექტემბერში დაუყოვნებლივ ეცნობათ ღია წერილის მეშვეობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს და ეთხოვათ ქმედითი დახმარება ახალი შენობის გამოყოფისა და დაბინძურების მიზეზების გამოკვლევისათვის, რასაც მოჰყვა თანამშრომელთა და კომისიის თავმჯდომარის ბატონ მ. კავილაძის ბრძოლა კომისიის წევრებთან, რომლებიც იმის მცდელობაში იყვნენ, როგორმე მიეფუჩეჩებინათ დაბინძურების მიზეზი, თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რაც შეიძლება სწრაფად წარედგინათ მთავრობის წინაშე ჩვეული პატაკი — ვადაზე ადრე ტერიტორიისა და შენობის გასუფთავების შესახებ. აქედან გამომდინარე, კომისიის მუშაობა უაღრესად გაჭიანურდა და დღემდე გრძელდება. არავის შეუწუხებია თავი თანამშრომელთა დისპანსერიზაციაზე, არავის აფიქრებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბატონმა მინისტრმა კი ჯერჯერობით შენობა ვერ გამონახა, ხოლო ჩვენს მიერ არჩეული — არ მიიჩნია მისაღებად.

ბატონებო! მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში მართლაც ძალზე რთული სიტუაციაა შექმნილი და ჩვენი მომართვა ცოტა უხერხულიცაა, რა ვუყოთ ათასობით ინვალიდს, რომლებიც მკურნალობას ელოდებიან, სად გავუშვათ პოლიომიელიტის რეკონვალესცენტები, რომლებიც გადაუდებელ რეაბილიტაციურ მკურნალობას საჭიროებენ, სად ვუმკურნალოთ ბრონქულ ასთმას, ხშირად მოავადე ორთოპედიულ ავადმყოფებს, სად ჩავატაროთ აღდგენითი მკურნალობა?

დღეს მთელ საქართველოში გაშლილია საქველმოქმედო მუშაობა, მოწყალების გზას დაადგა საზოგადოება, მთელი საქართველო მხარში ამოუდგა მოხუცებს, ინვალიდებს, მარტოხელებს, ჩვენ კი იძულებული ვართ, მკურნალობის გარეშე დავტოვოთ ღვთის შვილები.

განა ჩვენი მომავალი, საქართველოში მცხოვრები ბავშვები არ არიან იმის ღირსნი, რომ ჰქონდეთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფო?

აუცილებლად მიგვაჩნია კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა, კერძოდ, შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის გამო ვაყენებთ წინადადებას, რომელიც ერთი შეხედვით, შეიძლება არცთუ კოლეგიური გვეჩვენოთ (მაგრამ ვიმეორებთ, მდგომარეობა ძალზე მძიმეა): როგორც ვიცით, შესაძლებელია ყოფილი IV სამმართველოს ორი საავადმყოფოს გაერთიანება და ზოგიერთი თანამშრომლის სხვადასხვა საავადმყოფოში გადანაწილება, ხოლო IV სამმართველოს II საავადმყოფო, რომელიც ყოველმხრივ გამოსადეგია რეაბილიტაციური სამსახურისათვის, გადმოგვეცეს ჩვენ, დროებით ან მუდმივად — შესაძლებლობის მიხედვით, რათა არ დაიშალოს ბავშვთა რეაბილიტაციური სამსახური საქართველოში და ათასობით ბავშვი არ დარჩეს ღვთის ანაბარა,

ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომელთა სახელით: დ. კეკლიშვილი, გ. ვეილავა, მ. შენგელია, ნ. კბილაძე, მ. გიორგაძე, ნ. კვანტალიანი, ნ. კაჭარავა.

ანალოგიური შინაარსის და ფორმის წერილი გავუგზავნეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ. თ. სიგუას.

რედაქციისაგან: საქართველოში ამ ბოლო დროს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის. ჩვენ ვწყვეტთ წერილების გამოქვეყნებას, თუ განსაკუთრებულმა ვითარებამ არ გვაიძულა საწინააღმდეგო.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

(დასასრული).

დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულება.

ყრილობაზე შეიქმნა ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგების ხელშემწყობი ჯგუფი.

ყრილობამ მიიღო მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის ყველა პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისადმი.

შემდეგ გაიმართა დამოუკიდებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

ყრილობა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

სს „საქართველო".

ამაყად რომ ჟღერდეს სიტყვა „ხუროთმოძღვარი"

თბილისში პროფკავშირების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა საქართველოს არქიტექტორთა რიგგარეშე ყრილობა. მან დასაბამი მისცა ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარების ახალ ეტაპს — წლების მანძილზე საბჭოთა სინამდვილეში დამკვიდრებული არქიტექტურული დოგმების მსხვრევას, თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი პრინციპების დამკვიდრებას.

ყრილობაზე შესავალი სიტყვით გამოსულმა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი სალუქვაძემ და სხვა მონაწილეებმა აღნიშნეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც კავშირის მუშაობას ახასიათებდა ტოტალიტარული რეჟიმის, ცენტრის დიქტატის პირობებში. ათეული წლების მანძილზე მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების უგულებელყოფამ დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო დარგს, არამედ ეროვნული კადრების აღზრდასაც. დადგა ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ზრუნვის დრო.

ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს დეკლარაცია, გამოეყოს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირს საქართველოს არქიტექტორთა კავშირი საქართველოს ხუროთმოძღვართა დამოუკიდებელ კავშირად.

ყრილობაზე მოისმინეს სარევიზიო კომისიის ანგარიში, განიხილეს კავშირის წესდების პროექტი, სადაც განსაზღვრულია ზოგადი დებულებანი და ამოცანები, კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი, კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები, მისი იურიდიული უფლებები და სხვ.

ყრილობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მიიღონ წესდების პროექტი დროებით სახელმძღვანელოდ. შეიქმნა სარედაქციო ჯგუფი, რომელიც შენიშვნების გათვალისწინებით დაამუშავებს წესდებას საქართველოს ხუროთმოძღვართა მომავალ ყრილობაზე მისაღებად. იგი 1991 წლის მაისში გაიმართება. ყრილობას არ განუხილავს კავშირის პრეზიდენტის არჩევის საკითხი. იგი მომავალი ყრილობისათვის გადაიდო.

ყრილობამ დაავალა ძველ გამგეობას გააგრძელოს საქმიანობა, ხოლო თავმჯდომარეობა ახალ ყრილობამდე ეთხოვა გიორგი სალუქვაძეს.

სს „საქართველო".

გიწვევთ „შარავანდი"

სულ ახლახან თბილისის საკონცერტო აფიშებმა გვამცნო ვაჟთა ფოლკლორული გუნდის „შარავანდის" დაარსება.

„შარავანდი" სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებასთან შეიქმნა. ეს არ არის შემთხვევითი ფაქტი. საქმე ის გახლავთ, რომ სულ რაღაც წლონახევრის წინ დაარსებული ეს საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს ეროვნულ, დემოგრაფიულ და კულტურულ აღორძინებას. ასე რომ, ვაჟთა ფოლკლორული გუნდის ჩამოყალიბება ამ მიზანსწრაფული პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა.

„შარავანდს" ცნობილი ლოტბარი და მომღერალი მიხეილ მცურავიშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლში ლოტბარებად მოწვეული არიან გურულ-მეგრული სიმღერების ბრწყინვალე მცოდნე ოთარ ბერძენიშვილი და სვანური სიმღერისა და ჭუნირის დიდოსტატი ისლამ ფილფანი. 6 თვემ დაძაბულ რეპეტიციებში განვლო და ახლა შეიძლება ითქვას, რომ ჩინებული გუნდი შეიქმნა.

13 დეკემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება „შარავანდის" დებიუტი. ვფიქრობთ, ქართული სიმღერის ყველა ჭეშმარიტი დამფასებელი მოვა კონცერტზე, რათა საკუთარი თვალით იხილოს კიდევ ერთი ახალი საგუნდო კოლექტივის დაბადება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული კითხვის, როგორც აღიარებული ოსტატები ზინა კვერენჩხილაძე, გიზო სიხარულიძე, ელდინო სალარაძე, ისე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მსახიობები თინათინ მღვდლიშვილი, ლალი ლოხიშვილი, რამაზ იოსელიანი, ზაზა მაღალაშვილი და თემურ ნაცვლიშვილი.

ზაალ გოტკოველი.

წერილები რედაქციას

გულახდილად

კოლეგებო, დაბრუნდით... ბრძოლა გრძელდება!

ბალანსირება დანის პირზე ანუ უმუშევარი ჟურნალისტის აღსარება

ჩემი მოწოდება — ჟურნალისტობა ბედადაც მექცა 1965 წლიდან, სწორედ იმ დროიდან, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სამსახურის ძებნაში „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციაში მივედი. დავწერე თუ არა რეცენზია კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში პ. კაკაბაძის პიესის მიხედვით გ. ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლზე „კახაბერის ხმალი“, მაშინვე შტატში ამიყვანეს და... მძღოლად გამაფორმეს. კულტურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პროფესიული ინტერესიც მაშინ გამოიკვეთა. ისევე, როგორც ბიბლიოთეკარებად, ლინოტიპისტებად, გამომშვებებად გაფორმებულ ჩემს ამხანაგებს, ხელფასი მეც მცირე — სულ 60 მანეთი მქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც ბედნიერები ვიყავით, რადგანაც ახალგაზრდულ გაზეთს ვუშვებდით, ვცდილობდით, ჩვენი თაობის მისწრაფება და იმედი გამოგვეხატა. ვწერდით პატიოსნად, გაბედულად, თავგამოდებით ვიცავდით კულტურის ძეგლებს, ჭეშმარიტ შემოქმედთ, რომლებიც უსიცოცხლო სტერეოტიპებს ებრძოდნენ. ზოგჯერ ცენზურისათვის გვერდის ავლას ვახერხებდით. იმდროინდელ არაორდინალურ ახალგაზრდობას, რომელსაც თავისი სიტყვა უკვე ნათქვამი ჰქონდა მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, სურდა დაემსხვრია წინა თაობის უხამსი დათაფლულობა, ცრუ პათოსი, პლაკატური, უკონფლიქტო ხელოვნების დოგმები, გენეტიკის, პარაფსიქოლოგიის, კიბერნეტიკის უარმყოფი ურყევი ორთოდოქსები.

ბაკურიანის ახალგაზრდულ სიმპოზიუმებზე სულ უფრო და უფრო ხმამაღლა და აშკარად გაისმოდა მოწოდებები ენისადმი, ეროვნული კულტურისადმი, ისტორიისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების, მეცნიერების და განათლების კარდინალური გარდაქმნის შესახებ. მიუხედავად საიდუმლო დამსმენთა შტატისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ გაუფრთხილებელ სიტყვას მაგნიტოფონი აფიქსირებდა, ბაკურიანში მაინც ითქვა კულტურის თვითმყოფადობის, ეროვნული აღორძინების გზების ძიების, ტოტალიტარული რეჟიმის უპერსპექტივობის თაობაზე. თუმცა აკრძალვის მექანიზმი ჯერ ისევ ძლიერი იყო. „ზემოდან“ გაცემული დირექტივების თანახმად, აკრიტიკებდა რა ისტორიკოსთა, პოეტთა და მუსიკოსთა ვიწრონაციონალურ პოზიციებს, ოფიციალური პრესა ინტერნაციონალიზმს, საბჭოთა ხალხის გამონაგონ ერთობას ქადაგებდა. იკრძალებოდა ო. იოსელიანის ფილმები, მ. მაჭავარიანის ლექსები, სპექტაკლები. ეს ის პერიოდი იყო, როცა „რესპუბლიკა საათივით მუშაობდა“, ხოლო საქართველოს „დედოფალი ვიქტორია“ მართავდა, იწყებოდა ხრუშჩოვისეული სიმინდის ეპოპეა, ამერიკას რძისა და ხორცის წარმოებაში უნდა დავწეოდით და გაგვესწრო კიდეც. მკაფიოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ასეთი პლაკატი: „Берегись корова, из штата Айова!“, მახსოვს ინტელიგენციის უშედეგო ბრძოლა თამარის ეპოქის საეჭვო სპეციალისტ ვერმიშევთან.

ახალგაზრდულ გაზეთებს გამოწვლილვით სწავლობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში ო. ჩერქეზიას ხელმძღვანელობით და საქართველოს კომპარტიის პროპაგანდისტები. ჩვენი ერთ-ერთი სოლიდური ასაკის თანამშრომელი, კორექტორი, გენერალური მდივნის გვარიდან ასო „რ“-ს გამორჩენისათვის სამსახურიდან დაითხოვეს. მეორეს კი „დამპალი კაპიტალიზმის“ აპოლოგიისათვის საყვედური გამოუცხადეს. სტამბაში ყოველი მორიგეობა დილამდე გრძელდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა პლენუმების და ყრილობების „ისტორიულ“ მასალებს ვაქვეყნებდით. როგორც წესი, ჟურნალისტებს არ ჰქონდათ ურთიერთობა მაღალი დონის ფუნქციონერებთან, მაგრამ ყოველი კრიტიკული სტატიის შემდეგ ჩვენს რედაქტორს გაფითრებულ სახეზე ვამჩნევდით მრისხანების ნაკვალევს. ასე მოხდა დავით გარეჯის, გელათის, ფოლკლორული ანსამბლების, საქართველოს ნაკრძალებისა და დაღუპვის პირას მისული მუზეუმების დაცვის შესახებ კრიტიკული გამოსვლების შემდეგაც. ზოგჯერ ჩვენს გამოსვლებს რესპუბლიკური პრესა, საზოგადოებრიობა აიტაცებდა ხოლმე და „საათის“ მექანიზმი ცოტა ხნით შეწყვეტდა ყურისწამღებ წიკწიკს მუდმივი გამარჯვებების შესახებ.

ატმოსფეროს განსატვირთავად დროდადრო კონკრეტულ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. ასე მოვახერხეთ მოწამეთაში კარიერის გაუქმება. იქ მარმარილოს ნაფხვენის მოსაპოვებლად ამონიტის ფენას აფეთქებდნენ და გეგმაზომიერად აზიანებდნენ ტაძარს, ანადგურებდნენ გელათის უნიკალურ მოზაიკას. თუ ჟურნალისტები ზედმეტად ყოფდნენ სხვის საქმეში ცხვირს, ანუ როგორც წარჩინებული მოხელეები ამბობდნენ, თავგასულად იქცეოდნენ, მათ არა მარტო დაუცახანებდნენ ხოლმე, როგორც მომსახურე პერსონალს, არამედ შეიძლებოდა სამსახურიდანაც მოეხსნათ, ფიზიკური გასწორებითაც კი დაემუქრებოდნენ.

ერთი ასეთი შემთხვევა მაგონდება: გამოვაქვეყნე პატარა, მაგრამ მწვავე რეპლიკა — „დაუწერელი რეცენზია“ — იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტები ჟ. ბალანჩინის კონცერტებზე არ დაუშვეს, მაშინ როცა ფილარმონიაში მოკალათებული საქმოსნები იქვე კიბეებთან 50 მანეთად ყიდდნენ ბილეთებს. ამ პუბლიკაციით დაინტერესდნენ, ცოტა ხანში რედაქციაში კუნთმაგარი ჯაშუში ამოვიდა, მაგიდაზე ხელი დამიკრა და სცადა ყელში მწვდომოდა. ჩემს დასაცავად აღსდგნენ კოლეგები, საქმეში მილიცია ჩაერია, მაგრამ მე არასოდეს დამავიწყდება მცირე კალიბრის მაფიოზის სიძულვილისაგან გამოთეთქვილი თვალები. იგი ალბათ მოხსნილმა დირექტორმა გამოგზავნა, რომელიც ფილარმონიამდე ცირკში და შესაბამის ორგანოებში მუშაობდა. მაგრამ იყო კორიფეებთან, სანდრო შანშიაშვილთან, ანდრია ბალანჩივაძესთან, პოლიკარპე კაკაბაძესთან... შეხვედრების სიხარულიც. ჟურნალისტობა ყველა კარს მიხსნიდა. ჩვენ ახალგაზრდული გაბედაობით, მოუსვენარი ბელურებივით ვცდილობდით აპარატის უშველებელი თვითკმაყოფილი სხეულის დაკორტნას და ნისკარტს ვიმტვრევდით. ერთნი ვერ უძლებდნენ, ნებდებოდნენ, ნიჭს სმაში, მათხოვრობაში ხარჯავდნენ, მეორენი სადღაც ქრებოდნენ, თავიანთ სახეს რეფერენტობასა და თანაშემწეობაში კარგავდნენ, მესამენი აპარატის პროტექციის კიბეზე აცოცდნენ, მსოფლიო კომკავშირის უფასო საგზურებით მოიარეს, მეოთხენი კი მორჩილად ეზიდებოდნენ სხვისთვის დაწერილი სტატიების ტვირთს. დიახ, ასეთებიც იყვნენ ახალგაზრდულ გაზეთებში. ჟურნალისტების დროულ შრომით მოწყობაზე, პროფესიულ ზრდაზე, მათ ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე ხომ არავინ ზრუნავდა!

ზოგი „მეორე უძველესი პროფესიის“ წარმომადგენლებს გვიწოდებდა, ზოგი — პარტიისა და კომკავშირის ჯარისკაცებსა და მზვერავებს, ზოგი — იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლებს, ზოგიც — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ჩვენ, ამ იარლიყებით აღშფოთებულნი, ვცდილობდით არ გავყიდულიყავით, ჟურნალისტური ვალისა და რწმენისათვის არ გვეღალატა. რამდენი შესანიშნავი მასალა ჩაესვენა კალათაში სიმართლის თქმის შეუძლებლობის გამო! პირადად მე არ დამიბეჭდეს ნარკვევების ციკლი ხევსურეთის და რაჭის დაცარიელებული სოფლების შესახებ, ინტერვიუ შატილის უკანასკნელ ხევისბერთან და კირილე პაჭკორიასთან, რომელიც ეროვნული ინსტრუმენტების მუზეუმის შექმნაზე ოცნებობდა, რიგი კრიტიკული წერილებისა იმ წარჩინებულ მოხელეთა თხზულებებზე, რომლებიც შემოქმედებით კავშირებში დამკვიდრებულიყვნენ. არსებობდა „ხელშეუხებელთა“ კლანი და იძულებული ვიყავით, ამას შევრიგებოდით. ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ კრიტიკული მასალა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გამოჩენილიყო, რაც პასუხისმგებელი პირი „ვიზას“ გასცემდა.

ყველა გაზეთი ერთხმად აქებდა ან ლანძღავდა ამა თუ იმ პიროვნებას. არსებობდა მხოლოდ ორი ფერი — შავი და თეთრი, ოდნავ წითელნარევი, ნახევარტონები არ არსებობდა. „ვიზა“ უფროსობისაგან არასოდეს მიმიღია. მხოლოდ 1979 წლიდან, როცა ჩემმა სამსახურმა ხარისხობრივად სრულიად სხვა სტატუსი მიიღო და „სოვეტსკაია კულტურის“ საკუთარ კორესპონდენტად დამამტკიცეს, ჩავწვდი „ვიზირების“ მექანიზმის მნიშვნელობას. როგორც ადრე, ახლაც ვფიქრობდი, რომ ჟურნალისტისთვის მთავარია დამოუკიდებლობა, სიმართლე, კულტურის განვითარებისათვის ხელისშემშლელი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, ყოველივე არაორდინალურის, ნიჭიერის, ეროვნულის პროპაგანდა. მაგრამ სტერეოტიპები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა — ფუნქციონერები თავიანთი სავარძლებისათვის, პრივილეგიებისთვის, განაფული ხელქვეითებისთვის იბრძოდნენ. ყოველი კრიტიკული მასალის შემდეგ კატასტროფულად მიფუჭდებოდა ურთიერთობა კულტურის სამინისტროსთან და ცენტრალურ კომიტეტთან.

„სოვეტსკაია კულტურაში“ მუშაობის მანძილზე სამ კულტურის მინისტრთან მომიხდა ურთიერთობა (მათგან ერთ-ერთი ციხეშიც კი მოხვდა), იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, ნდობით აღჭურვილი და დაახლოებული პირები, ტენდენციები, მაგრამ არ იცვლებოდა კულტურის მართვის სტრუქტურა.

კორპუნქტს ათობით ადამიანი აწყდებოდა, მუსიკალური და მხატვრული სკოლების პედაგოგები, მხატვრები, მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები... და საჩივრები, საჩივრები, საჩივრები პარტიული და სამართლებრივი ორგანოების თვითნებობის, კორუფციის, დიქტატის შესახებ. მაშინ, როდესაც არ შემეძლო გაჩუმება, თვეობით ვიჯექი სკოლებში, მუზეუმებში, თეატრებში, ვამოწმებდი გაგონილს, ვაჯამებდი ნანახს; თვალწინ მედგა რწმენადაკარგულთა თვალები და სახეები. თბილისის მუსიკალურ სკოლათა და კულტურის სამმართველოს საქალაქო განყოფილების მუშაობის შესახებ დაწერილ ერთ-ერთი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემი ტელეფონი მოსასმენ აპარატზე იყო ჩართული, მერე აშკარა მუქარაც გაისმა: ერთ-ერთი გამოაშკარავებული დირექტორი შინაგან საქმეთა მინისტრის ახლობელი აღმოჩნდა. მაშინვე გამოვლინდა გარკვეული კანონზომიერება. კულტურის მოვლენათა შესახებ დადებითი ნარკვევები, რეპორტაჟები, რეცენზიები საკმაოდ გულგრილად მიიღებოდა, იშვიათად მათ რესპუბლიკური პრესა გადმობეჭდავდა ხოლმე, კრიტიკულ საპრობლემო საკითხებს კი გვერდს უვლიდნენ ან რისხვით ხვდებოდნენ. ორგანიზებულად ყალიბდებოდა „საზოგადოებრივი აზრი“. ლიტერატურის ერთ-ერთმა „დიდოსტატმა“, რომელმაც წარმატებით გამოსცა თავის თხზულებათა რვატომეული, მწერალთა კავშირში სრულიად აბსურდული აზრი გამოთქვა ჩემი არაქართული წარმოშობის შესახებ. არ ერიდებოდნენ არც ჭორს, არც დევნას, არც შანტაჟს. ფაქტების უარყოფა ძნელი იყო და ამიტომ ბრძოლა ერთი პრიმიტიული სქემის მიხედვით გამორიცხვის მეთოდით მიმდინარეობდა: 1) ყველა მომჩივანი პროვოკატორი და ინტრიგანია, შეცდომაში შეჰყავს კორესპონდენტი და რედაქცია; 2) ქართული კულტურა გაფურჩქვნას განიცდის და არაა აუცილებელი საკავშირო პრესაში ცალკეულ ნაკლოვანებათა აღნიშვნა; 3) კორესპონდენტი ტენდენციურია. ამ სქემით მოქმედებდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ „ხელშეუხებელთა“ გამართლებას, საკუთარი სავარძლის შენარჩუნებას. მე არც შანტაჟის, არც ჭორის და არც მუქარის არ მეშინოდა, ვინაიდან მჯეროდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას გაიკვალავდა, მაგრამ გული მაინც მტკიოდა. განსაკუთრებით გამიჭირდა სტატიის „საპარადო კიბე“ შემდეგ, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში უხეშ დარღვევებსა და კორუფციას შეეხებოდა. ყოფილმა მდივანმა იდეოლოგიის დარგში გ. ენუქიძემ ერთ-ერთი პლენუმის შესვენებისას საჯარო სკანდალი მოაწყო. დამსწრეებს არ მოერიდა და გაკიცხა ჟურნალისტი, რომელმაც „თვითნებურად“, მის დაუკითხავად გაბედა სტატიის გამოქვეყნება. მის გვერდით მდგომმა ნ. დუმბაძემ სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ეს პირქუში სცენა მთელი ცხოვრება მახსოვს.

ნეგატიური მოვლენები და მათთან ბრძოლა ჩვენს აბსურდულ სახელმწიფოში პოლიტიკური ბრძოლის ნაწილს შეადგენდა და ხშირად ზემოდან იყო ნაკარნახევი. ინიციატივის გამოჩენა არ შეიძლებოდა. აკადემიის რექტორი კი მოხსნეს, მაგრამ სამმართველოები და ხელმძღვანელი იდეოლოგები არ შეხებიან ხელისუფლების იერარქიას და მმართველობის სტრუქტურას — კულტურის განყოფილებას მაშინ ნ. ჯანბერიძე ხელმძღვანელობდა. იდგმებოდა უნიჭო მონუმენტები, საქმოსნები მილიონებს ატრიალებდნენ, იმართებოდა დღესასწაულები, იუბილეები, ჟღერდა ფანფარები, დაახლოებული პირნი გენიოსებად ირაცხებოდნენ. საჩივრების ნაკადი კი მიედინებოდა სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა, რომ მეფე შიშველია!

კულტურის სამინისტრო და ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილება თითქოს ვერც ამჩნევდნენ, როგორ უმკლავდებოდნენ ცხინვალში ადგილობრივ ინტელიგენციას, როგორ აქეზებდნენ სეპარატისტებს აფხაზეთში, როგორ უმოქმედობდნენ აჭარაში, როგორ იყიდებოდა მიწა, რა ღარიბულად ცხოვრობდნენ მთიელები, როგორი კინკლაობა იყო გამართული თეატრებში, მუსიკალურ კოლექტივებში, შემოქმედებით კავშირებში, მუზეუმებში, როგორ ნადგურდებოდა ძეგლები და უნიკალური ექსპონატები. რწმენა ხელისუფლების უზურპაციისა და ყველაფრის დაშვებულობისა, უკიდურეს ცინიზმამდე დადიოდა. ასე მაგალითად, „სოვეტსკაია კულტურაში“ სტატიის „შარშანდელი ალიყური“ გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას ეძღვნებოდა, კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე არ დაუშვეს მუზეუმის ის თანამშრომლები, რომლებსაც არ მოსწონდათ მუზეუმის დირექტორის თ. სანიკიძის მუშაობის სტილი და მეთოდები. მხოლოდ 6 თვის შემდეგ მიიღო რედაქციამ კულტურის მინისტრის ვ. ასათიანის პასუხი. დირექტორმა, რომელსაც ყველა რანგის ფუნქციონერები ფარად აეფარნენ, მხოლოდ საყვედური მიიღო. ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა, ვიდრე კვლავ არ ატყდა აურ-ზაური სან-დიეგოს გამოფენაზე სამუზეუმო ფასეულობათა გატანასთან დაკავშირებით.

რის შესახებაც არ უნდა დამეწერა, იქნებოდა ეს მილიციის მიერ დევნილი შრომელი მეთუნე, დაჯგუფებები კომპოზიტორთა კავშირში თუ ქუთაისის ფესტივალი — ყველაფერი იდეოლოგიური თვალის სამიზნეში ხვდებოდა. დევნიდნენ ყველას, ვისაც არ სურდა სიცრუესთან შეგუება, ვისაც ზნეობისა და ღირსების გამარჯვების სჯეროდა. ამგვარი დევნის მსხვერპლი გახდა კომპოზიტორი, ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე მამია ხატელიშვილი.

1986 წელს კვლავ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ანარქიამ და თვითნებობამ სამხატვრო აკადემიაში, როცა მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტზე 22 ფრიადოსანი ჩაირიცხა, პირველსავე სესიაზე რომ ჩაიჭრნენ ხატვაში. ათობით ნიჭიერი ახალგაზრდა გარეთ რჩებოდა, პროტექციით აკადემიის სტუდენტი შეიძლებოდა გამხდარიყო ქიმიკოსი ან ბიოლოგი, სასწავლო პროცესი ჩაშლილი იყო. საპარადო კიბის სტილს, ზემოდან დაწოლის და მექრთამეობის ჯაჭვის მოსპობაზე არავინ ფიქრობდა. ეს არც გ. ენუქიძეს აწყობდა და არც ნ. ჯანბერიძეს, ისევე, როგორც არ აინტერესებდა სიმართლე ჯ. პატიაშვილს. ათობით წერილი, საჩივარი, პროტესტი ფორმალურად განიხილებოდა, ჟურნალისტს კი, რომელიც ხალხის პოზიციის დასაცავად იყო წარგზავნილი, უბრალოდ სამსახურიდან მოხსნით ემუქრებოდნენ. გ. ენუქიძე მოითხოვდა ჩემს მოხსნას და ჩემს ადგილს სხვასაც კი ჰპირდებოდა. რედაქცია კომპრომისზე წავიდა. მე არ გავუნთავისუფლებივარ, მაგრამ, სამაგიეროდ, არც წერილი დამიბეჭდა. მასალა პატიაშვილს გავაცანი. მორიგმა კომისიამ გარეთ დარჩენილ აბიტურიენტთა დიდი ნაწილი ჩარიცხა, ახალი რექტორიც დანიშნა, მაგრამ მე ეს ბრძოლა დიდი ენერგიის დახარჯვის და ნერვიულობის ფასად დამიჯდა. რარიგ ძნელი იყო დგომა ჭეშმარიტების მხარეზე ყველასთვის, ვისაც დუმილი არ ძალუძდა! ეს მეც კარგად მომეხსენებოდა და ჩემს ავტორებსაც.

საკავშირო გაზეთში ათი წლის მუშაობის შემდეგ კარგად შევიგრძენი, რომ სიმართლე არც რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აწყობდა და არც გაზეთის რედაქციას. მხოლოდ მცირე ნაკლოვანებათა გაკრიტიკება შეიძლებოდა. საკავშირო სამინისტროსა და უწყებათა, პარტიული აპარატის კრიტიკა, მწვავე პრობლემების წამოჭრა, რომლებიც საზოგადოებას აღელვებდა და თვითმპყრობელური შოვინიზმის სახეს წარმოაჩენდა, არ იყო რეკომენდირებული.

„სოვეტსკაია კულტურა“ არ ბეჭდავდა მ. თომაძის, ზ. აბზიანიძის, ლ. ვარდოსანიძის გამოსვლებს...

შემოკლებით დაიბეჭდა ე. შენგელაიას სტატია „ტყუილნარევი სიმართლე, ტყუილზე უარესია“, რომელშიც საკავშირო პრესაში პირველად ითქვა ბოლშევიზმის სისხლიან შემოსვლაზე საქართველოში, მასობრივ სისხლის ღვრაზე 1921, 1922, 1924, 1936-38, 1956 წლებში, ეროვნული ნაწილების ლიკვიდაციის, პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის უქონლობის შესახებ. სამაგიეროდ უმალ ბეჭდავდნენ სტატიებს, რომლებშიც მოსკოველი ავტორები პოლიტიკურ კაპიტალს იგროვებდნენ სტალინის კრიტიკით და გაკვრით არც ქართველი ხალხის დამცირებასა და მისი ღირსების შელახვას ერიდებოდნენ. ამ წერილებში არ იკვეთებოდა სისხლიან დანაშაულებათა ის მექანიზმი, რომელიც ჯერ კიდევ ლენინის დროს დამკვიდრდა. მხოლოდ „საქართველოს საკითხი“ ინილბებოდა ყოველმხრივ.

1987 წლის 9 ივნისს გამოქვეყნდა ისტორიკოს ზეიმალის წერილი, რომელშიც ანტიმეცნიერულად და პროვოკაციულად ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო, ერთი მხრივ ქართველები, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მიერ „დაჩაგრული“ მეგრელები, „სვანები და სხვა პატარა ხალხები“.

მოვახერხე თუ არა ქართველ მეცნიერთა საპასუხო წერილი დამებეჭდა, მაშინვე „ლიტერატურულმა საქართველომ“ — ისევ ზემოდან მითითებით — გამოაქვეყნა ტ. ჭანტურიას „ღია წერილი“, რომელიც რატომღაც „სოვეტსკაია კულტურის“ რედაქტორს კი არა, მე, მის საკუთარ კორესპონდენტს მეძღვნებოდა. მასში ავტორი შეეცადა დავედანაშაულებინე ლენინგრადიდან გამოგზავნილი წერილის პუბლიკაციაში. ამას მოჰყვა უკმაყოფილება ცენტრალური კომიტეტის მდივნების და აპარატის მხრიდან და გენერალ ი. როდიონოვის პროტესტი ჩემი პრობლემური წერილის გამო, რომელიც სამხედროების პოლიგონს — დავით გარეჯს შეეხებოდა. მე თავს იმით ვინუგეშებდი, რომ კრიტიკა ერთსულოვნად აიტაცა ახალგაზრდობამ. დავით გარეჯის დამცველი კამპანია თანდათანობით ისტორიის, ეროვნული კულტურის, ენის დამცველ მოძრაობაში გადაიზარდა. ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა. შესაბამისად იზრდებოდა ცენზურის დაწოლაც.

1989 წლის შავმა აპრილმა ყველას ნიღაბი ჩამოგლიჯა. რა დამავიწყებს 7 აპრილს, სისხლიანი ღამის წინადღეს, აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის მიერ ჯ. პატიაშვილისათვის პირში ნათქვამ რისხვით აღსავსე სიტყვებს, რომლითაც იგი პირველ მდივანს უხერხემლობასა და კონიუნქტურაში ადანაშაულებდა.

რვა აპრილს მიტინგი მთავრობის სასახლესთან შვილებთან ერთად ნაშუაღამევს დავტოვე იმ გულუბრყვილო რწმენით, რომ ძალადობას ადგილი არ ექნებოდა, თუნდაც მანამდე, სანამ ხალხი ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიმართვას არ წაიკითხავდა, რომ ზემოდან გამოცხადებული საჯაროობა და დემოკრატია არ დაუშვებდა სისხლისღვრას, რომ მოშიმშილე გოგონებსა და ვაჟებს მათი ფორმიანი თანატოლები სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდნენ. როგორ ვნანობ, რომ იქ დილამდე არ დავრჩი. რარიგ ძნელია ცხოვრება, როცა ჩვენს გვერდით აღარაა 20 წმინდანი! 9 აპრილს დილაადრიან მედესანტეთა კორდონი გავარღვიე და რუსთაველს დავუყევი. მკვდარი იყო გამზირი, ქალაქს კრიჭა შეეკრა. ერთ მხარეს გადატრიალებული სატელეფონო ჯიხურები, მეორე მხარეს კი ერთად შეგროვილი ფეხსაცმელები, ჩანთები, რვეულები ეყარა, სისხლი მარმარილოზე... არასოდეს დამავიწყდება გაქვავებული ქუჩა, საავადმყოფოში ნანახი გვამების შემზარავობა, ახალგაზრდა მოწამლული გოგონების თვალები, ყვავილების ზღვა და ზღვა მწუხარებისა... ამის საპირისპიროდ კი გაცხოველებული, „საქმიანი“ ბრიფინგები ნ. ფოფხაძესთან, რომელიც, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე გვაცნობდა ჟურნალისტებს, ცენტრიდან მოვლენილ კორესპონდენტებს, აპარატის — სიცრუის დამკვრელთა ჯგუფს იდეოლოგიის ფუნქციონერ ვ. ბაკლანოვის მეთაურობით.

აღშფოთებულნი ვცდილობდით სიმართლის შეტყობას შემაძრწუნებელი აქციის მომწყობთა და შემსრულებელთა შესახებ. პასუხად კი შეურაცხყოფა და დემაგოგია, 14 აპრილამდე...

მე და ჩემმა კოლეგებმა ყველა საავადმყოფო და დაღუპულთა ოჯახები მოვიარეთ, ვნახეთ ნიჩბებით დასახიჩრებულნი, ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულნი, დარბევის შემდეგ დალეწილი სტამბა, ვესაუბრეთ სამხედროებს, მედიკოსებს, იურისტებს. მოსკოვში მასალებს არ ბეჭდავდნენ ან ულმერთოდ ამახინჯებდნენ და ამცირებდნენ. სიცრუის ყრუ კედელი აღმართულიყო. ჩვენ, ცენტრალური გაზეთების რამდენიმე საკუთარმა კორესპონდენტმა პროტესტის ნიშნად გათავისუფლება მოვითხოვეთ. რედაქცია შემპირდა, რომ ჩემს სტატიას ყრილობაზე კომისიის თავმჯდომარის ა. სობჩაკის გამოსვლის შემდეგ გამოაქვეყნებდა. იმედს არ ვკარგავდი. წარმოვადგინე მასალები საქართველოს მინისტრთა საბჭოს კომისიისა, რომელშიც თავად ვმუშაობდი, სამედიცინო ცნობები, იურიდიული დოკუმენტაცია, თვითმხილველთა ჩვენებები და დასკვნები. უშედეგოდ. კომისიაზე გამოძახებული ფუნქციონერები, ბიუროს წევრები ან აშკარად ტყუოდნენ, ან ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, რათა თავიანთი დამსახურება წარმოეჩინათ. ამაზრზენი იყო მათი მცდელობა, ყველაფერი სამხედროებისთვის, ნიკოლსკისა და „ექსტრემისტებისთვის“ დაებრალებინათ, მოსკოვში სახალხო დეპუტატებთან, სსრკ უზენაესი საბჭოს I კომისიის თავმჯდომარე ტარაზევიჩთან, სობჩაკთან შეხვედრების შემდეგ ნათლად დავინახე, დიქტატის ის საშინელი მექანიზმი, რომელიც თბილისში ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიების საკითხის გარშემო შეიქმნა, დავრწმუნდი ბევრის უზნეობასა და მოქმედების უუნარობაში.

„სოვეტსკაია კულტურას“ რედაქტორმა ა. ბელიაევმა არც 9 აპრილის წლისთავზე დამიბეჭდა სტატია. რა უმნიშვნელო იყო ჩემი გულისტკენა, როდესაც დღემდე არ დაუსჯიათ ამ აქციის სამხედრო ხელმძღვანელები, კონკრეტული მკვლელები, ხოცვა-ჟლეტის მომწყობნი არა მარტო თბილისში, არამედ აფხაზეთშიც, შიდა და ქვემო ქართლში. ამ უსიცოცხლო მექანიზმის ჭანჭიკი არ მინდოდა ვყოფილიყავი და ცენტრალური გაზეთიდან წამოვედი. ჩემთვის კიდევ ერთი მორალური დარტყმა იყო საკუთარი ბედისადმი, ისევე, როგორც ბევრი ჩემი კოლეგის ბედისადმი გულგრილი დამოკიდებულება ვ. გურგენიძის და ყოფილი პრეზიდენტის გ. გუმბარიძის მხრიდან, რომელმაც დრო ვერ გამონახა ჟურნალისტთან შესახვედრად.

საკითხი რომ მხოლოდ ჩემს ბედსა და შრომით მოწყობას ეხებოდეს, კალამს ხელში არ ავიღებდი, მაგრამ როცა პირადად გამოვცადე მარტის არჩევნების სიყალბე, როცა ჩემს კონკურენტებად დასახელებულნი იყვნენ პარტიულ-სამეურნეო აპარატის ფუნქციონერები, რომლებმაც რესპუბლიკა დაღუპვის პირას მიიყვანეს, როცა კანდიდატთა სიაში ნ. ჯანბერიძის გვარი ამოვიკითხე (სხვათაშორის მისი კანდიდატურა კოლეგების მიერ კი არა, არამედ ბაგა-ბაღის კოლექტივის მიერ იყო წამოყენებული. ახლა კი კომპარტიის სიით გავიდა პარლამენტში), როცა მუხრანში ნიკო ბაგრატიონის სასახლე უსახურავოდ დგას, როცა დღითიდღე იზრდება დანაშაულობათა რიცხვი, როცა შედარებით თავისუფლების გარეგნული ნიშნების ქვეშ ცდილობდნენ სრული უუნარობისა და არაკომპეტენტურობის დაფარვას, მივხვდი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა მისაღწევი. მრგვალი მაგიდის გამარჯვების შემდეგ ფუნქციონერები და ძველი აპარატის მუშაკები დადუმდნენ, გაყუჩდნენ, თუმცა არ დაუყრიათ ფარ-ხმალი, არ თმობენ თავიანთ ადგილს მზის ქვეშ. როგორ იცხოვროს საქართველომ, როგორ იცხოვრონ ჟურნალისტებმა, ყველამ, ვინც იცის თავისუფლების ფასი, ვინც იცის, რომ თავისუფლების სიმბოლო თავისუფლება არაა, იგი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს გონებასა და მარჯვენაზე, საქართველოს მრავალპარტიული სისტემით არჩეული მთავრობის ერთგულების დროშის ქვეშ ყველას კონსოლიდაციაზე. მჯერა, რომ ქართველი ჟურნალისტები ყოველთვის სიმართლის, ჭეშმარიტების და ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში იქნებიან. მე კი დავიწყე მუშაობა „7 დღის“ რედაქციაში — თავისუფალ, დამოუკიდებელ გაზეთში, მაგრამ, როგორი შეთხელებულია ჩვენი რიგები! რამდენი სახელი დაკარგულია კოოპერატივებში, სარეკლამო გამოცემებში, სამინისტროებში...

კოლეგებო, დაბრუნდით... ბრძოლა გრძელდება!

ია ბაგრატიონ-მუხრანელი

კოლეგები

საქართველო უწინარეს ყოვლისა!

ეს პოეტური სტრიქონი უძღვის დევიზად ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანოს „ქართველი ერი“ № 1 (3), რომელიც ამა წლის დეკემბრის პირშია.

სახელწოდებაში „ქართველი ერი“ ჩვენი მრწამსია გაცხადებული. ჩვენი მიზანი ქართველი ერის სამსახურია“, — გვამცნობს რედაქცია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამავე სახელწოდების გაზეთის პირველი და მეორე ნომერი გამოსულა ჯერ კიდევ 1953 წელს მადრიდში ისევ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თაოსნობით და მისი რედაქტორი იყო დიდი ქართველი მამულიშვილი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ახალი გაზეთი ძველ გზას აგრძელებს, რადგან აღდგა ქართველ პატრიოტთაგან დაარსებული ტრადიციონალისტთა კავშირი, რომლის ერთ-ერთი შემქმნელი თვით ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი იყო, რომელიც ემიგრაციაში მყოფმა ქართველობამ 1942 წელს საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა. 1977 წელს იგი გარდაიცვალა. გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ფოტო ირაკლი ბაგრატიონის ქართული ავტოგრაფით და გიორგი ვაჩნაძის გამოსათხოვარი წერილი (გადმობეჭდილია საფრანგეთში გამომავალი ჟურნალიდან „ბედი ქართლისა“). გაზეთი აქვეყნებს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის დეკლარაციას, ამავე კავშირის დეპუტატთა სიას, გ. ფურცელაძის საუბარს დეპუტატ აკაკი ასათიანთან, წერილს „ბაგრატიონ-მუხრანელები — საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი“.

„ბაგრატიონ-მუხრანელთა დღეს არსებული შტოს უფროსი წარმომადგენელი ირაკლი ბაგრატიონის ძე, ბატონიშვილი გიორგია. მას სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს“, — ვკითხულობთ ამ წერილის დასასრულს. აქვეა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის მოლოცვა საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას და საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ აკაკი ასათიანისადმი.

რუბრიკით „მოგონებანი გარდასულ დღეთა“, დაბეჭდილია ინტერვიუ ნიკოლოზ გორდელაძესთან „ქართველი გიმნაზისტი და... საქართველოს დამოუკიდებლობა“. „ქართველი ერის“ მე-6-8 გვერდებზე გაეცნობით ვრცელ მიმოხილვას კანადაში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაზე — „ნახვამდის კანადა, გაუმარჯოს თავისუფალ კვებეკს“; ნატო მკერვალიშვილისა და გიორგი ჰანტურიას პუბლიკაციას „სამეფო ხელისუფლება დიდ ბრიტანეთში“.

ფრიად საინტერესოა ანონიმური ლექსი-მოთქმა სოლომონ II-ის კარის მოძღვრისა, რომლის წინასიტყვაობა ეკუთვნის ირაკლი კენჭოშვილს (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

გაზეთ „ქართველი ერის“ რედაქტორია დავით დარჩიაშვილი.

ქრიმინალური ქრონიკა

4 დეკემბერს სამტრედია-თბილისის მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში თბილისის № 65 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ არასრულწლოვანმა ზაზა კაციაშვილმა, თბილისის საესტრადო სასწავლებლის მოსწავლემ ნიკოლოზ ქორქაშვილმა და უმუშევარმა, 1970 წელს დაბადებულმა კობა ფურცხვანიძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სამხედრო მოსამსახურეებს — კაპიტან იური ვინოგრადოვს, ლეიტენანტ ალექსი ბოკატინოვს და უფროს ლეიტენანტ ოლეგ იუბატკინს. ი. ვინოგრადოვი მოთავსებულია სურამის საავადმყოფოში. კ. ფურცხვანიძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამედიცინო შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ როგორც ქართველი ახალგაზრდები, ისე სამხედრო მოსამსახურენი, ნასვამნი იყვნენ.

მომხდარი ინციდენტის მიზეზებსა და გარემოებებს საბოლოოდ გამოძიება მოჰფენს ნათელს და დამნაშავენი საკადრისად დაისჯებიან. მაგრამ დამაფიქრებელია სხვა რამ. ახლა, როცა სამხედრო უწყება გაფაციცებით ეძებს საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა შევიწროებისა და შეურაცხყოფის ფაქტებს შორს გამიზნული მოქმედებისათვის, საქართველოს თითოეულმა მცხოვრებმა, დიდმა და პატარამ, კარგად უნდა გაითვალისწინოს ეს, არ წამოეგოს პროვოკაციაზე, მით უმეტეს — არავითარი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაიდინოს სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ.

განვლილ 3 დღეში რესპუბლიკაში გრძელდებოდა დაძაბული ოპერატიული ვითარება, მოხდა სისხლის სამართლის 71 დანაშაული, აქედან 2 მკვლელობა, სახელმწიფო ქონების ქურდობის 8, პირადი ქონების ქურდობის 20 შემთხვევა, გატაცებულია 8 ავტომანქანა, მოხდა 23 ავტოავარია, რასაც ექვსი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. აღმოჩენილია ერთი გვამი ძალადობის ნიშნებით.

შეშფოთებას იწვევს ძარცვა-ყაჩაღობის გახშირება. სამ დღეში მოხდა 8 ძარცვა-ყაჩაღობა.

2 დეკემბერს ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს სამრეწველო საქონლის მაღაზიაში თეთრი ფერის ჟიგულის მარკის უნომრო ავტომანქანით მივიდა 5 დაუდგენელი პირი, რომლებმაც იარაღის მუქარით დააშინეს გამგე-გამყიდველი დარეჯან შენგელია, გამყიდველი მადონა სუპატაშვილი და გაიტაცეს ნავაჭრი თანხა 5.500 მანეთი.

4 დეკემბერს თეთრი ფერის 21011 მარკის უნომრო ავტომანქანით მისული ავტომატებით, პისტოლეტით და გადაჭრილი თოფით შეიარაღებული ხუთი ბოროტმოქმედი თავს დაესხა წყალტუბოს ზონის სოფელ გეგუთის სასურსათო მაღაზიას, საიდანაც გაიტაცეს ნავაჭრი თანხა 100 მანეთი. იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით ვარციხეჰესის დასახლებაში ავტომატით, პისტოლეტით და გადაჭრილი თოფით შეიარაღებული 5 ბოროტმოქმედი თავს დაესხა სასურსათო მაღაზიას, საიდანაც გაიტაცეს ნავაჭრი 800 მანეთი და მიიმალნენ იმავე ნიშნის ავტომანქანით.

მილიციის მუშაკების მიერ დადგენილ იქნა ერთ-ერთი დამნაშავე — თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის ქვის დამამუშავებელი კოოპერატივ „ჩუქურთმის“ მუშა ტარიელ ალექსანდრეს ძე ცხადაბერიძე.

3 დეკემბერს საღამოს 9 საათზე თბილისში თამარაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ელვირა მამულაშვილის ბინაში შეიჭრა 4 ნიღბიანი, გადაჭრილი თოფებით შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაიტაცეს იაპონური მაგნიტოფონი „ჯივისი“, ვიდეო მაგნიტოფონი „აკაი“, 10.200 მანეთი, 150 გირვანქა სტერლინგი და სხვადასხვა სიუველირო ნაკეთობანი.

2 დეკემბერს თბილისში, ბორჯომის ქუჩაზე „ავე-მეტეხის“ ერთობლივი საწარმოო ფირმის საერთო საცხოვრებელთან დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა სიტყვიერი მუქარით ფირმის არქიტექტორს — ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეს მილან ფიგულმს წაართვა 2 დოლარი და 200 მანეთი. მილიციის მუშაკებმა დააკავეს 1975 წელს დაბადებული უმუშევარი გიორგი ხეთაგური, ნაძარცვი ამოღებულია.

ჩვენი საზოგადოებრიობა ძალიან შეაშფოთა ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ადამიანის მოტაცებამ გამოსასყიდის მღების მიზნით.

2 დეკემბერს მცხეთის მილიციის რაიგანყოფილებაში მივიდა მოქალაქე თეიმურაზ თოთიბაძე, რომელმაც განაცხადა, რომ 1 დეკემბერს 17 საათსა და 30 წუთზე ქ. მცხეთაში, სამხედრო ქუჩიდან დაუდგენელმა პირმა მოტყუებით გაიტაცა მისი ვაჟი — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გივი თოთიბაძე. ბოროტმოქმედებმა მამას გამოსასყიდად 700.000 მანეთი მოსთხოვეს. მილიციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ყმაწვილი მშობლებს დაუბრუნდა. მიმდინარეობს დამნაშავეების ძებნა.

3 დეკემბერს დილის 9 საათზე დიღმის მასივის მესამე კვარტლის 31-ე კორპუსთან 4 დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ავეჯის რესპუბლიკური საბითუმო-საცალო ვაჭრობის გაერთიანების დირექტორს ვასილ მეჭდლიძეს და შეეცადა ძალით ჩაესვა იგი უნომრო ვაზ 2109 მარკის ავტომანქანაში, მაგრამ, წააწყდნენ რა წინააღმდეგობას, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მილიციის ორგანოების მუშაკები საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ამ დღეებში სისტემატურად ამოწმებენ სავაჭრო ობიექტებს საქონლის გადამალვისა და სპეკულაციის გამოვლინება-აღკვეთის მიზნით.

2 დეკემბერს წყალტუბოში შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების, ქართველ ოფიცერთა კორპუსის საბჭოსა და „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ შემოწმებულ იქნა სატვირთო მანქანა, რომელშიც აღმოჩნდა 63282 მანეთის საერთო ღირებულების სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი, 520 კოლოფი სიგარეტი „მტკვარი“, 4.560 კოლოფი „ასტრა“. შემოწმებით დადგინდა, რომ ეს საქონელი წყალტუბოსა და სხვა მაღაზიებში რესპუბლიკიდან გასატანად შეიძინეს მოლდოვის რესპუბლიკიდან ჩამოსულმა ბოშებმა. კერძოდ, მამაკაცის ქურთუკები შეიძინეს კურორტვაჭრობის № 55 მაღაზიაში (მაღაზიის გამგის მოვალეობის შემსრულებელი იუზა ჯიქია), 520 კოლოფი სიგარეტი შეიძინეს საზკვების № 2 სამწვადეში სამწვადის მუშის ანზორ ჯიქიასაგან. იმავე დღეს გამოვლინებულ იქნენ უკრაინის სსრ კარპატის ოლქის მცხოვრებნი ზინაიდა ივანოვიჩი და ვასილ ბოჩროკი, რომლებმაც წყალტუბოში, მათთვის უცნობი პირისაგან შეიძინეს 31 ყუთი ხსნადი ყავა.

2 დეკემბერს თბილისის მთაწმინდის რაიონის მილიციის რაიგანყოფილების მუშაკებმა შეამოწმეს რაისურსათვაჭრობის № 9 მაღაზია „ქართული ჩაი“, რომლის გამგეს თამარ გიორგაძეს საწყობში აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის 2095 მანეთის ღირებულების გადამალული საქონელი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

საქართველოს შემდგომ განვითარებას...

ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის ინტერვიუ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორ მწერალ გურამ ბათიაშვილისადმი

— თქვენ 75 წელს გადაცილებული ადამიანი ხართ. თქვენს თვალწინ, თქვენი მარჯვენითაც შენდებოდა ეს ქვეყანა. ამიტომ მკითხველი თქვენს ბიოგრაფიაში ქვეყნის ბიოგრაფიას და ცხოვრების გზას დაინახავს. იქნებ, გვიამბოთ თქვენი ცხოვრების თაობაზე?

— ისრაელში 1935 წელს ჩამოვედი პოლონეთიდან და სწავლას შევუდექი იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებშივე შევუერთდი პალესტინაში დიდი ბრიტანეთის კოლონიური სისტემის წინააღმდეგ მებრძოლთ, ჯერ ვიყავი „ეცელში" (ეროვნული სამხედრო ორგანიზაცია. აქ და შემდეგ განმარტება ჩემია — გ. ბ.), ხოლო შემდეგ გადავედი „ლეხში" (ისრაელის თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია). ინგლისის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გამო რამდენჯერმე დამაპატიმრეს, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი პალესტინაში ბრიტანელთა სატუსაღოებიდან გაქცევას და ბრძოლის განგრძობას. მიზანს რომ მივაღწიეთ, ისრაელის სახელმწიფო რომ შევქმენით (1948 წელი), კერძო საქმეს მოვკიდე ხელი. ასე გაგრძელდა 1965 წლამდე. თუმცაღა, პარალელურად 1945-65 წლებში ვთანამშრომლობდი „მოსადთან" (ისრაელის დაზვერვა), პოლიტიკურ მოღვაწეობას 1969 წელს შევუდექი, როდესაც შევუერთდი „ხერუთს" (პარტიულ ბლოკ „ლიკუდის" წამყვანი ფრაქცია). 1973 წელს ამირჩიეს ქნესეთის (ისრაელის პარლამენტი) წევრად. 1977 წელს, ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ არჩევნებში პირველად გაიმარჯვა ჩვენმა პარტიულმა ბლოკმა „ლიკუდმა" და მე ქნესეთის თავმჯდომარედ ამირჩიეს. 1980 წელს დავინიშნე საგარეო საქმეთა მინისტრად. 1983 წელს, მენახემ ბეგინის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. 1984-86 წლებში, როცა პარტიულ ბლოკ „მაარახთან" კოალიციური მთავრობა შევქმენით, ვიყავი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი. 1986 წლიდან კვლავ პრემიერ-მინისტრი გახლავართ.

— რა იცით საქართველოზე? რასაკვირველია, ებრაული თემისაგან დამოუკიდებლად, რადგან საქართველოში ებრაელთა მშვიდობიანი ცხოვრების თაობაზე საყოველთაოდაა ცნობილი.

— საქართველოზე ის ვიცი, რომ აქ ცხოვრობენ ძალიან კეთილი და გაბედული ადამიანები. ვიცი ის, რომ ქართველებმა ძალიან გულთბილი დამოკიდებულება გამოავლინეს ეროვნული უმცირესობის — ებრაელობის მიმართ. ებრაელები მათ გვერდით ცხოვრობდნენ, ცხოვრობენ და ამის გამო ჩვენ დიდი პატივისცემით ვართ განწყობილი ქართველების მიმართ.

— როგორ შეაფასებდით ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა როლს ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო პოტენციალის ზრდაში.

— ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ იმ ქართველ ებრაელთა წვლილით ქვეყნის წინსვლის საქმეში, რომლებიც 70-იან წლებში ჩამოვიდნენ ისრაელში. დღეს ისინი ისრაელის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. საგრძნობლად შესამჩნევია მათი წვლილი სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: ჩვენ უკვე გვყავს პარლამენტის წევრი ქართველი ებრაელი ეფრაიმ გური, რომელმაც მინისტრის მოადგილის პოზიციას მიაღწია ისრაელის მთავრობაში.

— აი, თქვენი სახელმწიფო შექმნილია. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ თითქმის ყოველდღე საომარ სიტუაციაში ცხოვრობთ, ქვეყანა დღითიდღე ღონიერდება, მშვენიერდება. ახრულდა თქვენი ოცნება? მიზანს მიაღწიეთ? რა არ მოგწონთ დღეს ისრაელში?

— ისრაელი განავითარეს მისმა მოქალაქეებმა. ისინი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მიღებამდე იყვნენ პიონერები სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ძალიან მძიმე პირობებში შრომობდნენ უდაბნოს აყვავებისათვის. იმავდროულად, ამ მძიმე შრომასთან ერთად, მათ უხდებოდათ იარაღით დაეცვათ მშობლიური ქვეყანა მტრებისაგან. დამოუკიდებელი სამშობლოს უდიდესი რწმენა და სურვილი მისი არსებობისა, გახლდათ უაღრესი ძალისმომცემი ფაქტორი საშინელ პირობებში შრომისა და თავდაცვითი ბრძოლებისა.

ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. ებრაული სახელმწიფო აღვადგინეთ. დღეს საკითხს არ ვსვამ ისე, რომ რამე მომწონდეს, ან არ მომწონდეს. მე ყოველდღე, ყოველ საათს ვიღწვი იმისათვის, რომ განვავითაროთ და წინ წავწიოთ სახელმწიფო ყოველ სფეროში, ყოველ დარგში.

— ახლახან, ამ დღეებში საქართველოში მოეწყო მრავალპარტიული არჩევნები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოსაკენ. შორს აღარ არის ის დღე, როცა საქართველო იქნება დამოუკიდებელი. და აი, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყანა დღესვე დაეძებს მეგობრებს. როგორი იქნება ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოზიცია ამ საკითხში?

— ჩვენ გვაქვს პატივისცემის უდიდესი გრძნობა ქართველი ერისადმი. გამოვთქვამთ იმედს, რომ მომავალ წლებში საქართველო შეძლებს შემდგომ განვითარებას და აღმავლობას. ისრაელი კი ძალიან მოხარული იქნება ხელი შეუწყოს საქართველოს შემდგომ განვითარებას.

— უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ბევრი რამ შეიცვალა. წინ წავედით პლურალიზმის თვალსაზრისით და უკან დავიხიეთ ეკონომიკურად. „გლასნოსტი" კი გვაქვს. მაგრამ ყველაფერი მაინც არ ვიცით. თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ე.წ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასახლებთ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ებრაელობას. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

— ჩვენ არ ვეწევით სსრკ-დან ან რომელიმე სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ებრაელების განთავისუფლებულ ტერიტორიებზე დასახლების პოლიტიკას. ყოველი ემიგრანტი უფლებამოსილია აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ზოგი ისრაელის ჩრდილოეთში ირჩევს ცხოვრებას, ზოგი — სამხრეთში. ვისაც, სადაც სურს, იქ მიდის, ეს მისი ნებაა.

შემიძლია დავემოწმო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ამ კომენტარს. ისრაელში ჩვენი მივლინების ერთ-ერთი მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ალიის (ემიგრანტთა სათვისტომოს) პრობლემები. ამ პროგრამაში შედიოდა ემიგრანტებთან შეხვედრა. ერთ საღამოს თელ-ავივის ბენ-გურიონის აეროპორტში გავემგზავრეთ, რომ გვენახა თუ როგორ შემოდიოდნენ სახელმწიფოში საბჭოთა კავშირიდან წამოსული ადამიანები. ყოველ ჩამოსულს ეგებებოდნენ სიმღერით, ალერსით. საემიგრაციო სამსახური იქვე ეკითხებოდა თუ სად, რომელ ქალაქში ეწადათ გამგზავრება. აქვე ვიტყვი, რომ დღეს ისრაელში ჩამოვიდა 2000 ადამიანი. ეს არ არის სარეკორდო ციფრი. ერთ დღეში ამდენი ემიგრანტის ჩამოსვლა ჩვეულებრივი ამბავია და ასეთი მოზღვავება გარკვეულ ეკონომიკურ გართულებას წარმოშობს ამ მშვენიერ ქვეყანაში. ყოველ ამათგანს სჭირდება ბინა, სამსახური. სახელმწიფო კი მათ, როგორც ბატონი იცხაკ შამირი ამბობს, არავითარ მიმართულებას არ აძლევს. ისრაელში ჩასული ყოველი ებრაელი (კი, დღევანდელი ალიის 80% არაებრაელი — რუსი, უკრაინელი, ბელორუსია) თავად გახლავთ თავისი ბედის მჭედელი. მის ნიჭზე, ცოდნაზეა დამოკიდებული ყველაფერი. და თუ ზოგი წმინდა ეროვნულ-პატრიოტული მოსაზრების გამო ირჩევს არაბთა შორის ცხოვრებას, ეს მათი პირადი ნებაა. ასე მაგალითად, ისრაელის მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი, რომელსაც არავითარი გასაჭირი არ ჰქონდა თავად გადასახლდა არაბულ უბანში და განაცხადა, რომ მას არ აშინებს არაბთა მუქარა — ყოველ ებრაელს ზურგში დანა ჩასცხეს.

დასასრულ მინდა აღვნიშნო: ისრაელის მთავრობას არასოდეს ჰქონია მშვიდი ცხოვრება. მას ზოგჯერ ერთადერთი და ზუსტი გადაწყვეტილების მისაღებად დღეები და საათები კი არა, წუთები აქვს მიცემული. დღეს, სპარსეთის ყურის კონფლიქტისა და ალიის მოზღვავების გამო, კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია მთელს სახელმწიფოში, მაგრამ ბატონმა იცხაკ შამირმა მაინც გამონახა საუბრის დრო. ამას უნდა ვუმადლოდე ისრაელის პარლამენტის წევრს ეფრაიმ გურის ჩვენს თანამემამულეს ეფრაიმ გურიელაშვილს, რომლის პოზიცია ისრაელის მთავრობაში დღეს საკმაოდ გაძლიერდა.

სურათზე: იცხაკ შამირი.
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის".

სხვათა გამოცდილებიდან

1. აუცილებელი ზღუდე— სენატის მოღვაწეობის

პირველი საუკუნე

ორასზე მეტი წლის წინათ, როდესაც კონსტიტუციური კონვენტის დელეგატები შეერთებული შტატების სენატის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს განიხილავდნენ, ჯეიმს მედისონმა სენატს „აუცილებელი ზღუდე" უწოდა. კონგრესის ზედა პალატაში მედისონი ხედავდა ხალხის დაცვის საუკეთესო ინსტრუმენტს საკუთარი „მერყეობისა და ვნებებისაგან". კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლება დაიყო საკანონმდებლო, აღმასრულებლად და სასამართლოდ, ამასთან ყოველ მათგანს სხვებისთვის თვალყური უნდა ედევნებინა და შეეკავებინა ისინი. მედისონი ვარაუდობდა, რომ სენატორები, რომლებიც უფრო დიდ ხანს მსახურობენ (ექვსი წელი) და რომლებსაც შტატების საკანონმდებლო ორგანოები ირჩევდნენ, კონგრესში გააწონასწორებენ წარმომადგენელთა პალატის წევრებს — მათ უშუალოდ ხალხი ირჩევს ორი წლის ვადით და შესაბამისად უფრო განიცდიან ამომრჩეველთა ცვალებადი განწყობილებების ზეგავლენას. სენატის „განათლებული მოქალაქეები" უნდა გამხდარიყვნენ „აუცილებელი ზღუდე" საზოგადოების იმპულსური ქმედებისაგან უფლებათა და კანონების დასაცავად. პირველი კონგრესის მიერ და სახელმწიფოს არსებობის პირველი საუკუნის განმავლობაში მიღებულმა სენატის გადაწყვეტილებებმა შექმნეს პრეცედენტები, რომელთაც სენატი დღემდე ემყარება. და თუმცა სენატი მას შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა, იგი ჯერ კიდევ განიცდის იმ წლების გავლენას.

ვინ შეიძლება იყოს სენატორი?

სიტყვა „სენატი" წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „სენატუს" რაც „უხუცესთა საბჭოს" ნიშნავს. როდესაც სენატორთათვის მინიმალური ასაკი — 30 წელი დააწესეს, — კონგრესმენებისაგან განსხვავებით, რომლებიც 25 წლიდან შეიძლება იქნან არჩეული, — კონსტიტუციის შემოქმედებმა" ცხადყვეს, რომ სენატი კონგრესის უფროსი პალატა უნდა იყოს. „სენატორთა პასუხისმგებლობის ბუნება", მიუთითებდა ალექსანდერ ჰამილტონი, მოითხოვს უფრო ფართო თვალსაწიერს და მეტ გაწონასწორებულობას. სენატორმა უნდა მიაღწიოს ასაკს, რომელიც „ადამიანს ამ უპირატესობებს ანიჭებს". გარდა მოთხოვნისა, რომ სენატორები უნდა ცხოვრობდნენ იმ შტატში, რომელსაც წარმოადგენენ (ყოველი შტატი ორ სენატორს ირჩევს), და შეერთებული შტატების მოქალაქეები უნდა იყვნენ არანაკლებ ცხრა წლის მანძილზე, კონსტიტუციამ სენატის წევრობის კანდიდატებს სხვა არავითარი შეზღუდვები არ დაუწესა — ეს ეხება რასას, სქესს, რელიგიას, ეროვნებას და ქონებრივ მდგომარეობას.

სენატი ირჩევს თავის თანამდებობის პირებს სენატის პრეზიდენტის გარდა, რომლის მოვალეობა კონსტიტუციით შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს ეკისრება. ქვეყნის ისტორიის ადრეულ პერიოდში ვიცე-პრეზიდენტები სენატის სხდომებზე თავმჯდომარეობდნენ. ახლა ისინი იშვიათად ესწრებიან სხდომებს და ამ მოვალეობას ასრულებს რომელიმე სენატორი უმრავლესობის პარტიიდან. სხვა თანამდებობის პირებია (არც ერთი მათგანი არ არის სენატორი) — სენატის მდივანი, სენატის ბოქაული, კაპელანი, უმრავლესობისა და უმცირესობის პარტიების მდივნები.

როგორ მუშაობს სენატი

კონსტიტუციის ავტორებმა უზრუნველყვეს სენატის გარკვეული დამოუკიდებლობა წარმომადგენელთა პალატისა და ხელისუფლების ორი სხვა შტოსაგან. სენატი ახორციელებს გარკვეულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, ამავე დროს იგი თვითმართვადი ორგანოა, რომელიც საკუთარ პროცედურულ წესებს შეიმუშავებს. ეს წესები, (ასეთი 42) პრეცედენტების (პროცედურული წესების ინტერპრეტაცია) გაცილებით მეტ რიცხვთან ერთად განსაზღვრავენ სენატის ყოველდღიურ საქმიანობას.

ვიცე-პრეზიდენტ თომას ჯეფერსონს, რომელიც სენატში 1797-1801 წლებში თავმჯდომარეობდა, უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა „ამ ღირსეულ სახელმწიფო დაწესებულებაში წესრიგის, ქცევის წესების და თანამიმდევრულობის შენარჩუნება". მართლაც, თავისი არსებობის ადრეული წლებიდანვე სენატი ღირსეულად ეწყობოდა დებატებს და გამოჰქონდა რეზოლუციები. 1881 წელს ფრანგმა ისტორიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა მოწონებით დაახასიათა სენატი, როგორც „მჭერმეტყველი ორატორების, გამოჩენილი გენერლების და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწეების" კრება. თავის საქმიანობაში სენატი ახლაც ინარჩუნებს ოფიციალურ საპარლამენტო ენას და იცავს ყველა ფორმალურ პროცედურას.

ჟურნალი „ამერიკა",
1990 წელი.

სადამ ჰუსეინის ატომური ბუნკერი

ქვა ქვაზე ნურმც დარჩენილა, სადამ ჰუსეინს ეს არ აღელვებს, მთავარია, თავად გადარჩეს და მაშინაც იცხოვროს ნაჩვევ ფუფუნებაში. გერმანული ჟურნალი „კვიკი" დაწვრილებით აღწერს ღონისძიებებს, რომლებიც ამ დიქტატორს თადარიგიანად შეუმუშავებია ჯერ კიდევ რვა წლის წინ.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მდინარე ტიგროსზე კვამლის ნისლი იყრება. პრეზიდენტის ოდესღაც დიდებული სასახლისაგან მხოლოდ საძირკველიღა დარჩენილა. ფინიკის პალმები ახლო-მახლო ხეივნებში თითქოს ვიღაცამ ძირში გადაჭრაო. მთელი არემარე ნაცარტუტად არის ქცეული, ყველაფერს სიკვდილის დაღი ატყვია.

ამ დროს ნელა, ჭრიალ-ჭრიალით იღება სამტონიანი ფოლადის კარი, საიდანაც მედიდურად გამოდის სადამ ჰუსეინი თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ.

ყოველივე ეს შეიძლება რეალობად იქცეს მას შემდეგ, რაც დამთავრდება სავსებით შესაძლებელი ომი ერაყსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ირგვლივ ქაოსი, სიკვდილი, ნანგრევებია — სადამ ჰუსეინს კი არაფერი უჭირს.

იგი გადარჩა, გადარჩა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჰქონდა „სასწაულებრივი ბუნკერი". „არაბმა სტალინმა", როგორც მან უწოდა საკუთარ თავს, ჯერ კიდევ რვა წლის წინ დაავალა აუგსბურგის სამშენებლო ფირმა „ბოსჰაუ-კნაუეს" (გერმანია) აეშენებინა მისი სასახლის ქვეშ მთელ მსოფლიოში საუკეთესო მიწისქვეშა ნაგებობა.

ეს სამუშაოები — დღიდან დაწყებისა ამდღევანდლამდე — უმკაცრესად იყო გასაიდუმლოებული ისინი ხორციელდებოდა ნომრით „პროექტი 305" — სხვა აღნიშვნები არ ყოფილა. ყველა ძირითადმა მონაწილემ იცოდა, რა იმალება ამის მიღმა და ამიტომ დღესაც დუმილს ამჯობინებენ.

სადამის მიწისქვეშა შტაბბინას მთლიანად უკავია 1800 კვ. მეტრი, ხოლო მისი გარეთა კედლების სისქე დაახლოებით ორი მეტრია. ბუნკერიდან 250 მეტრზეც კი რომ აფეთქდეს ხიროსიმაში ჩამოგდებული ბომბის ანალოგიური ატომური ბომბი, ერაყელ დესპოტს არაფერი დაუშავდება.

გარესამყაროსაგან საიმედოდ დაცულ ამ თავშესაფარში სადამ ჰუსეინი და მისი უახლოესი ნათესავები, აგრეთვე მომსახურე პერსონალის მთელი ლეგიონი უდრტვინველად გადაიტანდნენ ბაღდადის დაღუპვას. სადამის ოჯახი შედგება ცოლის, ორი — 27 და 25 წლის ვაჟის, სამი — 24, 19 და 16 წლის ქალიშვილის, აგრეთვე სიძეების, რძლებისა და შვილიშვილებისაგან. ეს კლანი, რომელიც წარმოშობით ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ თაქრითიდან არის, მძლეთამძლე და ძალაუფლებისმოყვარეა. ზოგჯერ საქმე ოჯახურ კონფლიქტებამდეც კი მიდის, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დიქტატორის ვაჟის მიერ მამამისის ყორჩისა და მეგობრის უდაის მკვლელობა — ერთგვარი სისხლიანი ხუმრობა...

სადამ ჰუსეინის პალატებში ისეთი ფუფუნებაა, სასახლეში გეგონება თავი, არც კი იფიქრებ, რომ მიწისქვეშა ბუნკერში იმყოფები. ბეტონის იატაკი სქელი ფიანდაზით არის მოფენილი, კედლებზე ხის პანელებია აკრული.

სადამ ჰუსეინი ალყის პირობებშიც კი არ იკლებს სიამოვნებას კომფორტულ საბაზანოში ვიბროსამასაჟო აბაზანის ქვეშ. ვეებერთელა სარეცელში იგი მდიდრულად მორთული ბალდახინის ქვეშ ნებივრობს. სამეთაურო ცენტრი ტელეფილმების საყურებელ დარბაზს უფრო წააგავს. აქვე კარადებში ინახება სამხედრო რუკები.

ბუნკერის მდიდრული, ერთობ ორიგინალური შიდა მოპირკეთებაც ასევე გერმანიის — მიუნხენის ფირმის ნახელავია. მისი თანამშრომლები, ისევე როგორც მშენებლობის ყველა სხვა მონაწილე, ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებს. სადამ ჰუსეინის მიმწოდებლებს არცთუ უსაფუძვლოდ ეშინიათ ერაყის „გრძელი ხელისა". თანაც, როგორც ფირმა „ბოსჰაუს" გამგეობის წევრმა განაცხადა, სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განაღდებული. საკმარისია, ვინმეს რამე წამოცდეს, რომ უნდა დაემშვიდობო დარჩენილ რამდენიმე მილიონს. სწორედ ამიტომ არის, რომ აგრესიული ერაყისა და მისი გერმანელი პარტნიორების წმინდა საქმიანი ურთიერთობა ახლა სახათაბალოდ ექცათ გერმანელებს.



1. ლიფტი, რომელიც სასახლის სასტუმრო კორპუსში ადის.
2. დიქტატორის ოთახი.
3. საბაზანო, რომელიც აღჭურვილია წყლის მიმართული ნაკადით.
4. გასახდელი რყევამედეგი კარადებით.
5. ბალდახინიანი საარაკო სარეცელი.
6. მეორე საძინებელი ოთახი მრგვალი სარეცლით.
7. მისაღები, სადაც დაცვაა განლაგებული.
8. სოლარიუმით აღჭურვილი საბაზანო ოთახი.
9. ბავშვთა საჭყუმპალაო.
10. ბავშვთა ოთახი — ჰუსეინის უმცროსი შვილების საძინებელი.
11. ვრცელი საბაზანო ოთახი ვიბროსამასაჟო მოწყობილობით.
12. სამეთაურო ცენტრი, კარადებში ინახება გეოგრაფიული რუკები.

„ლიტერატურნაია გაზეტა",
1990 წლის 5 დეკემბერი.

ერაყ-ქუვეითი

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რ. ჩეინიმ ბრიუსელში ყოფნისას მოუწოდა ვაშინგტონის ევროპელ მოკავშირეებს გააქტიურონ მონაწილეობა სპარსეთის ყურეში მიმდინარე საომარ სამზადისში, ამავე დროს მინისტრმა აღნიშნა, რომ ყურის რაიონში უკვე მყოფი ძალები საკმარისია, რათა ერაყის ჯარები გამოდევნონ ქუვეითიდან.

ეგვიპტე მხარს დაუჭერს მშვიდობიანი მოწესრიგების ნებისმიერ ვარიანტს, რომლის შესახებაც მოილაპარაკებენ შეერთებული შტატები და ერაყი, განაცხადა ეგვიპტის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ბ. ღალიმ. სპარსეთის ყურის რაიონში დისლოცირებული ეგვიპტის ჯარების ამოცანებზე საუბრისას მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მათ აკისრიათ ერთადერთი მისია — საუდის არაბეთის ტერიტორიის დაცვა. მან განაცხადა, რომ ეგვიპტე არ მიიღებს მონაწილეობას არავითარ საომარ ოპერაციაში, რომელიც ქუვეითის განთავისუფლებას ისახავს მიზნად.

ირანს აუცილებლად მიაჩნია გაეროს ყველა რეზოლუციის შესრულება, მაგრამ „არ მიიღებს მონაწილეობას ომში ერაყის, ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ", განაცხადა საფრანგეთში ვიზიტად მყოფმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აქბარ ველაიათიმ. თავის მხრივ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. დიუმამ თქვა, რომ ერაყის გადაწყვეტილება უცხოელი მძევლების განთავისუფლების შესახებ „გაეროს რეზოლუციების შესრულების დასაწყისია. სასურველია, რომ ამას მოჰყვეს ანალოგიური ნაბიჯები უშიშროების საბჭოს სხვა რეზოლუციების მიმართ, მიუთითა მან.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის ს. ჰუსეინთან და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ტ. აზიზის პრეზიდენტ ჯ. ბუშთან შეხვედრების თარიღები შეთანხმების სტადიაშია, განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მ. ტატუაილერმა. „ჩვენ არ დავთანხმდებით პრეზიდენტთან აზიზის შეხვედრის თარიღს, სანამ არ დადგინდება სახელმწიფო მდივნის ს. ჰუსეინთან შეხვედრის დღე", — ხაზი გაუსვა მან.

უმაღლესი ჯილდო — ყოფილ პრემიერს

ლონდონი. როგორც ბუკინჰემის სასახლეში გამოაცხადეს, დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მარგარეტ თეტჩერს უზენაესი ბრძანებულებით მიენიჭა გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო-ორდენი „დამსახურებისათვის".

ორდენი „დამსახურებისათვის" 1902 წელს დააარსა მეფე ედუარდ VII „გვირგვინისათვის სამსახურში, ან ხელოვნებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში განსაკუთრებული დამსახურების" აღიარების ნიშნად. ორდენის კავალერთა რიცხვი მკაცრად განსაზღვრულია — იგი 25 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. მეფე ელისაბედ II აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება მიანიჭოს ეს წოდება.

წარსულში ორდენი „დამსახურებისათვის" მიენიჭა დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს, მათ შორის უ. ჩერჩილს, ლოიდ ჯორჯს, ჰ. მაკმილანს, გენერალ ეიზენჰაუერს, მისიონერ ა. შვაიცერს. ამჟამად ორდენს ფლობენ დედა ტერეზა, მევიოლინე ი. მენუჰინი, მწერალი გ. გრინი, ახლანდელი ვაკანსია გაჩნდა შარშან გამოჩენილი მსახიობის ლორდ ოლივიეს გარდაცვალების შემდეგ.

მ. თეტჩერის მეუღლემ დენის თეტჩერმა მიიღო ბარონის ტიტული. მ. თეტჩერმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოხატა უღრმესი მადლობა მისთვის და მისი მეუღლისათვის გაწეული პატივის გამო.

საპასუხო წინადადება

რიგა. ლატვიის პარლამენტარებმა მიიღეს დოკუმენტი ლატვიის უზენაესი საბჭოსადმი საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს 20 ნოემბრის მიმართვის პასუხად. 105 დეპუტატიდან მას ხმა მისცა 85.

საკავშირო პარლამენტმა, როგორც ცნობილია, თავის მიმართვაში მიუთითა დისკრიმინაციულ ხასიათზე, რომელსაც ატარებს რესპუ[illegible] განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმების, პენსიონერთა დიდი ჯგუფის, მათ შორის ომის მონაწილეთა მიმართ. საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ ეს ღონისძიებები ანტიკონსტიტუციურია, არღვევს ადამიანის უფლებებს და სახიფათოა ლატვიაში ამჟამინდელი რთული ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პირობებში.

რიგაში მიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ მიმართვას „არა აქვს დამაჯერებელი საფუძველი". მოსკოვს მიეცა წინადადება „დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ლატვიის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტატუსის განსაზღვრის თაობაზე".

მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების მეუღლეებს ფოტორეპორტიორები, როგორც წესი, ოფიციალურ მიღებებსა და სხვა ღონისძიებებზე აღბეჭდავენ ხოლმე. თუმცა, ეს სურათი მოწმობს, რომ შეერთებული შტატების პირველ ქალბატონს, ბარბარა ბუშს საოჯახო საქმეც ხელეწიფება.

„მეტი თანაგრძნობა მწეველებს"

მწეველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ამ დევიზით წარიმართა გამოსვლები ფინეთის დედაქალაქში გამართულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „სმოუკლის-90". მის მონაწილეთა შორის იყვნენ 22 ქვეყნის წარმომადგენლები, თავგადაკლული მწეველები, თამბაქოს ნაწარმის გამომშვებნი და მოვაჭრენი, იურისტები და სამართალდამცველები, რომელთა ნახევარს ქალები შეადგენენ. შეხვედრა გაიხსნა ადამიანის უფლებათა დამცველის ვლადიმერ ბუკოვსკის ვიდეომიმართვით.

— თამბაქოს წევა — ეს არის არა მავნე ჩვეულება, არამედ ცხოვრების წესი, და ბიუროკრატთა ცდები — მექანიკურად აკრძალონ იგი, წარმოადგენს წმინდა წყლის დისკრიმინაციას, ჩვენი თავისუფლების შეზღუდვას. ამიტომ ყველანი უნდა გავერთიანდეთ ჩვენი პრობლემებისადმი ფორმალური მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლაში, — გაისმა ჩიბუხის, სიგარეტისა და სიგარის კვამლით დაბინდულ „ფინეთის" სასახლის დარბაზში.

აი, როგორ განმარტავს შეხვედრას კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, თვალსაჩინო ფინელი საზოგადო მოღვაწე, „დელიკატურ მწეველთა" საზოგადოების თავმჯდომარე აარნე საარინენი.

— როგორც ცნობილია, თამბაქოს უკვე ათასობით წელია ეწევიან, — თქვა მან, — და როგორც უნდა ზღუდავდნენ მის მოხმარებას, რა ღონისძიებებსაც უნდა ატარებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, ისტორია ცხადყოფს ამ ბრძოლის ამაოებას. ამ ბოლო დროს მსოფლიოში კვლავ დაიწყო მწეველებზე შემოტევა. ჩინოვნიკებმა ცალმხრივი წესით, ისე, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავთ, უკვე იმდენი აკრძალვა გამოაცხადეს, რომ ლამის არამწეველ ბიუროკრატთა დიქტატურა დაამყარონ. ჩვენ სულაც არ ვაპირებთ პროპაგანდა გავუწიოთ თამბაქოს წევას, ჩვენ მხოლოდ ვიცავთ საკუთარ უფლებებს, და ვთავაზობთ მწეველებსა და არამწეველებს კი არ ებრძოლონ, არამედ გაუგონ ერთმანეთს და გამოძებნონ საერთო ენა, თანაარსებობის მისაღები ფორმები. შემთხვევით როდი ავირჩიეთ ჩვენი პირველი კონფერენციის ადგილად ჰელსინკი. კერძოდ, საქვეყნოდ ცნობილი სასახლე „ფინეთი". 1975 წელს სწორედ აქ მოაწერეს ხელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა შესახებაც. ვიმედოვნებთ, რომ აქ გამოვნახავთ ჩვენს არამწეველ მოძმეებთან „თანაარსებობის" ფორმებს.

როგორც გამოსვლებიდან გამოირკვა, იაპონიის, შვეციის, ამერიკის შეერთებული შტატების, ნორვეგიის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების მწეველებს დაახლოებით ერთნაირი პრობლემები აწუხებთ. სხვათა შორის, შეხვედრაზე არ ჩამოსულან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში პრობლემა ცოტა არ იყოს, სხვაგვარად დგას: რაღაცას თავი რომ დაანებო, სხვა რომ არა ვთქვათ რა, უნდა გქონდეს იგი.

კონფერენციის მონაწილეებმა საზოგადოებრიობასა და მთავრობებს მოუწოდეს მეტი გაგებითა და თანაგრძნობით მოეკიდონ მწეველებს, რა თქმა უნდა, არამწეველი მოძმეების უფლებათა შეულახავად. მათი აზრით, საუკეთესო გამოსავალია მოეწყოს სპეციალური მოსაწევი ოთახები წარმოებაში, ტრანსპორტზე და საზოგადოებრივ ადგილებში.

უკომენტაროდ

ნაწყვეტები საკავშირო პრესიდან

● **პროგრამა** „ვრემია" თითქმის ყოველდღე დიდი პათოსით გვაუწყებს სურსათის, მედიკამენტების და სხვა ამანათების მორიგ გზავნილებზე უსასყიდლოდ რომ შემოდის საბჭოთა კავშირში დასავლეთიდან, მე კუთვნილს მივაგებდი ევროპელებისა და ამერიკელების გულისხმიერებასა და კეთილმოსურნეობას, მაგრამ სხვა რამ მაინტერესებს: ამ „ღვთის წყალობა" — სურსათის ამანათების შესახებ ცნობების გადმოცემის ნაცვლად, როდის დაიწყებს პროგრამა „ვრემია" იმის შესახებ გადმოცემებს თუ რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს მთავრობა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ქვეყნის ეკონომიკის ნორმალიზებისათვის? გულისმომკვლელი და სამარცხვინოა, უყურებდე თუ როგორ სწავლობს დიდი სახელმწიფო მათხოვრობას.

● **არაერთხელ** მსმენია, რომ სქესობრივი ალვირახსნილნი გვმოძღვრავენ ბავშვებთან ინტიმური ურთიერთობის სულ უფრო გაბედული ლეგალიზაციის თავიანთ უფლებებზე. სულ ახლახან კი ლენინგრადის ტელეპროგრამა „600 წამმა" გვაუწყა, რომ ასეთ, უკაცრაული პასუხია, ორიგინალებს გაგებით ეკიდება მოსკოვის საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი. მე მათ მივმართავ შეკითხვით: თქვენ თანახმა ხართ გამოიჩინოთ „ჰუმანურობა" და დაუთმოთ თქვენი ბავშვები ტანჯულ პედოფილებს? თუ ანგარიშში გყავთ ასე თუ ისე სხვათა ბავშვები?

● **ნოემბრის** ბოლოს კიევში მთელი სამი დღის მუშაობდა ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების სრულიად უკრაინის კონფერენცია. უკრაინის მცხოვრები ასი ათასამდე კაცი მონაწილეობდა „ავღანეთის" ომში, ორი ათასზე მეტი დაიღუპა, ასეულობით — დაინვალიდდა. მათ დახმარებაზე კი ცოტას ზრუნავენ. კონფერენციის მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს სსრკ პრეზიდენტს და უკრაინის უმაღლეს საბჭოს.

გახსენება

ბექნუ ხერგიანი და ბექნუს ლომები...

ისინი საოცრად უხდებოდნენ ერთმანეთს — კაცი და მთა! სახელიც კი როგორღაც მთის ასოციაციას ბადებდა — ბექნუ პირველი თაობის სახელოვან მთამსვლელთა ერთ-ერთი უკანასკნელი პატრიარქთაგანი, ბექნუ ხერგიანი დღეს ჩვენს შორის აღარაა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ფრაგმენტს მწერალ მირონ ხერგიანის წიგნიდან — „ბექნუ ხერგიანი და ბექნუს ლომები", რომელიც ამ ლეგენდარული ვაჟკაცის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

ორიოდე სიტყვით წიგნის სათაურის თაობაზე: ამ რამდენიმე ხნის წინ, მასალებს რომ ვაგროვებდი და ბექნუსთან სათაურზე ჩამოვარდა ლაპარაკი, თითქოს შეცბუნებულმა მითხრა — ჩემი გამოყოფა არ გინდა, მით უმეტეს, შენთვის იქნება ეგ უხერხული, ქვეყანა ჭრელია, ვინმემ მეთავისეობაში, მიკერძოებაში არ ჩამოგართვასო. დაარქვი რაიმე ზოგადი სახელი და ამით მორჩება საქმეო. მე თავი ვიმართლე, ეს ხომ ჩემი სიტყვები არ არის, მურმან ლებანიძის სტრიქონია, თანაც თუ ჩავუფიქრდებით, აქ საუხერხულო არაფერი უნდა იყოს, ლომებად თქვენი მეგობრები არიან მოხსენიებულნი-მეთქი...

ბექნუს გაეღიმა და მხრები აიჩეჩა. თქმით მეტად არაფერი უთქვამს. ეს მისი ხასიათიდანაც გამომდინარეობდა: სიტყვამუნწი კაცი იყო, ერთხელ თქმულს მეორედ არ მიუბრუნდებოდა. იმავე დღეებში ამის თაობაზე საუბარი მქონდა ბექნუს ერთ-ერთ უახლოეს მეგობართან—ჭიჭიკო ჩართოლანთან, მან მომიწონა გადაწყვეტილება, შესანიშნავი მთამსვლელისა და მოქალაქის დასტურმა და შეგულიანებამ — ბექნუს თავმდაბლობით ამ ერთხელ მაინც ნუღარ ვისარგებლებთო, განმიმტკიცა რწმენა წიგნისათვის პირვანდელი სათაური დამეტოვებინა.

მაშ ასე, ბექნუ ხერგიანი: მთავარსარდლის ბრძანებით მთიელები იმჟამად ჯარში არ მიჰყავდათ. ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება, რაც შემდეგში მთლიანად დადასტურდა, როცა მტერი კავკასიონს მოადგა, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო მათი გადაწყვეტილება — კავკასიონის მიუვალ გადასასვლელებზე დაექსაქსათ თავიანთი ძალები. არ ვიცი, აგო თუ არა პასუხი ამ იდეის მოთავემ: ძალიან ძვირად დაუჯდათ გერმანელებს ეს მოუზომავი ნაბიჯი. ადგილობრივი ახალგაზრდობა სპეციალური დანიშნულების რაზმში ვიყავით გაერთიანებული, რომელსაც მიხეილ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. უკვე საბრძოლო წრთობაც საკმაოდ გვქონდა მიღებული, სხვადასხვა რთული დავალებების შესრულება გვიხდებოდა, რასაც რიგითი ჯარისკაცები ნამდვილად ვერ შეასრულებდნენ. ჩვენი იმედი ჰქონდათ და ამიტომაც იყო, რომ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბმა იალბუზის მწვერვალიდან ფაშისტური დროშის ჩამოხსნა დაგვავალა. მაგრამ ისე მოხდა, რომ რაზმმა ბოლო წუთებში ახალი დავალება მიიღო და ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელად ვერ მოიცალა. გადაწყდა, იმჟამად ბეჩოში დაბანაკებული ჯარის ნაწილს მე და გაბრიელ ხერგიანი გავყოლოდით ჩრდილო კავკასიაში, იმ ნაწილის უფროსი გვარად ბოგდანოვი იყო. თებერვლის პირველი რიცხვი იყო, იმ დილას არჩევნები ტარდებოდა, როგორც მიღებული იყო იმჟამად, აუცილებლად უნდა მიგვეცა ხმა და მერე წავსულიყავით. ასეც მოვიქეცით. გავუდექით გზას მე და გაბრიელი. მახსოვს, სოფელ ნესგუნში ერთი ლატალელი ქალი შემოგვხვდა, მარჯვენა მხრით ჩაგვიარა. მოგვესალმა და მზერა გამოგვაყოლა. ეტყობა იგრძნო, შორი გზა რომ გვედო. უკაცრავადო, — გამოგველაპარაკა, ამ დილაუთენია საით გაგიწევიათ, ხომ მშვიდობააო. ათასი უბედურება ხდებოდა იმხანად, ბევრი მსხვერპლი იყო და, ეტყობა, იფიქრა — ცუდი ხომ არაფერიაო. ჩვენ ვუთხარით ვინც ვიყავით და სადაც მივდიოდით. მან კალთიდან ერთი ბოთლი არაყი ამოიღო — წინწანაქარი, ნათაველი, ჩვენ რომ ნათხუმს ვეძახით, დაიჩოქა და ღმერთს შეევედრა, მშვიდობის გზა მოეცა ჩვენთვის. ფული შევთავაზეთ. ხელები გაასავსავა — როგორ გეკადრებათო. მახსოვს, გაბრიელმა ხუმრობაგარევით უთხრა: დობილო, გენაცვალე, ნუ გეხათრება, თავი არ გვენანება და თქვენთვის ფული დაგვენანებაო? არაფრით არ ქნა. იმისმა ლოცვამ ხელი მოგვიმართა მე და გაბრიელს.

ბეჩოში ბოგდანოვმა გამოგვიცხადა — თბილისიდან ველოდებით დამატებით ძალას, ხვალ დილისთვის აქ იქნებიანო, სადღაც უნდა შეგვეფარებინა თავი. სასტუმრო არსად იყო და იმ სიცივეში გარეთ ხომ არ ვიქნებოდით. მეგობრები გვყავდა, მაგრამ ვერიდებოდა შეწუხება. გამახსენდა, მესტიელი გოგო გამოთხოვდა მაზერში, გვარად მარგიანი, იმისი ქორწილი იყო იმ საღამოს. იქ მივიდეთ-მეთქი — გაბრიელს ვუთხარი. მივიდეთო — გაბრიელმაც. გზად ალმაცგილ კვიციანთან შევიარეთ, ვითომ დასაპატიჟებლად, დიდად გაიხარა, იმისმა ცოლმა ისეთი ხაჭაპურები გამოაცხო, ლამის თითები ჩავაკვნიტეთ. ისე, ვითომ თავპატიჟი დავიწყეთ — მექორწილე ხალხი ვართ, რა დროს თქვენი შეწუხება-მეთქი. „ქორწილი — ქორწილად, მანამდე მოგშივათო" — გულიანად გვეპატიჟებოდა კეთილი მასპინძელი. ამას იმიტომ ვიგონებ, რომ მაშინ ხაჭაპური იშვიათი ხილი იყო სვანეთში. საქონლის მისახედად ვილას ეცალა, უთვლად დაიმშა და გაწყდა პირუტყვი. პურიც ჭირდა, კიდობნები სულ გამოფხეკილი იყო. მოსახლეობა შიშსა და ძრწოლას მიეცა, რას მოიტანდა დროება, არავინ იცოდა, გაურკვევლობისა და საყოველთაო სიღატაკის ზაფრა მძვინვარებდა. მაგრამ ადათწესი თავისას ითხოვდა, ყოფიერების ათქვლეფილ ნაცარტუტაში ნაპერწკალი მაინც ღვიოდა. ამისი დასტური იყო იმდღევანდელი ქორწილიც.

სტუმრად მისულებს ნიკოლოზ ხერგიანი, მაბილა და ბაჟი მარგიანი დაგვხვდნენ — ქალის მაყრები იყვნენ. მიგვიპატიჟეს და სუფრასთან დაგვსვეს. სუფრაზე პურის ნასახი არ ჩანდა, ნიკოლოზმა საიდანღაც ღორის ბარკალი მოიტანა და შუა ცეცხლზე შეწვა. დასაყოლებელი რომ გაგვიჩნდა, არაყსა და სადღეგრძელოებს მეტი ეშხი მიეცა. მაგრამ რად გინდა, სიძე არ გვეჩვენებოდა, არ ვიცი, რისი ერცხვინებოდა, ღარიბი სუფრით ახლა ერთმანეთს ვერავინ გააკვირვებდა. მე ხერხი ვიხმარე, სადღეგრძელო ვთქვი და სიძეს გადავულოცე. მაშინ კი დატრიალდნენ და შემოიყვანეს სუფრაზე. ნეფე მალე გათამამდა და თვალში გამოიხედა. ასე ჩავატარეთ ქორწილი.

დილით შტაბისკენ გავწიეთ. თბილისიდან არ ჩამოსულიყვნენ. ბოგდანოვმა წესიერად არც იცოდა, დამატებითი ძალა როდის ჩამოვიდოდა და საერთოდ ჩამოვიდოდა თუ არა. გაბრიელმა მითხრა, იმათ ლოდინში აქ როდემდე ვიყურყუტოთო. წამო, მარტო წავიდეთ და ჩამოვატიალოთ ის დროშაო, მეც დავთანხმდი — ასე იყოს-მეთქი. გავუდექით ბეჩოს გადასასვლელისაკენ. გზად სილოვან კახიანი შემოგვხვდა, ჩვენი საბრძოლო აღჭურვილობა თვალში არ მოუვიდა. მაგ ფილთა თოფებით გინდათ გერმანელები გარეკოთო? თავისი „ბერდენკა" დაგვითმო. ის ღამე გადასასვლელზე გავათენეთ. მეორე დილას ითკოლში ჩავედით. ვიღაც კაცმა ოჯახში შეგვიპატიჟა. გაგვიმასპინძლდა. ეს ადგილები ადრე სვანებით იყო დასახლებული, აქაური მკვიდრნი ნათესაობენ ჩვენთან, მართალია, სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ სულში წინაპართა ხსოვნა მაინც კიაფობდა. მეორე დღეს ბოგდანოვმა მცირე ჯგუფი წამოგვაწყია ჰუსაკის მეთაურობით, იალბუზისაკენ ავიღეთ გეზი, გერმანელები თავიანთ პოზიციებს თმობდნენ, მაგრამ შიშს მაინც დიდი თვალები ჰქონდა, ფრთხილად მივიკვლევდით გზას „კრუგოზორის" მიმართულებით. როგორც კი მყინვარზე ავედით, „თერთმეტის თავშესაფარიც" გამოჩნდა. გაშლილი მყინვარია, თავს ვერსად შეაფარებს კაცი. ჰუსაკმა იეჭვა, ყველას ერთბაშად წასვლა არ ივარგებს, შეიძლება ამოგვწყვიტონო. გავჩერდით. ერთ ადგილზე ვიტკეპნებით, არავინ ხმას არ იღებს, არავინ არ აპირებს ადგილიდან დაძვრას, თითქოს ჩვენ გველოდებოდნენ, როდის გაგვიძღვებიანო. გაბრიელს ვეუბნები— ნაღმებისა არაფერი გამეგება, მაგრამ რახან თავიდან ასე აეწყო, რომ მარტოებმა უნდა ვიაროთ, უკან ხომ არ დავბრუნდებით-მეთქი. წავიდეთო — გაბრიელმა. ბუნებრივია, ნაღმებისა გვეშინია, თანაც ვგრძნობთ, აშკარა უსამართლობა ხდება, რაღა მაინცდამაინც ორი ხერგიანი უნდა ამოიხოცოს იალბუზის კალთებზე, ჩვენი ნეშტის წამსვენებელი და ამბის მიმტანიც კი არავინ იქნებოდა. სპეცრაზმში კი ერთ ადგილზე იტკეპნებოდა, თითქოს საგანგებო დავალებით არ იყვნენ აქ გამოგზავნილნი. აშკარად ჩვენ შემოგვჩერებოდნენ.

რაღა გაეწყობოდა, დავიძარით.

— შენ შორს დადექი, ყოველ შემთხვევაში თვალი გეჭიროს ფანჯრებზე — ვუთხარი გაბრიელს, მტრის თავშესაფარს რომ მივუახლოვდით — ახლოს მივალ და თოვლის გუნდას ვესვრი, თუ ვინმე იქნება, ალბათ, გამოიხედავს-მეთქი. გაბრიელი დაცვაზე დადგა, მე სასროლ მანძილზე მივუახლოვდი და რამდენიმე გუნდა ვისროლე.

ჩამიჩუმი არ იყო. ამასობაში ჰუსაკის რაზმელებიც წამოგვეწივნენ. შევედით შიგნით. ისევ ნაღმების შიში გვქონდა, გაბრიელმა თოფის ჯერი მიუშვა მიწურის იატაკზე. ყველაფერი რიგზე იყო. მეორე სართულზე სამხრეთის მხარეს მთელი კედლები დაცხრილული იყო, ეტყობა თვითმფრინავიდან ესროდნენ. ბლომად კონსერვები დაეტოვებინათ ფრიცებს, დანომრილები. ვიცოდი, ცხრა ნომერი ცხენისა იყო. ცხენის ხორცს რა გაგვაკარებდა, ღორისა ვარჩიეთ. რუსებისთვის კი სულ ერთი იყო. ამასობაში ერთი რაზმი ლახამულის ნაწილიდანაც ამოვიდა, მასაც იგივე დავალება ჰქონია — იალბუზიდან გერმანელების დროშის ჩამოხსნა. იმ დღეს გაავდარდა, გარეთ ცხვირს ვერ გაყოფდა კაცი. როცა ოდნავ გადაიკარა, თბილისიდან კინოგადამღები ჯგუფი ამოვიდა. იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გერმანელთა ძლევამოსილების დამხობა კავკასიონზე, რომ მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ფირზე აღებეჭდა იგი და მთელი ქვეყნიერებისათვის ემცნო. კვლავ გაავდარდა. თავშესაფარში საკმაოდ თბილოდა, მისი კედლები მატყლით იყო დათბილული — არ ვიცი, გერმანელებმა იზრუნეს ამისათვის თუ მანამდე დახვდათ დაბამბულ-დათბუნებული. საგზალი თანდათან შემოგველია და კონსერვებს შევუტიეთ. უკვირდათ, რომ ჩვენ ღორისა გვხვდებოდა, იმათ — ცხენისა. საიდუმლო არ გავამხილეთ, თორემ ნომრით ცნობა რომ გვესწავლებინა, სულ მშივრები დავრჩებოდით. იქვე ქერით სავსე ვედროები დაგვხვდა, ეტყობა, გერმანელები ხალავდნენ და ისე მიირთმევდნენ, შესაძლოა, უფრო დაბალი ჩინოსნების ულუფა იყო იგი.

ჰუსაკმა გამოაცხადა: მწვერვალზე შვიდკაციანი ჯგუფი უნდა ავიდეს, დიდი ჯგუფი ისე ჩქარა ვერ ივლის და უფრო დაყოვნდებაო. ჩვენ არ მოვხვდით იმ ჯგუფში. აქამდე თუ წინ გვიშვებდა, ახლა, როცა მთავარ მიზანს ვუახლოვდებოდით, უკვე აღარ ვჭირდებოდით, ყოველ შემთხვევაში, აშკარად ეტყობოდა, რომ ჩვენი ჩართვა ჯგუფში არ უნდოდა.

ჩვენ ვუთხარით: თუ ასეა, თქვენ ცალკე იარეთ, ჩვენ დამოუკიდებლად წამოვალთ-მეთქი.

ამაზე ჰუსაკმა ვერაფერი თქვა. დარჩენილებიდან საშა სიდორენკო შემდეგში ცნობილი მთამსვლელი, წამოხტა და მოგვმართა — თუ შეიძლება მეც თქვენთან წამოვალო. გაბრიელს ხელი ჰქონდა ნატკენი მყინვარზე უხერხულად დაცემისაგან, მაგრამ იტანდა: ღამის სამი საათი იყო, ჩვენ რომ გავედით თავშესაფრიდან. ფაქტიურად ერთმანეთს მივყვებოდით. ორი საათის მერმე, უკან რომ მოვიხედე, ერთი მოლაშქრე გვაკლდა. გვარად ოდნობლიუდოვი. დათქმული გვქონდა, ვინც იგრძნობდა, რომ ვერ ივლიდა, უკან უნდა გაბრუნებულიყო ბანაკში. ერთ-ერთ მონაწილეს, ამჟამად სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბელეცკის ცალი წრიაპი გასძვრა, მე ჩავიბი თოკში, ამასობაში მეორე წრიაპიც გასძვრა, საგულდაგულოდ წამოვაცვი და ასე კოჭლობით წამოვიყვანე; უნაგირაზე ჯვარს წავაწყდით, თოვლში ერჭო. გერმანელის საფლავი აღმოჩნდა. ბელეცკის აღარ შეეძლო წამოსვლა, საძილე ტომარაში ჩავსვით და უნაგირაზე დავტოვეთ იმ მიცვალებულთან ახლოს.

მწვერვალზე ტელეფონის ხაზი ადიოდა, ბოძები იყო ჩარჭობილი და იმაზე გაეჭიმათ კაბელი. მართლაც გერმანული, კაპიტალური ნამუშევარი ჩანდა. მე და გაბრიელი ბოძებს ავყევით. მწვერვალზე სხვებზე ადრე ავედით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაშინ გვეგონა, რომ მწვერვალზე ვიმყოფებოდით) ჰუსაკის ჯგუფმაც ამოაღწია, რომ დამინახა, დამიყვირა: ე, მანდ არაფერი აფეთქდესო. გაბრიელი ეუბნება — ნუ გეშინია, მწვერვალი არ აფეთქდებაო. მართლაც და ასაფეთქებელი რომ ყოფილიყო ამდენ ხანში ხომ აფეთქდებოდა. ჰუსაკმა მოათვალიერა იქაურობა და გერმანული დროშა რომ ვერ დაინახა, განკარგულება გასცა ძირს დაშვებულიყვნენ. მე ვეუბნები: მწვერვალზე არ უნდა ვიყოთ-მეთქი. ბინდბუნდში კარგად ვერ გაარჩევდა კაცი, სად იყო მწვერვალი. იმან არ დაიჯერა — მაინც ეშვება ძირს. თან მე მებუზღუნება— მწვერვალია, მა რა ოხრობააო, იალბუზი მართლა ჰიმალაის მთიანეთი ხომ არ გგონიაო.

ცოტა ხნის მერმე ოდნავ ინათა, ღრუბელმაც აიწია და. შორს, დაახლოებით ერთ კილომეტრზე, მწვერვალი დავინახე. მე, გაბრიელი და საშა სიდორენკო გავუდექით გზას მწვერვალისაკენ. „რა შუაშია „გგონია — არ გგონია"— ვეკამათები გულში ჰუსაკს — ფაქტი აშკარაა და ახლა რაც გინდა თქვი!" რამდენიმე მეტრი რომ გავიარეთ სანდრო გვალიას მიერ შარშან დაყენებული სატრანგულაციო კოშკიც დავინახე. სამ საყრდენ სვეტზეა დამონტაჟებული. იქვე ახლოს ქარისგან დაძენძილი ნაცისტური დროშა ფრიალებდა, ერთიც ძირს ეგდო ნამქერში, ბამბუკის ტარზე იყო დამაგრებული. ეტყობა, ქარს ტარი გადაეტეხა. ავკრიფეთ ის დროშები და გამარჯვებულნი გამოვტრიალდით უკან. ჰუსაკს გაეხარდა, ასე იყო თუ ისე, მაინც მას მიეწერებოდა ჩვენი წარმატებაცა და წარუმატებლობაც.

მშვენიერი ამინდი გამოვიდა. თავშესაფარში დღის სინათლეზე დავბრუნდით.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სწორედ ამის მერე დაიწყო გაუგებრობა. კინოს მუშაკებმა მოიწადინეს, რომ დროშების ჩამოხსნის სცენა რადაც უნდა დასჯდომოდათ ადგილზე გადაეღოთ. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ უდროობის გამო უკან აღარ გავბრუნდით, კინოგადაღება მეორეხარისხოვან საქმედ მიგვაჩნდა და იმ მომენტში ამისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვიცია.

სხვებმა კი ჩვენი ჩამოტანილი დროშები მეორედ აიტანეს მწვერვალზე და მათი მოხსნის სცენა დიდის სკრუპულოზურობითა და მონდომებით გაითამაშეს და აღბეჭდეს ფირზე, რამაც შემდგომში არეულდარეულობა და გაუგებრობა გამოიწვია. რახან კადრში ისინი მოხვდნენ, გმირობა და ჩინ-მედლებიც იმათ არგუნეს. ჩვენ მხოლოდ გვიან, მტერზე გამარჯვების ოცდაათ წელთან დაკავშირებით მივიღეთ „მედლი მამაცობისათვის".

იალბუზიდან დროშების მოხსნის ისტორია პრესტიჟული მოვლენა იყო და ამიტომაც მრავალი პრეტენდენტი გამოჩნდა. გამკითხავი არავინ ჩანდა, ყველა თვითონ მიიწერდა, ბექნუ და გაბრიელი საერთოდ არ ფიგურირებდნენ არსად. როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ ოცდაათი წლის მერმე გაიხსენეს ისინი და მაშინაც სასხვათაშორისოდ, იმჟამინდელ ვითარებას კარგად ასახავს ბექნუსადმი ცნობილი მთამსვლელის სანდრო გვალიას მიერ 1968 წლის დეკემბერში ამ საკითხთან დაკავშირებით მიწერილი ბარათი: აი, ისიც: „ძმაო, ბექნუ — სიცოცხლე და ბედნიერება შენ და მთელ შენ დიდ ოჯახს!

ამ დღეებში ჩემთან იყო ალექსანდრე (საშა) სიდორენკო მოსკოვიდან, გვქონდა სტუმრობა. იყო კარგი სადღეგრძელოები ჩვენი, ვინაც ცოცხლები ვართ და შესანდობარიც ვთქვით უდროოდ დაღუპულებისა. მოვიგონეთ ჩვენი საყვარელი გაბო (გაბრიელ ხერგიანი მ. ხ.), მისი შვილი ვანო, გიო ნიგურიანი, ფრიდონ ჩართოლანი და სხვები, ერთი სიტყვით, არავინ გამოგვრჩენია და არც არავინ დაგვიწყნია.

ძმაო, ბექნუ! გთხოვ, მაცნობო (შენი ხელით დაწერო!) და გამომიგზავნო ცნობა, რომ 1943 წლის 13 თებერვალს, ნამდვილად გაბრიელ ხერგიანი და ბექნუ ხერგიანი, ასევე საშა სიდორენკო პირველები იმ ჯგუფიდან, რომელიც შეიკრიბა თერთმეტთა თავშესაფარზე — ავიდნენ იალბუზის მწვერვალზე (დასავლეთზე თუ აღმოსავლეთზე — აღინიშნოს!) და შეასრულეს ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის საბრძოლო დავალება, რომ მოეხსნათ იალბუზის მწვერვალიდან ფაშისტური დროშის ნარჩენ-ნაფლეთები და დაემკვიდრებინათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშა — ალამი.

მე ვიცი, რომ ეს მისია თქვენ სამმა განახორციელეთ. ხოლო 13 თებერვლის შემდეგ, 1943 წლის 17 თებერვალს სხვა ჯგუფებიც ავიდნენ, მაგრამ იქიდან სვასტიკიანი დროშები არ ჩამოუტანიათ. აი, ეს სინამდვილე დამიდასტურე მესტიის რაიაღმასკომის ბეჭდითა და თქვენი ხელმოწერით. ეს აუცილებელი და საჭიროა, რადგანაც მოსკოვში ამ საქმეს სხვებიც იჩემებენ და მინდა, რომ ბოლოსდაბოლოს, სიმართლემ გაიმარჯვოს".

რამდენადაც ვიცი, ბექნუმ მეგობარს ხათრი ვერ გაუტეხა, მაგრამ ცნობას თხოვნაც დააყოლა, რომ არავითარი სურვილი და პრეტენზია არ ჰქონდა მთავრობისაგან რაიმე ჯილდოს მიღებისა... იმ სუსხიან წლებში მისი და გაბრიელის იალბუზის ეპოპეა იყო იმჟამინდელი სულიერი მოთხოვნილების გამოძახილი და არა კომერციულ-მერკანტილური ნაბიჯი, ეს იყო მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და შინაგანი სულისკვეთების გამოხატულება და არა თავის გამოსაჩენი ფანდი. გაბრიელი ისე დაიღუპა მთებში, რომ ჯილდო კი არა, უბრალო მადლობაც არავისგან რგებია, მაგრამ განა ამით რაიმე დაკლებია მას. ამ საკითხზე ბექნუს და გაბრიელს ერთი აზრი ჰქონდათ; ბუნებამ, არსთაგანმრიგემ ისინი ჭეშმარიტ რაინდებად მოავლინა ამ ქვეყანაზე, დედაბუნების სიყვარული დაანათლა ორთავეს, ხოლო ბიზნესის, გინდაც პატიოსანისა, მათ არაფერი გაეგებოდათ.

ერთი უცნაური სურვილი ჰქონდა მხოლოდ ბექნუს — ენახა იმ დროშის აღმმართველი იალბუზის წვეროკინაზე — ედელვაისის რჩეული სამთო დივიზიის მეთაური, ჰაუფტმანი გროტსი, იმჟამად რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობდა, ყოფილი სამოქალაქო მოსამართლე, რომელმაც იალბუზის მერე თავს უშველა, და საერთოდ მიატოვა ბრძოლის ველი, შინ დაბრუნდა და მშვიდობიან ცხოვრებას მიჰყო ხელი.

ეს იქნებოდა ყოფილი მეტოქეების შეხვედრა, რატომღაც ეწადა აზრებისა და შეხედულებების შეჯერება დღევანდელი თვალსაწიერიდან. მაგრამ ეს არცთუ დიდად რთული და შეუძლებელი ოცნება აუხდენელი დარჩა. ყველა თავისი საქმით იყო გართული, ბევრი ვინმე მედლების მოპოვებით და მიკოსებით იყო გატაცებული და როგორც უკვე სანდრო გვალიას წერილითაც დავრწმუნდით, საამისოდ სხვათა გარჯისა და ნაღვაწის მითვისებასაც არ ერიდებოდნენ.

ბექნუ თავის ღმერთთან იყო მართალი, საოჯახო საქმეებში ჩართული, უამრავ სადარდელ-საზრუნავთან შეჭიდებული, მთაში მოვარდნილი ზვავის გრუხუნისაგან ოდესღაც დაყრუებული, ქვეყნიერებისაგან განმხოლოებული და განმარტოებული, თითქოს ყველასაგან გარიყული, თავის ღმერთთან საუბრობდა. ღმერთი მაღალი იყო, მაგრამ მთის კაცისათვის მისაწვდომი. სიმაღლეებისაკენ სწრაფვა იყო მთელი მისი განვლილი ცხოვრება. იქ ეგულებოდათ ღმერთის საუფლო ბექნუს და ბექნუს ლომებს...



კინო

მიახლოება ბიბლიურ სამყაროსთან

„ჟამი შეკრებად ქვათა" — ფილმის ავტორები გია ჭუბაბრია და ოთარ სეფიაშვილი, კომპოზიტორი რუბენ კაჟილოტი. კინოსტუდია „მემატიანე"-ს ნაწარმოები, 1990 წელი.

ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურების" შესავალი უნდა გავახსენოთ: „იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემმსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი"... რომელ ჩვენგანს, თუნდაც ამ სტრიქონების შემდეგ, არ გასჩენია წმინდა მიწის ნახვის სურვილი! ბუნებრივად ჩნდება მოთხოვნილება ბიბლიურ სამყაროსთან მიახლოებისა — განამდვილება ყოველივე იმისა, რაც მითად მოჩანს. დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო ჩვენთვის მთელი კულტურული ცივილიზაციისაგან განსხვავებით მიუწვდომელი ეს სასწაულებრივი ქვეყანა. მართალია ბატონი გურამ ბათიაშვილი, როცა თავის წიგნში „მზე ღრუბლებში" წერს: „ალბათ, ვიდრე იქ არ ჩახვალ, საკუთარი ფეხით არ დაივლი და საკუთარი თვალით არ ნახავ, მაინც მითად რჩება ყველაფერი". ბედნიერია ის რამდენიმე ასეული ქართველი, ვისაც მიეცა საშუალება, საკუთარი ფეხით მოევლო „აღთქმული ადგილები". ალბათ მოახლოებულია დრო, ყველა დაინტერესებულმა პიროვნებამ იგი თავად მოინახულოს, მაგრამ ვიდრე ეს ჟამი დადგებოდეს, დოკუმენტური კინო ყველაზე კარგი შუამავალი ჩვენსა და საკრალურ სიწმინდეებს შორის. ბიბლიურ სამყაროსთან გვაახლოებს და იქ შემორჩენილ ქართულ სიძველეებს გვაცნობს ახალი დოკუმენტური ფილმი „ჟამი შეკრებად ქვათა", რომელიც ორი სურათისაგან შედგება, პირველს ჰქვია „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში", მეორეს კი — „ჟამი შეკრებად ქვათა".

ყველას კარგად გვახსოვს გურამ პატარაიას, ილია რურუასა და ოპერატორ გივი მელქაძის კინოექსპედიციის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები. ოცდაორი წლის შემდეგ მათ ნაკვალევს გაუყვა „გადამღები ჯგუფი", რომელშიც ორი კაცი იყო. იმ განზრახვით, რომ — თუ ახალს ვერაფერს მიაგნებდნენ, იმას მაინც შეძლებდნენ, კინოფირზე აღებეჭდათ ქართულ სიძველეთა ამჟამინდელი ხატი.

ჩვეულებრივ, როცა ფილმის გადაღებას დაისახავს რეჟისორი, იგი ქმნის შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ყველაფერს დაწვრილებით ეცნობა ადგილზე, მაგრამ გია ჭუბაბრიას და ოთარ სეფიაშვილს ორ კვირაში უნდა მოესწროთ ფილმის გადაღება, ასე მცირე დროში უცხო ქვეყნის გაცნობა და ყოველივე ამის ფირზე აღბეჭდვა იოლი არ არის, ასეთი ტიპის ფილმების გზაზე წამოიჭრება უამრავი სირთულე და ბარიერი, ამ ფილმის ავტორებსაც რთულ პირობებში უხდებოდათ გადაღება, ხელს უშლიდნენ ბევრ რამეში, ბევრი რამის გადაღების უფლებას არც აძლევდნენ.

როგორც ფილმიდან ჩანს, მათ გარკვეული დიპლომატიური ტაქტი დასჭირდათ, რომ ფირზე აესახათ ჩვენთვის ასერიგად საჭირო ფაქტები თუ მოვლენები. ქართველი ებრაელებიც დახმარებიან მათ მიზნის მიღწევაში. მართალია, დაძაბულ მდგომარეობაში იღებდნენ — ასე ცოტა იყო დრო, მაგრამ ფილმში ეს არ იგრძნობა, რადგან ფილმი ეკუთვნის კინოდოკუმენტალისტიკის ისეთ მაესტროს, რომელიც ერთადერთ შანსს ხელიდან არ უშვებს. მახსენდება გია ჭუბაბრიას სიტყვები თავის პროფესიაზე: „კინოდოკუმენტალისტს ერთი გასროლის უფლება გაქვს. მხოლოდ ერთი, ერთადერთი შანსი გაქვს და თუ ვერ გამოიყენე, მოვლენას ვეღარ აღადგენ. რომც აღადგინო, დაიკარგება პირველადი ემოცია, პირველობის ეფექტი, რაც ფაქტობრივად კინოდოკუმენტალისტიკის სპეციფიკას შეადგენს და მის უპირატესობასაც განსაზღვრავს ერთგვარად". სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ეს ფილმი, მაყურებლამდე მოდის პირველადი, ავტორისეული განცდა, რაც განსაზღვრავს კიდეც ფილმის ემოციურობას.

გია ჭუბაბრიას იზიდავს მოგზაურობა, ახალი შთაბეჭდილებებით და ემოციებით დატვირთვა და შემდგომ ამ განცდის ეკრანზე გადმოტანა, ასე შექმნა მან თავისი დაუვიწყარი ფილმები „იაპონური ჩანახატები", „საარბრიუკენის ქრონიკები" და „ავსტრიული დღიურები".

„ჟამი შეკრებად ქვათა" ნამდვილი დოკუმენტური ფილმია, რომელშიც არის ანალიზიც, ისტორიული წიაღსვლებიც, კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება, რაც ეკრანზე ცხადდება. მას დიდი შემეცნებითი და ინფორმაციული მნიშვნელობა აქვს, ფილმი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისრაელში შემორჩენილ სიმდიდრეებზე. იგი მკვეთრი ავტორისეული ინტონაციით და პოზიციით გამოირჩევა. აქ ერთმანეთს ენაცვლება ხედვითი და მიმოხილვითი ხასიათის ნაწილები, ფილმი კომპოზიციურად უაღრესად შთამბეჭდავია, ასოციაციურობით ხასიათდება მონტაჟი, რომელიც ემოციების სათავეა, თემა ავტორების მიერ გათავისებული და გულის სიღრმემდეა განცდილი.

გია ჭუბაბრიას და ოთარ სეფიაშვილის დამსახურებაა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ასე ვრცლად წარმოადგინეს ფირზე. ადრე მხოლოდ ამ მონასტრის გარეთა ხედი იყო ფირზე გადატანილი, ახლა კი მათ ინტერიერშიც შეაღწიეს, გადაიღეს მისი წიგნთსაცავი, მუზეუმი, იქ დაცული ფრესკები, წერილობითი ძეგლები და სხვა ექსპონატები.

მეორე სურათში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება სახარების ფურცლები — „ახალი აღთქმით" მინიშნებული გზა მაცხოვრისა, აი, ასკეტურად უბრალო მკაცრი და ზვიადი ტაძარი — აღმართული ქრისტეს შობის ადგილას, ბეთლემში; წმინდა ადგილი მრავალსხივიანი ვარსკვლავითაა მონიშნული — იმ გარიჟრაჟზე ახალი ერის მაუწყებლად — ცაზე რომ გამოესახა მოგვებს...

კადრში მოჩანს ნაზარეთი — ქრისტეს დედულეთი! ტაძარი, სადაც მან პირველად იქადაგა; „მცირე ბეთლემი" — მარიამისა და იოსების განსასვენებელი! აგერ გეთსიმანიის ბაღი, ზეთის ხილის ბებერი ხეები, ვინ იცის, მოწმენიც იესოს ღალატით გათქმის... წმინდა ანასტასიას სამონასტრო კომპლექსი, მის ჭერქვეშაა მოქცეული გოლგოთა — მაცხოვრის ჯვარცმის ადგილი და წმინდა საფლავის ეკლესია, გოლგოთიდან მაცხოვრის საფლავამდე სულ ასი ნაბიჯი თუ იქნება, მათ შუა კი ქვასარეცელია, სადაც მოხდა გარდამოხსნა და ზეთცხება.

აგერ „გოდების კედელი" — ებრაელთა უწმინდესი ალაგი იერუსალიმში.

ფილმში შესანიშნავადაა მიგნებული „ქართული შლანი", ჯვრის სამონასტრო კომპლექსში შემორჩენილი ბებერი ვაზი, ონის სინაგოგა, ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი დავით გარეჯა და საბას ლავრა — კედრონის ხეობაში თავისი მასშტაბებით მოგვაგონებს ერთმანეთს. საბას გრანდიოზული ლავრა საუკუნეების მანძილზე ქართული მთარგმნელობითი, ლიტერატურული, კალიგრაფიული და შემოქმედებითი ცენტრი იყო, მის კედლებში შექმნა იოანე ზოსიმემ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ", აქ მოღვაწეობდა პეტრე იბერი.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფილმში ჭარბადაა ჩართული საავტორო ტექსტი, მაგრამ იგი არსად არ იქცევა მარტოოდენ ასახული ფაქტის ილუსტრაციად. ეს არის სპეციფიკური, აქტიურად მოქმედი კინოლიტერატურა — გამოსახულება და დიქტორის ტექსტი (კითხულობენ ოთარ მეღვინეთუხუცესი და გურამ საღარაძე) ერთმანეთს ავსებენ.

მაყურებელს ამ ფილმიდან დიდი სიამოვნება ელის, რადგან მისი ყოველი კინემატოგრაფიული ფრაზა ემოციური და მართალია, გამომსახველობითად ტევადი და ჰარმონიულია.

გვჯერა, ფილმის ნახვის შემდეგ მაყურებელი ემოციით აღსავსე და აზრით დატვირთული დატოვებს დარბაზს, და თანაც ფიქრით მოცული — ჩვენი ისტორიის რამდენ საიდუმლოს ინახავენ წმინდა მიწაზე შემორჩენილი ლავრები და მონასტრები, მათი შემდგომი კვლევა-შესწავლაც რამდენ რამეს მოჰფენს ნათელს!

ხვალ ფილარმონიის დიდ დარბაზში ფილმ-დილოგიის „ჟამი შეკრებად ქვათა", პრემიერაა, გველის კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა — შეხვედრა ბიბლიურ სამყაროსთან, ქართულ ძირებთან...

გიორგი ლალიაშვილი

სურათებზე: კადრები დოკუმენტური ფილმიდან „ჟამი შეკრებად ქვათა". ჯვრის მონასტრის ქართული ფოლიანტები; დავითის კოშკი სიონის მთაზე.

თეატრი

ველით ჩვენს მაყურებელს

სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრის დამაარსებლის თენგიზ ჩანტლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლ-საღამოთი, „გახსენება" მორიგი თეატრალური სეზონი გახსნა მისივე სახელობის თეატრმა. ვესაუბრებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს **ვახტანგ ქართველიშვილს:**

— მოგეხსენებათ, რომ ყველა თეატრმა კარგა ხანია გახსნა სეზონი, თქვენ კი, რატომღაც, დააგვიანეთ, როგორ ახსნით ამ ფაქტს?

— თეატრში ყოველთვის მოინახება როგორც ტექნიკური, ასევე შემოქმედებითი მიზეზები. მართალია, სეზონის გახსნა, საკმაოდ დავაგვიანეთ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი თეატრი, მგონი, ერთადერთია თბილისის თეატრებიდან, რომელიც, ასე ვთქვათ, ახალ ეპოქაში განაახლებს თავის მოღვაწეობას. ამას კი, თეატრის მუშაობისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩვენი შეხვედრა ცოტა ადრე რომ შემდგარიყო, „კომუნისტისთვის" მომიწევდა ინტერვიუს მიცემა, ახლა კი „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ვესაუბრები.

— როგორ გამოიყურება რეპერტუარი? ახალს რას შესთავაზებთ მაყურებელს?,

— ამ სეზონის პირველი პრემიერაა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" — პოლიტიკური სატირა ნოდარ გაბუნიას მუსიკით. ეს სპექტაკლი, რომლის დამდგმელი რეჟისორია თეიმურაზ აბაშიძე, ადრე თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სადიპლომო სპექტაკლი იყო, მაგრამ შემდგომი მუშაობის საფუძველზე ბევრი რამ შეიცვალა. ასე რომ, ფაქტობრივად, იგი უკვე ჩვენი საკუთარი ნამუშევარია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მოხდა ინსტიტუტიდან მოსულთა და ჩვენი თეატრის დასის მსახიობთა საოცრად ჰარმონიული შერწყმა. სპექტაკლი მეტად აქტუალურია, თანამედროვე მოვლენებს ეხმაურება. „ყვარყვარე თუთაბერი" კლასიკური ნაწარმოებია, კლასიკა კი, მოგეხსენებათ, ყოველ დროში პოულობს თანხმიერებას. შარშანდელი რეპერტუარიდან შევინარჩუნეთ ლალი ნიკოლაძისა და კახა ცაბაძის „როცა იხსნება თეატრის ფარდა" და ვალენტინ კატაევის „წრის კვადრატურა".

— ბოლო ხანებში ყველაფერმა სახე იცვალა. რა არსებითი ცვლილებები შეინიშნება თქვენი თეატრის ცხოვრებაში?

— ცვლილებები სხვაზე უფრო, ჩვენთან იგრძნობა ხელშესახებად. აქ ადრე დასი ყალიბდებოდა მსახიობ-ლიდერის ირგვლივ. დღეს კი, ვცდილობთ შევქმნათ ანსამბლური თეატრი, რაც ყოველ მსახიობს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

— რას აპირებთ სამომავლოდ?

— ძალიან მიჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ყოველ წუთს იმდენად საინტერესო მოვლენების წინაშე ვდგებით, რომ ადვილი შესაძლებელია, სულ რაღაც ორი-სამი თვის წინათ შედგენილმა გეგმამაც კი ცვლილება განიცადოს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გეგმა არ არსებობს. მაყურებელს მალე შევთავაზებთ დრაგუტინ დობრიჩანინის პიესას „სამი ბულბულის ქუჩა № 17", რომელსაც დგამს რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე. ნანა დემეტრაშვილი მუშაობს ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეზე".

ჩვენი დიდი სურვილია, დავდგათ პუბლიცისტური სპექტაკლი და თანამშრომლობისათვის მოვიწვიოთ ბატონი თამაზ წივწივაძე, თუკი მას ამის შესაძლებლობა და სურვილი ექნება. ისე კი, ვეცდებით ჩვენს სცენაზე დადგმული ყოველი სპექტაკლი სინამდვილის შესატყვისი და აქტუალური იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრს არსებობის უფლება არ ექნება.

— თეატრში არსებულ პრობლემებზე რას გვეტყვით?

— საერთოდ, ნებისმიერი თეატრისათვის ჭირს ქართული რეპერტუარის შერჩევა, მით უმეტეს, თეატრისათვის, რომელიც კომედიის ჩარჩოებში უნდა მოთავსდეს, ჩემთვის პრობლემაა აგრეთვე მამაკაცი მსახიობის მოსვლა თეატრში, მიუხედავად იმისა, რომ დღესვე მაქვს საშუალება, სამი-ოთხი ნიჭიერი მსახიობი მივიღო.

— ამ ბოლო დროს მაყურებელი აღარ დადის თეატრში...

— დიახ, ეს მეტად შემაშფოთებელი სინამდვილეა. წარმოიდგინეთ, ეხსნით სეზონს და არ ვიცით, გვეყოლება თუ არა მაყურებელი. ამის უამრავი მიზეზი არსებობს...

თქვენ გეგმებზე მეკითხებოდით, სხვათა შორის, გვინდა მოვამზადოთ დილის სპექტაკლები მოზრდილებისათვის, რომლებიც უფრთხიან საღამოს სახლიდან გამოსვლას, ხოლო თუ სახლიდან არ გამოხვალ, თეატრშიც ვერ მოხვალ...

მთავარი კი მაინც ის არის, რომ მაყურებელი ინდიფერენტული არ გახდეს თეატრის მიმართ — ეს განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან როცა თეატრი გულგრილობის ატმოსფეროში ხვდება, იგი ვერ იტანს ამას და კვდება... მე კი მაინც მჯერა, რომ მოვა დრო და მაყურებელი დაუბრუნდება თეატრს.

ესაუბრა

ეკა ჯიმშელაძე

გასწორება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის გამოყენების წესის შესახებ" — (იხ. 7 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკა") — მე-5 მუხლის „გ" პუნქტში უნდა იკითხებოდეს — „კანონის პირველი მუხლის „გ" პუნქტის", „ზ" პუნქტში კი — „ჩამონათვალში სიტყვები „სსკ 243-ე მუხლის".

შემდეგ როგორც ტექსტშია.

1990 წლის 11 დეკემბერს 12 საათზე მოწვეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნება აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის მისანიჭებლად წარმოდგენილი ნაშრომები:

1. ვ. ნორაკიძე — „პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები";
2. ნ. სარჯველაძე — „პიროვნება და მისი ურთიერთქმედება სოციალურ გარემოსთან".

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. კრება გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 52, III სართული, ოთახი 303).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

8 დეკემბერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ვერ გამოვიდა იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ დროულად ვერ უზრუნველყო რედაქციის საჭირო ქაღალდით მომარაგება.

გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

ტელევიზია

თბილისი

კვირა, 9 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 10.05 — კინოაფიშა. 10.35 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. „სოფლის მჭიკი" და „არლანი". 11.25 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.05 — საკვირაო გამოფენა. 12.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი". 12.55 — კონცერტი მოსწავლეთათვის. „ჩვენი თვითმოქმედება". 13.30 — საკვირაო გამოფენა. 13.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „გოგონა და ბატი". 13.45 — „ვესტნიკი". 14.25 — კონცერტი „ქართული მელოდიები". 15.10 — საკვირაო გამოფენა. 15.15 — „მამული, ენა, სარწმუნოება". 15.40 — „საუნჯე". „ალავერდს გასტროლებია". 16.20 — „ფილმის შუქ-ჩრდილი" — უნგრული მხატვრული ფილმი „დაუმთავრებელი ფრენა". 18.55 — ხალხური შემოქმედება — „ხსოვნა გვმართებს წინაპრისა". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყუმლი". 21.00 — „ვრემია". 21.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 21.45 — საქართველოს თასის ფინალი რაგბიში: თბილისის „ელმაველი" — ქუთაისის „აია". 22.25 — „გასტროლები ისრაელში". 23.05 — კონცერტი.

ორშაბათი, 10 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — მხატვრული ფილმი „დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიანინოსათვის" (ქართულ ენაზე). 18.00 — მოსწავლეთათვის — ბავშვთა წყალბურთი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — დამოუკიდებელი პროფკავშირები. 19.10 — „ვერტიკალი" (გამეორებით). 20.00 — მოამბე. 20.30 — უღელტეხილი. 21.00 — „ვრემია". 21.40 — საქართველო და გარესამყარო. 22.15 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რეკორდი". 23.15 — სასტრადო პანორამა. 0.10 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 16.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაისას რჩეულნი". 17.00 — მხატვრული ფილმი „დაუმთავრებელი ფრაზა". 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „იმედის ქოხები". 20.00 — მოამბე. 20.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლო". 21.30 — ქართული მხატვრული ფილმი „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის".

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების განყოფილება 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა